განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

მსოფლიოს ისტორია

7

მოსწავლის წიგნი

პირველი ნაწილი



ჯაბა სამუშია, მაია ღამბაშიძე, ემილ ავდალიანი

მსოფლიოს ისტორია 7

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

მსოფლიოს ისტორია
VII კლასი, ნაწილი I
მოსწავლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026 წ.

ავტორები:
ჯაბა სამუშია, მაია ღამბაშიძე, ემილ ავდალიანი

სამეცნიერო რეცენზენტი:	დავით ლორთქიფანიძე
ექსპერტ-კონსულტანტები:	დავით მალაზონია, ნიკოლოზ გურგენიძე, ნინო მიმინოშვილი, ლალი მექერიშვილი
ფსიქოლოგ-მეთოდისტი:	მზია წერეთელი
რედაქტორი:	ნათელა დვალი
ილუსტრატორი:	მარიამ ებრალიძე
დამკაბადონებელი:	თამარ სტეფნაძე
რუკების ავტორი:	მანანა შეყილაძე
რუკების დიზაინერები:	ალექსი კახნიაშვილი, რატი შოთაშვილი

სახელმძღვანელო განკუთვნილია მეშვიდე კლასის მოსწავლეებისთვის და შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
სახელმძღვანელოში გამოყენებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული მუზეუმი – სიმონ ჯანაშიას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, ვანის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის; სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, საქართველოს სასახლე მუზეუმების გაერთიანება: ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმის, ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის; ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ექსპონატები, ფოტოები და საარქივო მასალა.
ასევე ფოტოები: ჯაბა სამუშიას, მაია ღამბაშიძის, ემილ ავდალიანის, გიორგი კალანდიასა და ალექსანდრე ბოშიშვილის პირადი არქივებიდან.
ცალკეული ფოტოილუსტრაციები შექმნილია/დამუშავებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი;
მოსწავლის რვეული;
მასწავლებლის წიგნი.

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ISBN 978-9941-8-8930-1





თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.



მოუსმინეთ ჰიმნს

ლექსი დავით მაღრაძისა
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კიკნაძემ

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 8

შესავალი

1. ისტორია – გზა წარსულიდან დღევანდელობამდე 10

ისტორიის შესწავლის მიზანი 12

ისტორიის შესწავლის საგანი 13

ისტორიული წყარო 14

არქეოლოგია – მიწაში აღმოჩენილი საიდუმლოებები 15

2. ქრონოლოგია, კალენდარი და წელთაღრიცხვა 16

დრო და მისი მნიშვნელობა 18

„ბუნების საათი“ და პირველი კალენდრები 19

ჩვენი წელთაღრიცხვა 20

დროის ხაზი – ისტორიის რუკა 21

საუკუნე და ათასწლეული 22

ისტორიული ეპოქები 23

პრეისტორია

3. მომთაბარეობიდან ცივილიზაციამდე 24

პრეისტორია – კაცობრიობის აკვანი 26

„ნეოლითური რევოლუცია“ 28

პირველი სოფლების გაჩენა და პირველი ცივილიზაციები 30

ცივილიზაცია და მისი მთავარი ნიშნები 31

ძველი ცივილიზაციები

4. შუმერი 32

შუმერები 34

ურუქი – მსოფლიოს პირველი ქალაქი 35
დამწერლობის შექმნა 36
შუმერული მათემატიკის საიდუმლო 38
შუმერების რწმენა-წარმოდგენები 39

5. აქადი და ბაბილონი 40
აქადელები 42
რელიგია და ძალაუფლება 43
იმპერიის მართვა 44
ბაბილონი – კანონის ქალაქი 45
ბაბილონის ახალი სამეფო 46

6. ასურეთი 48
ასურული სავაჭრო ქარავნები 50
ასურეთის იმპერია და მისი არმია 52
მსოფლიოს პირველი ბიბლიოთეკა 53

7. ძველი ეგვიპტე 54
ძველი ეგვიპტის ისტორიის სამი დიდი ეპოქა 56
დიდებული ფარაონები და ძალაუფლების საიდუმლო 58
პირამიდა – კიბე ცისკენ 60
ეგვიპტური ღვთაებები და მუმიფიკაცია 61
ამეტყველებული იეროგლიფები 62

8. ხეთების სამეფო 64
ხეთები 66
ხათუსა – კლდეზე გაშენებული დედაქალაქი 68
კადეშის ბრძოლა 69

9. ხური და ურარტუ 72
ხურიტები 74
ურარტუ – სამი ტბის ქვეყანა 76

ურარტული არქიტექტურა – კლდეში გამოკვეთილი მეგალითები 77

10. ფინიკიელები და ებრაელები 78

კედარის ხომალდები და შორეული ნაოსნობა 80

ანბანის დაბადება – 22 ასო, რომელმაც სამყარო შეცვალა 81

ძველი ისრაელი – აღთქმული მიწა..... 82

„წიგნის ხალხი“ – რწმენა, ბიბლია და ყოველდღიურობა..... 83

11. აქემენიანთა ირანი 84

კიროს დიდის იმპერია..... 86

ამეტყველებული სპარსული წარწერები..... 88

სინათლის რელიგია და „სამოთხის“ ბაღები 89

12. ძველი ინდოეთი 90

მოჰენჯო-დარო – ქალაქი, რომელსაც აბანოები ჰქონდა 92

არიელთა მოსვლა – ვედები და კასტები 93

ბუდა – „გაღვიძებული“ უფლისწული..... 94

მშვიდობისმყოფელი იმპერატორი აშოკა 95

13. ძველი ჩინეთი 96

იმპერატორი ცინ შიხუანდი – კაცი, რომელმაც ჩინეთი გააერთიანა 98

ჩინეთის დიდი კედელი 100

კონფუცი და მისი ფილოსოფია.....101

აბრეშუმის გზა და ჩინური საოცრებები.....101

ბოლოსიტყვაობა 101

დანართი – ძველი ცივილიზაციების მემკვიდრეობა 103

რუკა – სამდინარო ცივილიზაციები.....108

ისტბოტი

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები

მსოფლიოს ისტორიის მე-7 კლასის სახელმძღვანელოს შინაარსის გასაცნობად ქვემოთ იხილეთ მისი სტრუქტურა, მასში წარმოდგენილი პირობითი ნიშნებითა და მათი განმარტებებით.

მოსწავლის წიგნი შედგება სამი თავისგან, რომლებიც დაყოფილია ცამეტ პარაგრაფად. თითოეულ პარაგრაფში წარმოდგენილია შემდეგი რუბრიკები:



წყარო

ამ რუბრიკაში თქვენ გაეცნობით ისტორიულ წყაროებს – იმ ძველ ცნობებს მსოფლიო ისტორიიდან, რომლებსაც ეყრდნობიან თანამედროვე ისტორიკოსები სამეცნიერო წიგნებსა და სახელმძღვანელოების შექმნისას.



მეცნიერის თვალსაზრისი

ამ რუბრიკაში იხილავთ ცნობილი და ახალგაზრდა ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოლოგებისა და სხვა სამეცნიერო დარგის წარმომადგენლების მოსაზრებებს მსოფლიო ისტორიის ცალკეულ ამბებზე.



ლექსიკონი

აქ განმარტებულია მოსწავლეებისათვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ტერმინები, რომლებიც სახელმძღვანელოში არის გამოყენებული.



ეს საინტერესოა

ამ რუბრიკაში თქვენ გაეცნობით საინტერესო მოვლენებს, რომლებიც კონკრეტულ პარაგრაფში მოცემულ ისტორიულ ეპოქას უკავშირდება.

კითხვა

აქ წარმოდგენილი იქნება კონკრეტულ პარაგრაფში მოცემული სასწავლო მასალის ირგვლივ დასმული კითხვები.

დავალება

კონკრეტული პარაგრაფის ბოლოს მოცემული იქნება შესაბამისი სასწავლო მასალის დავალებები.

წინასიტყვაობა

ოდესმე გიფიქრიათ, რატომ არის საათში მაინცდამაინც 60 წუთი? ან რატომ გადაწყვიტა ადამიანმა დაეთესა ხორბალი, შემდეგ კი აეშენებინა პირამიდები და ქალაქები?

ეს წიგნი კაცობრიობის ყველაზე საინტერესო ეპოქებში გამოგზაურებთ. თქვენ გაიაზრებთ, რა არის ისტორია; როგორ ვსწავლობთ წარსულს.

სახელმძღვანელო იყოფა ორ ნაწილად და ის მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის ისტორიას ერთიან კონტექსტში დაგანახვებთ.

წიგნის I ნაწილში გაიცნობთ ხალხებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე სამყაროს, მათ შორის, შუმერებს, რომლებმაც გამოიგონეს ბორბალი, დამწერლობა და პირველი სკოლა; ესტუმრებით აქადის იმპერიას, ბაბილონის „კანონთა“ ქვეყანას; გაიცნობთ პირამიდების ამგებ ეგვიპტელებს, ხეთელ მეომრებს, ასურელ ვაჭრებს, ხურიტ და ურარტულ „კლდის ლომებს“; იმოგზაურებთ ფინიკიასა და ისრაელის „აღთქმულ მიწაზე“, ინდოეთის „ბრძენთა ქვეყანაში“ და იხილავთ ჩინეთის უზარმაზარ კედელს, შეიტყობთ საინტერესო ამბებს აქემენიანთა იმპერიის შესახებ.

II ნაწილში გადაინაცვლებთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, სადაც თანამედროვე ევროპული კულტურა დაიბადა: იმოგზაურებთ საბერძნეთში და გაიგებთ, როგორ გაჩნდა დემოკრატია; ესტუმრებით პირველ ოლიმპიურ თამაშებს და მოუსმენთ დიდ ფილოსოფოსებს; ნახავთ რომს და გაიგებთ, როგორ იქცა პატარა ქალაქი მსოფლიოს უძლიერეს იმპერიად.

მოგზაურობისას აღმოაჩენთ, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იყო მსოფლიოს დიდი მოვლენების მონაწილე. საქართველო ის ადგილია, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურები.

გახსოვდეთ: ისტორიის ცოდნა არ არის მხოლოდ თარიღების დამახსოვრება – ეს არის საკუთარი ფესვების პოვნა და იმის გაგება, თუ როგორ შეგვიძლია უკეთესი მომავლის აშენება.



ქალაქ ხათუსას კარიბჭე (თურქეთი)



შესავალი

1. ისტორია – გზა წარსულიდან დღევანდელობამდე

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ, საკუთარი სიტყვებით ახსნათ, რა არის ისტორია, ისტორიული წყარო და რამდენი სახისაა ის; რა არის არქეოლოგია და რით განსხვავდება ერთმანეთისგან არქეოლოგისა და ისტორიკოსის საქმიანობა; იმსჯელებთ იმის შესახებ, თუ რატომ ეყრდნობა ისტორიკოსი ერთდროულად სხვადასხვა წყაროს; გამოთქვამთ და დაასაბუთებთ საკუთარ მოსაზრებას ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.



ოვალური მოედანი (იორდანია)





ძველი და ახალი ეგვიპტე ერთ კადრში

ისტორიის შესწავლის მიზანი

ისტორია საერთო მეხსიერებაა, რომლის საშუალებით ვიგებთ, საიდან მოვდივართ და ვინ ვართ. ის გვეხმარება წარსულის შეცნობაში და გვიადვილებს მომავლის განსაზღვრას.

„ისტორია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სხვადასხვა ტიპის წყაროების შესწავლას, ანალიზსა და ცოდნას, რომელსაც ადამიანი კითხვების დასმითა და ძიებით იძენს. მეცნიერს, რომელიც წარსულს სწავლობს, ისტორიკოსი ეწოდება.

ისტორია გვაჩვენებს, რომ სამყარო მუდმივად იცვლება დროსა და სივრცეში. **დრო** არის ისტორიის ხერხემალი. ის გვესაუბრება იმის შესახებ, თუ როდის მოხდა ესა თუ ის მოვლენა წარსულში. ისტორიული **სივრცე** კი არის ადგილი (გარემო), სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ. გარემოს მიხედვით განისაზღვრება, თუ როგორ იკვებებოდა და რას იცვამდა ადამიანი. მაგალითად, მთაში მცხოვრები ხალხის ისტორია განსხვავდება ზღვისპირას დასახლებული ხალხის ისტორიისგან.



მეცნიერის თვალსაზრისი

„ისტორიკოსია ის, ვინც ეძებს და არა ის, ვინც იცის“.
ლუსიენ ფევრი
XX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი

კითხვა

1. მოძებნეთ სახლში რომელიმე ძველი ნივთი (მაგალითად: ფოტო, ძველი მონეტა, წიგნი ან ძველი მობილური ტელეფონი) და შექმენით პატარა ისტორია: ა) რისგან არის დამზადებული ეს ნივთი და რა ფუნქცია ჰქონდა მას წარსულში? ბ) რას გვიყვება ეს ნივთი იმ ეპოქის ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მაგალითად, თუ ფოტოა – რა ეცვათ? თუ ნივთია – რაში იყენებდნენ? გ) გამოიყენება თუ არა ეს ნივთი დღეს?

2. რატომ არის მნიშვნელოვანი ვიცოდეთ, ვინ ვიყავით და რა გზა გავიარეთ? როგორ შეიძლება, ისტორიის ცოდნა და წარსულის გამოცდილების გააზრება დაგვეხმაროს მომავლის უკეთ დაგეგმვაში?

ა.



ბ.



ისტორიის შესწავლის საგანი

ისტორია არ არის მხოლოდ ძველი თარიღების, მეფეებისა ან ომების ჩამონათვალი.

ისტორია სწავლობს ყველაფერს, რაც კი ადამიანს ოდესმე შეუქმნია. მოკლედ რომ ვთქვათ, ისტორია იკვლევს ადამიანის კვალს დედამიწაზე.


ისტორიკოსი არასოდეს იჯერებს იმას, რაც პირველივე შეხვედრისას თვალში მოხვდება. ისტორიული სიმართლე ხშირად მიწაში დაფარულ ნივთებსა და ძველი ხელნაწერების სტრიქონებს შორის იმალება.

ისტორიკოსი სვამს კითხვებს: რა მოხდა? სად? როდის? რატომ? როგორ? რა შედეგები მოჰყვა? საიდან ვიცით? იგი საბოლოო დასკვნას მხოლოდ მაშინ აკეთებს, როდესაც დასმულ კითხვებზე პასუხი იცის.

ისტორიის სურათი რომ წარმოვიდგინოთ, აუცილებელია შევისწავლოთ: როგორი იყო საზოგადოება – როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები; როგორი იყო კლიმატი და გეოგრაფიული გარემო; ვის ჰქონდა ძალაუფლება – ვინ იყო მმართველი; როგორი იყო ეკონომიკა – როგორ და რით ვაჭრობდნენ; როგორი იყო მაშინდელი რწმენა-წარმოდგენები და კულტურა.

ეს საინტერესოა

ჰეროდოტე – ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი. ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ცდილობდა სხვადასხვა წყაროს შედარებას. მის მოწათხრობში ბევრია გამონაგონი, თუმცა, იგი მაინც ცდილობდა, ბრმად არ ერწმუნა ყველაფერი.



ჰეროდოტე, ძვ. წ. V ს.

კითხვა

3. წარმოიდგინეთ: ისტორიკოსმა იცის, რა მოხდა, სად და როდის, მაგრამ ვერ პასუხობს კითხვას – საიდან ვიცით ეს? შეძლებს იგი დაადგინოს, ამბავი ნამდვილია თუ გამოგონილი? ახსენით, რატომ არის ეს კითხვები (რა მოხდა? სად? როდის? საიდან ვიცით?) ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული?

4. დააკვირდით მე-12–მე-13 გვერდებზე ისტორიის სურათებს (ა, ბ, გ, დ) და უპასუხეთ: ა) რომელი სურათი გვიჩვენებს ადამიანების ეკონომიკურ საქმიანობას (მაგ., ვაჭრობას ან მიწის დამუშავებას) და რატომ ფიქრობთ ასე? ბ) რომელ სურათზე ჩანს ძალაუფლება? რა ნიშნებით ხვდებით, ვინ არის მმართველი და ვინ – ქვეშევრდომი? გ) რას გვეუბნება ეს სურათები იმდროინდელი ადამიანების ჩაცმულობასა და ყოველდღიურობაზე?

გ.



დ.



ისტორიის ოთხი სურათი

ეს საინტერესოა

VI საუკუნეში ბიზანტიაში, იმპერატორ იუსტინიანეს კარზე, მოღვაწეობდა ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი. იგი იმპერატორის დავალებით აღწერდა ბიზანტიელთა ომებს. ამიტომაც იმპერატორს ყველაზე ბრძენ და გულმოწყალე მმართველად იცნობდნენ მომავალი თაობები. დიდი ხნის შემდგომ ვენეციის ერთ ბიბლიოთეკაში ისტორიკოსები წააწყდნენ ხელნაწერს. ეს აღმოჩნდა პროკოპი კესარიელის მანამდე უცნობი თხზულება „საიდუმლო ისტორია“, რომელშიც იუსტინიანე წარმოჩენილი იყო, როგორც ხარბი და დაუნდობელი მმართველი. პროკოპი კესარიელმა იმპერატორისაგან მალულად აღწერა მისი ამბები.

ისტორიული წყარო

ისტორიული წყარო წარსულის მოწმეა. ისტორიკოსი თითოეულ წყაროს ორი კითხვით აფასებს: 1. რა ფორმისაა – წერილობითი, ნივთიერი, ზეპირი, ვიზუალური და ა. შ.; 2. რამდენად ახლოსაა მოვლენასთან – პირველადია (იმავე ეპოქისა) თუ მეორეული (მოგვიანებით შექმნილი)?

ისტორიული წყაროები იყოფა ფორმის მიხედვით:

- წერილობითი (ხელნაწერები, დღიურები, წიგნები);
- ნივთიერი (მონეტები, იარაღი, ნაგებობები);
- ზეპირი და ვიზუალური (თქმულებები, სიმღერები, ნახატები, ფოტოები, ფილმები);

მიუხედავად ფორმისა, ყველა წყარო დროის მიხედვით ორგვარია:

- პირველადი – მოვლენის თანამედროვე არტეფაქტი (მაგ., ალექსანდრე მაკედონელის მონეტა) ან თვითმხილველის მიერ შექმნილი წყარო (მაგ., ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოპი კესარიელის, თხზულება).
- მეორეული – მოგვიანებით შექმნილი, რომელიც პირველად წყაროებს ეყრდნობა (მაგ., ეს სახელმძღვანელო ან რომელიმე ცნობილი ადამიანისათვის მიძღვნილი ნარკვევი და სხვა).

არცერთი ისტორიული წყარო არ გვაძლევს წარსულის სრულ სურათს. ამიტომ ისტორიკოსები ერთმანეთს ადარებენ სხვადასხვა წყაროს, ამოწმებენ მათ სანდოობას და მხოლოდ ამის შემდეგ აკეთებენ დასკვნას.

ლექსიკონი

არტეფაქტი – ადამიანის მიერ შექმნილი ან გადამუშავებული ნივთიერი კულტურის ძეგლი.

კითხვა

5. რატომ შეიძლება ზეპირი წყარო იყოს უფრო ზუსტი, ვიდრე წერილობითი (მაგალითად, თქმულება ბრძოლის შესახებ)?


6. რატომ დამალა პროკოპი კესარიელმა „საიდუმლო თხზულება“ იუსტინიანესგან? რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ იმპერატორი მას აღმოაჩენდა?

7. წარმოიდგინეთ, რომ ხართ ისტორიკოსი და ალექსანდრე მაკედონელის ეპოქას იკვლევთ. როგორ გამოიყენებთ მონეტას, წიგნსა და ფილმს, რათა სანდო დასკვნა გამოიტანოთ? ახსენით თითოეული წყაროს მნიშვნელობა და სანდოობა.


ა.



ბ.



გ.



ისტორიული წყარო: ა. ალექსანდრე მაკედონელის მონეტა (სვანეთის მუზეუმი); ბ. წიგნი მის შესახებ; გ. ფილმი მის შესახებ

არქეოლოგია – მიწაში აღმოჩენილი საიდუმლოებები

არქეოლოგია ბერძნული სიტყვაა და ძველის შესწავლას ნიშნავს („არქაიოს“ – ძველი, „ლოგოს“ – მოძღვრება). თუ ისტორიკოსი გამომძიებელს ჰგავს, არქეოლოგი დეტექტივია, რომელიც სამხილებს მიწის ქვეშ ეძებს.

არქეოლოგის მუშაობა რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

1. დაზვერვა – არქეოლოგები ჯერ სწავლობენ ძველ რუკებს, ლეგენდებს და ზოგჯერ კოსმოსურ ფოტოებსაც კი. შემდეგ კი კონკრეტულ ადგილზე თხრილს ავლებენ და მუშაობისთვის ემზადებიან;

2. გათხრები – ამ დროს იყენებენ პატარა ფუნჯებს, დანებს და ზოგჯერ სტომატოლოგიურ იარაღებსაც, რათა შემთხვევით არ დააზიანონ ნივთი. რაც უფრო ღრმად თხრიან, მით უფრო ძველ დროში მოგზაურობენ;

3. აღწერა – არქეოლოგიისთვის ნივთის პოვნა ნახევარი საქმეა. მთავარია, ზუსტად ჩაინიშნოს, სად და როგორ იდო ის. ყოველ აღმოჩენას უღებენ ფოტოს, ხაზავენ რუკაზე და აწერენ ნომერს, რადგან ნივთის ამოღების შემდეგ აღმოჩენის ადგილი სამუდამოდ იცვლება;

4. ლაბორატორია – ხშირად არქეოლოგები პოულობენ არა მთელ ჭურჭელს, არამედ ათასობით ნამსხვრევს. ლაბორატორიაში რესტავრატორები თვეობით აწყობენ ამ ნამსხვრევებს, როგორც მოზაიკას. აქ ნივთებს წმენდენ და ცდილობენ მათი ზუსტი ასაკის დადგენას;

5. მუზეუმი – როდესაც ნივთი აღდგენილი და შესწავლილია, ის მუზეუმში იკავებს ადგილს. აქ ხდება ისტორია ყველასთვის ხელმისაწვდომი.

ეს საინტერესოა

წარსულის აღსადგენად ისტორიკოსები სულ მეტ ყურადღებას უთმობენ ეთნოლოგიურ მასალას. ეს არის ხალხის ცოცხალ ყოფაში დადასტურებული ტრადიციების შესწავლა.



არქეოლოგიური გათხრები. რეკონსტრუქცია

მეცნიერის თვალსაზრისი

არქეოლოგია არის როგორც ფიზიკური საქმიანობა საველე მუშაობის დროს, ისე ინტელექტუალური კვლევა. სწორედ ესაა მისი უდიდესი ხიბლი. საფრთხისა და დეტექტიური სამუშაოს ნაზავმა, ის მიმზიდველი გახადა როგორც ლიტერატურის, ისე კინოწარმოებისთვის, დაწყებული აგათა კრისტის დეტექტივით – „სიკვდილი ნილოსზე“, დამთავრებული სტივენ სპილბერგის კინოფილმით – „ინდიანა ჯონსი“.

არქეოლოგები
კოლინ რენფრიუ და პოლ ბანი

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ხართ არქეოლოგი. გუნდთან ერთად მიწისქვეშა გათხრებისას აღმოაჩინეთ დანახშირებული ხორბალი, ბრინჯაოს მახვილი და თიხის ფირფიტა უცნობი წარწერით. ა) აღწერეთ, არქეოლოგიური კვლევის რომელი ეტაპები გაიარეთ აღმოჩენამდე? ბ) განსაზღვრეთ, რა ტიპის ისტორიულ წყაროებს მიეკუთვნება აღმოჩენილი ნივთები. რომელია პირველადი წყარო და რატომ ფიქრობთ ასე? გ) რა დასკვნების გაკეთება შეგვიძლია ამ ნივთების საფუძველზე იმდროინდელი ადამიანების ცხოვრების შესახებ? რას გვიჩვენებს ისინი საკვების, საქმიანობისა და ყოველდღიური ყოფის შესახებ?

2. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.

2. ქრონოლოგია, კალენდარი და წელთაღრიცხვა

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ, ახსნათ, რატომ არის მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგება; რა არის ქრონოლოგია, კალენდარი და წელთაღრიცხვა; მაგალითების მიხედვით გაარჩიოთ ერთმანეთისგან ისტორიული მოვლენა და ისტორიული პროცესი; იმსჯელოთ, თუ რატომ არის ეპოქებად დაყოფა პირობითი და როგორ აღიქვამს დროს სხვადასხვა ხალხი; შეადაროთ დროის საზომი ხელსაწყოები (მზის, წყლის, ქვიშის, ცეცხლოვანი და მექანიკური საათები).



მზის საათი (თურქეთი)



ეს საინტერესოა

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ პირველი კალენდრების შემქმნელები ქალები იყვნენ. ისინი აკვირდებოდნენ მთვარის ფაზებს (28-30-დღიან ციკლს), რათა აღერიცხათ ბუნების რიტმი და ბავშვების დაბადების დრო. ქალი იყო ის, ვინც აკავშირებდა მთვარის ციკლს ოჯახის ყოველდღიურობასთან.

დრო და მისი მნიშვნელობა

ისტორიის შესწავლისას საჭიროა მოვლენების თანამიმდევრობის სწორად დალაგება დროში. ამას ეწოდება ქრონოლოგია. სიტყვა „ქრონოლოგია“ ბერძნული წარმოშობისაა: „ქრონოს“ ნიშნავს დროს, „ლოგოს“ – სწავლას, მოძღვრებას. ქრონოლოგია ისტორიის „საათია“. მისი დახმარებით ჩვენ წარსულის ქაოსს ვაქცევთ მოწესრიგებულ ამბად, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი აქვს.

დროის გარეშე ისტორია კარგავს თავის მთავარ ფუნქციას, რადგან ისტორიკოსებისთვის დრო არა მხოლოდ თარიღები, არამედ მიზეზებისა და შედეგების კავშირია. **ისტორიული მოვლენა** არის ის, რაც მოხდა (მაგალითად, დაიწყო ომი); **ისტორიული პროცესი** კი მოვლენათა გრძელი ჯაჭვია. მაგალითად: თავდაპირველად ადამიანები თავს ნადირობითა და შემგროვებლობით ირჩენდნენ, შემდეგ კი დათესეს ხორბალი და მოიშინაურეს ცხოველები, რამაც გამოიწვია ადამიანების ერთ ადგილზე დასახლება და სოფლების, მოგვიანებით კი ქალაქების გაჩენა.

ისტორიკოსები დროს ეპოქებად ყოფენ. ამას **პერიოდიზაცია** ჰქვია. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ დაყოფა პირობითია. ეპოქების საზღვრებს იმის მიხედვით ადგენენ, თუ რა დიდი ცვლილება მოხდა. მაგალითად, ევროპელი ისტორიკოსისთვის შუა საუკუნეები რომის დაცემით იწყება, მაგრამ ჩინელი ან ინდოელი ისტორიკოსისთვის ეს თარიღი შეიძლება სულაც არ იყოს მნიშვნელოვანი.



ისტორიული მოვლენის მაგალითი – კარლ ბრიულოვი, „გეიზერიხის მიერ რომის აღება, 455 წელი“. 1833-1836 წწ. შექმნილი ტილო.

კითხვა

1. ტექსტში ნათქვამია, რომ ეპოქებად დაყოფა პირობითია. რას ნიშნავს ეს? რატომ შეიძლება ერთი და იმავე ისტორიული მოვლენის მნიშვნელობა სხვადასხვა ხალხისთვის განსხვავებული იყოს?

2. წარმოიდგინეთ, რომ 500 წლის შემდეგ ისტორიკოსი სწავლობს XXI საუკუნეს. თქვენი აზრით, რომელ ცვლილებას ან მოვლენას მიიჩნევს ის ჩვენი ეპოქის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად და რატომ?


„ბუნების საათი“ და პირველი კალენდრები

ძველი ადამიანები დროს ბუნებრივ მოვლენებზე დაკვირვებით განსაზღვრავდნენ. საათი თავად ბუნება იყო. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობდა სივრცე (გარემო). მაგალითად, ძველ ეგვიპტეში დროის აღრიცხვა და ყოველდღიური ცხოვრების რიტმი მთლიანად მდინარე ნილოსის ადიდებაზე იყო დამოკიდებული. ვინაიდან გარემომცველი სივრცე უდაბნოს წარმოადგენდა, წყალი მათთვის სიცოცხლესა და გადარჩენას ნიშნავდა.

დროთა განმავლობაში ადამიანმა დროის გასაზომი ხელსაწყოებიც გამოიგონა. ყველაზე ძველი მათ შორის იყო მზის საათი – მიწაში ჩამაგრებული ჯოხი ჩრდილს სხვადასხვა მიმართულებით აფენდა და საათებს აჩვენებდა; წყლისა და ქვიშის საათებში წვეთ-წვეთად ან მარცვალ-მარცვალ ჩამოდიოდა წყალი ან ქვიშა ერთი ჭურჭლიდან მეორეში და ამ ჩამოდინების სიჩქარით იზომებოდა დრო; ცეცხლოვანი საათი იყო სანთელი ან ნიშნებიანი ზონარი, რომელიც ნელა იწვოდა. მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, გამოჩნდა მექანიკური საათი.

როდესაც ადამიანებმა მომთაბარეობას თავი დაანებეს და მიწათმოქმედება დაიწყეს, დროის ზუსტი აღრიცხვა მათთვის მნიშვნელოვან საკითხად იქცა. ისინი აკვირდებოდნენ ბუნებასა და ციურ სხეულებს და ასე შექმნეს პირველი კალენდრები.

ძველმა ეგვიპტელებმა წელიწადი 12 თვედ, 365 დღედ, დაყვეს. მათ თვე ზუსტად 30 დღედ გადაანაწილეს. დარჩენილ 5 დღეს კი წლის ბოლოს „საჩუქრად“ ამატებდნენ და ამ დროს დიდ დღესასწაულებს მართავდნენ. წელიწადში მათ გამოყვეს არა ოთხი, არამედ სამი დიდი სეზონი, რომლებიც მდინარე ნილოსის „ქცევას“ იმეორებდა: ადიდება – როცა მდინარე ნაპირებიდან გადმოდიოდა (ეს იყო ახალი წლის დასაწყისი), აღმოცენება – თესვისა და მცენარეების ზრდის პერიოდი, მოსავლის აღება – როცა ხალხი ნაშრომს აგროვებდა.



ძველეგვიპტური მზის საათი. აღმოჩენილი მეფეთა ველზე. ძვ. წ. XIII ს. დამზადებულია კირქვისგან. ნახევარწრე გაყოფილია თორმეტ თანაბარ ნაწილად და აღნიშნავს თორმეტ საათს (მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე)

ეს საინტერესოა

ბაბილონელები ცის ნამდვილი მკვლევრები იყვნენ. სწორედ მათგან მივიღეთ კვირის შვიდ დღედ დაყოფა. რატომ მაინცდამაინც შვიდი? იმიტომ, რომ ისინი ცაზე შვიდ მოძრავ ციურ სხეულს ხედავდნენ: მზეს, მთვარეს და იმ დროისთვის ცნობილ ხუთ პლანეტას. ყოველ დღეს თავისი „მფარველი“ ჰყავდა ცაში.

კითხვა

3. რატომ ვერ აკმაყოფილებდა ძველი დროის საათები ადამიანების ყველა საჭიროებას? იმსჯელეთ თითოეული მათგანის ნაკლოვანებებზე.

4. როგორ ფიქრობთ, რატომ უკავშირდებოდა ეგვიპტელთა კალენდარი მდინარე ნილოსის ადიდებას და არა რომელიმე სხვა მოვლენას? რას გვიჩვენებს ეს ეგვიპტური საზოგადოების შესახებ?

5. რატომ გახდა კალენდარი მნიშვნელოვანი სწორედ მაშინ, როცა ადამიანებმა მიწის დამუშავება დაიწყეს?

6. წარმოიდგინეთ, რომ ძველ ეგვიპტეში ცხოვრობთ. როგორ შეიცვლებოდა თქვენი ყოფა, თუ ნილოსი ერთ წელს არ ადიდდებოდა? რა გავლენას მოახდენდა ეს თქვენი ოჯახის ცხოვრებაზე?

ეს საინტერესოა

თუ წელი სამნიშნაა (მაგალითად, 450), მოაშორეთ მხოლოდ ბოლო ორი ციფრი (50), დარჩენილ ერთ ციფრს (4) კი დაუმატეთ ერთი: 4+1=5. ასე მარტივად გაიგებთ, რომ 450 წელი არის V საუკუნე.

ოთხნიშნა წელზეც ზუსტად იგივე პრინციპი მოქმედებს, უბრალოდ, ბოლო ორი ციფრის მოშორების შემდეგ ორი ციფრი დაგრჩებათ (და არა ერთი). მაგალითად, 1067 წელი: მოვაშოროთ ბოლო ორი ციფრი (67), დარჩა 10. დავუმატოთ ერთი: 10+1=11, ანუ XI საუკუნე.


დაიმახსოვრეთ მნიშვნელოვანი გამონაკლისი (როგორც სამნიშნა, ისე ოთხნიშნა რიცხვებზე): თუ წელი ნულებზე მთავრდება (მაგალითად, 400 ან 1900), მაშინ ბოლო ორ ციფრს უბრალოდ ვაგდებთ და აღარაფერს ვუმატებთ. 400 წელი – IV საუკუნე, 1900 წელი – XIX საუკუნე, 2000 წელი – XX საუკუნე.

ჩვენი წელთაღრიცხვა

ძველ სამყაროში სხვადასხვა ხალხს ჰქონდა დროის ათვლის თავისი სისტემა, რომელიც უკავშირდებოდა რომელიმე ისტორიულ ან მითოლოგიურ მოვლენას. მაგალითად, ძველი ბერძნები წლებს პირველი ოლიმპიური თამაშებიდან ითვლიდნენ; რომაელები ათვლას ქალაქ რომის დაარსებიდან იწყებდნენ; ხოლო ძველმა ქართველებმა წლების ათვლა სამყაროს გაჩენიდან, ანუ „დასაბამითგან“ დაიწყეს (ეს დათვლა ქრისტეს შობამდე დაახლოებით 5604 წელს იწყებოდა). დღეს მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში საერთაშორისო სისტემად გამოიყენება ერთიანი ქრისტიანული წელთაღრიცხვა. ათვლის წერტილად მიჩნეულია იესო ქრისტეს შობა. სწორედ ეს მოვლენა ყოფს ისტორიას ორ დიდ ნაწილად:

1. ძველი წელთაღრიცხვა (ძვ. წ.), ანუ ქრისტეს წინ (ქ. წ.) – ყველაფერი, რაც მოხდა ქრისტეს დაბადებამდე;
2. ახალი წელთაღრიცხვა (ახ. წ.), ანუ ქრისტეს შობის შემდეგ (ქ. შ.).

ქრისტეს შობამდე წლები უკუღმა ითვლება. დროის ათვლის წერტილია ქრისტეს შობის წელი. ამ წერტილის შემდგომ წლებს ქრისტეს შემდეგ, ანუ ახალი წელთაღრიცხვის წლებს ვუწოდებთ და 1-იდან ზემოთ ვითვლით – 1, 2, 3 და ასე შემდეგ. ქრისტეს შობამდე წლებს (ძველი წელთაღრიცხვით) საპირისპირო მიმართულებით ვითვლით – 3, 2, 1. მაგალითად, ძვ. წ. 500 წელი უფრო შორეული წარსულია, ვიდრე ძვ. წ. 100 წელი.



დროის ხაზი – ისტორიის რუკა

ისტორია გრძელი გზაა. დროის ხაზი არის ამ გზის რუკა, რომელიც გვეხმარება, არ დავიბნეთ წარსულში. ის გვიჩვენებს არა მხოლოდ თარიღებს, არამედ იმასაც, თუ რამდენად დიდი დრო აშორებს მოვლენებს ერთმანეთისგან.

დროის ხაზზე ვხედავთ, რომ, მაგალითად, ეგვიპტის პირამიდების მშენებლობასა და კადეშის ბრძოლას შორის უფრო მეტი დროა გასული (დაახლოებით 1300 წელი), ვიდრე დავით აღმაშენებლის ეპოქასა და დღევანდელობას შორის.

ხშირად სხვადასხვა ქვეყანაში მოვლენები ერთდროულად ვითარდებოდა. დროის ხაზზე კი შეგვიძლია დავინახოთ, რა ხდებოდა საქართველოში მაშინ, როცა ეგვიპტეში პირამიდებს აგებდნენ. ბოლოს, ის გვიცავს შეცდომისგან, რომ არ აგვერიოს, რა მოხდა ადრე და რა – გვიან.

დროის ხაზზე მარცხნივ ყოველთვის უფრო ძველი ამბავია, მარჯვნივ კი – უფრო ახალი.

მაგალითისთვის გავიაზროთ ძველი წელთაღრიცხვით (ძვ. წ.) დათარიღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა:

ძვ. წ. IV ათასწლეული – შუმერებმა მესოპოტამიაში ააშენეს პირველი ქალაქები და გამოიგონეს დამწერლობა;


ძვ. წ. 2600 წ. – ეგვიპტეში აიგო ხეოფსის დიდი პირამიდა;


ძვ. წ. 1274 წ. – ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის მოხდა კადეშის ცნობილი ბრძოლა.

? კითხვა

7. რატომ ითვლიდნენ ძველი ქართველები, რომაელები და ბერძნები დროს სხვადასხვა მოვლენიდან?

8. აუცილებელია თუ არა მსოფლიოსთვის საერთო წელთაღრიცხვა? რა პრობლემები შეიქმნებოდა წინააღმდეგ შემთხვევაში? პასუხი დაასაბუთეთ.





საუკუნე და ათასწლეული

ეს საინტერესოა

რატომ არ არსებობს ნულოვანი წელი? კალენდარში ძვ. წ. 1 წლის შემდეგ მაშინვე იწყება ახ. წ. 1 წელი. იმიტომ რომ, როდესაც ეს სისტემა გამოიგონეს, ევროპაში ციფრ ნულს ჯერ კიდევ არ იცნობდნენ.

კითხვა

9. რატომ არ არის საკმარისი ისტორიის შესასწავლად მხოლოდ წლების მიხედვით ინფორმაციის დალაგება და რატომ იყენებენ ისტორიკოსები საუკუნეებსა და ათასწლეულებს?

საუკუნე და ათასწლეული

ისტორიკოსები დროს საუკუნეებითა და ათასწლეულებით ზომავენ.

1. საუკუნე (ასწლეული) – 100 წელი. საუკუნეების აღსანიშნავად ისტორიკოსები იყენებენ რომაულ და არაბულ ციფრებს:

1-100 წელი – I საუკუნე (1-ელი საუკუნე);
101-200 წელი – II საუკუნე (მე-2 საუკუნე);
1901-2000 წელი – XX საუკუნე (მე-20 საუკუნე).

2. ათასწლეული – 1000 წელი. ეს დროის კიდევ უფრო დიდი მონაკვეთია. ისტორიკოსები ათასწლეულებს იყენებენ მაშინ, როცა ძველ ამბებზე გვიყვებიან, მაგალითად, როდის მოიშინაურა ადამიანმა ცხოველები:

I ათასწლეული: 1-1000 წლები;
II ათასწლეული: 1001-2000 წლები;
III ათასწლეული: 2001-3000 წლები.

ა. ბ. ისტორიული ეპოქების ამსახველი ილუსტრაციები





ისტორიული ეპოქები

ადამიანები ისტორიის თითოეულ ეტაპზე სხვადასხვანაირად ცხოვრობდნენ, განსხვავებული სამოსი ეცვათ და ნივთებიც თავისებური ჰქონდათ. ამ არაერთგვაროვან პერიოდებს ეპოქები ეწოდება.

- **პრეისტორია** (პირველყოფილი ხანა) – ეს არის ყველაზე გრძელი ეპოქა, რომელიც ადამიანის გაჩენიდან დამწერლობის გამოგონებამდე გრძელდებოდა. ამ დროს ადამიანები იყენებდნენ ქვის იარაღებს;
- **ძველი სამყარო** (უძველესი ისტორია) – ის იწყება დამწერლობის გამოგონებით და გრძელდება V საუკუნემდე. ამ დროს ჩნდება პირველი დიდი ქალაქები, სახელმწიფოები და კანონები (მაგ., შენდება ეგვიპტის პირამიდები; იმართება ძველი საბერძნეთის ოლიმპიური თამაშები; ფარნავაზ მეფე აარსებს ქართლის სამეფოს);
- **შუა საუკუნეები** – ეს პერიოდი V საუკუნიდან XV საუკუნემდე (ამერიკის აღმოჩენამდე) გრძელდება. ამ დროს ჩნდებიან რაინდები; შენდება ციხესიმაგრეები, ქრისტიანობა ორ ნაწილად, მართლმადიდებლურ და კათოლიკურ, სამყაროდ იყოფა. საქართველოში ეს არის დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის „ოქროს ხანა“, ევროპაში კი – ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდი და რენესანსის დასაწყისი;
- **ახალი დრო** – XV-XVI საუკუნეებიდან პირველი მსოფლიო ომის დასაწყისამდე (1914 წელი). ამ დროს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების წყალობით იზრდება ადამიანის ცოდნა მანამდე უცნობი სამყაროსა და ცივილიზაციების შესახებ; ვითარდება მეცნიერება; ჩნდება პირველი მანქანები (მაგ., ამ ეპოქაში პირველად გამოჩნდა ორთქლისძრავიანი მატარებელი);
- **თანამედროვე ეპოქა** (უახლესი ისტორია) – ეს პერიოდი XX საუკუნიდან იწყება და დღემდე გრძელდება (ამ დროს ჩაეყარა საფუძველი კოსმოსის ათვისებას; გამოჩნდა კომპიუტერები, ინტერნეტი და დაიწყო ციფრული ტექნოლოგიების რევოლუცია).

! დავალება

1. დახაზეთ დროის ხაზი. შუაში მონიშნეთ 0 – ქრისტეს შობის წერტილი. 0-იდან მარცხნივ იქნება ძველი წელთაღრიცხვა, მარჯვნივ – ახალი წელთაღრიცხვა. გაითვალისწინეთ: ყოველი 1 სანტიმეტრი უდრის 500 წელს. ხაზზე მონიშნეთ ხუთი თარიღი ტექსტიდან: ა) ძვ.წ. IV ათასწლეული – შუმერების პირველი ქალაქები; ბ) ძვ. წ. 2600 – ხეოფსის პირამიდა; გ) ძვ. წ. 1274 – კადეშის ბრძოლა; დ) 1121 – დიდგორის ბრძოლა; ე) 1914 – პირველი მსოფლიო ომის დაწყება. განსაზღვრეთ, რომელ მოვლენებს შორის არის ყველაზე მცირე და ყველაზე დიდი დროითი ინტერვალი; ახსენით, როგორ გეხმარებათ დროის ხაზი ისტორიული მოვლენების თანმიმდევრობის, ხანგრძლივობისა და ურთიერთკავშირის გააზრებაში.
2. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.

გ.



დ.



პრეისტორია

3. მომთაბარეობიდან ცივილიზაციამდე

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ, იმსჯელოთ ადამიანის წარმოშობაზე, ნეოლითის რევოლუციაზე, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გარდამტეხ მოვლენაზე, რომელმაც შეცვალა ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან; თქვენ შეადარებთ მომთაბარე და ბინადარი ცხოვრების სტილს და ახსნით, როგორ წარმოშვა მიწათმოქმედებამ საკუთრებისა და სახელმწიფოს იდეა; დაასაბუთებთ კავშირს გეოგრაფიულ გარემოსა და პირველი ცივილიზაციების აღმოცენებას შორის; ჩამოთვლით და ახსნით ცივილიზაციის ხუთ ძირითად ნიშანს; ჩამოაყალიბებთ, რა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ჰქონდათ ცივილიზაციებს.



ბიზონის გამოსახულება ალტამირას გამოქვაბულში (ესპანეთი)





ნადირობის სცენა. საფრანგეთი. ლასკო



მეცნიერის თვალსაზრისი

რამ აიძულა ადრეული ადამიანი, დაეტოვებინა აფრიკა და საცხოვრებელი ადგილი ევროპასა და აზიაში ეძებნა? ამ რთულ კითხვას მეცნიერები სხვადასხვანაირად პასუხობენ. ჩვენი აზრით, ყველაზე სწორი ახსნაა ის, რომ მიგრაციას იწყებს ჩლიქოსანი ცხოველების ჯგუფი, რომლებიც ეძებენ ახალ საარსებო ტერიტორიას, ხოლო ადამიანი მიჰყვება ცხოველების გადაადგილებას, რადგან ჩლიქოსნები მათი ნადირობისა და კვების ძირითადი ობიექტები არიან. როგორც ჩანს, ერთხელ ადგილმონაცვლებული ადრეული ადამიანი შედარებით ადვილად აღწევს თავს ტროპიკულ გარემოს და შემოდის ზომიერი ჰავის ზოლში... მისი ერთი შტო მიემართება აღმოსავლეთისაკენ, ხოლო მეორე – ევროპისაკენ.

აკადემიკოსები:
აბესალომ ვეკუა,
დავით ლორთქიფანიძე

პრეისტორია – კაცობრიობის აკვანი

პრეისტორია (ანუ დამწერლობამდელი პერიოდი) კაცობრიობის ისტორიის ყველაზე ხანგრძლივი ხანაა. ამ დროის შესახებ ჩვენი ცოდნა ეყრდნობა ნივთიერ წყაროებს – მიწაში ნაპოვნ ძვლებსა და ქვის იარაღებს. ამავე ეპოქაში ყალიბდება ადამიანის თანამედროვე ტიპი.

ადამიანის წარმოშობის ორი ძირითადი მოსაზრება არსებობს: 1. რელიგიური შეხედულებით, ადამიანი და ჩვენ გარშემო არსებული სამყარო შექმნა ღმერთმა; 2. მეცნიერთა ნაწილს კი მიაჩნია, რომ ადამიანი უძველეს დროს ჩამოყალიბდა ევოლუციის გზით დედამიწაზე მცხოვრები პრიმატების, ადამიანთა მსგავსი ჰომინინების, განვითარების შედეგად.

უკანასკნელ ხანს გაჩნდა ახალი თეორია, რომელიც ამ ორი მიმართულების ერთგვარ შერწყმას წარმოადგენს. ამ იდეის მიხედვით, სიცოცხლე, მართლაც, ევოლუციის გზით განვითარდა, თუმცა ამ პროცესის მამოძრავებელი და შემოქმედი ღმერთია.

კაცობრიობის ისტორიის აღწერას ჩვენ ვიწყებთ ძველი ქვის ხანიდან, რომელიც 2.5 მილიონი წლის წინათ დაიწყო. ამ პერიოდში აფრიკაში ცხოვრობდნენ ადამიანების შორეული წინაპრები – ჰომინინები, რომელთაგან ყველაზე ადრეულს იარაღის დამზადების უნარის გამო მარჯვე ადამიანი (Homo habilis) უწოდეს. მოგვიანებით ჩამოყალიბდა ევოლუციის ახალი საფეხური – გამართულად მოსიარულე ადამიანი (Homo erectus). მათ დახვეწეს ქვის პრიმიტიული იარაღები და დაიწყეს ცეცხლის გამოყენება.

ძველი ქვის ხანა – პალეოლითის ეპოქა

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ადამიანის წინაპარმა, დაახლოებით, 2-1.8 მილიონი წლის წინ განსახლება დაიწყო აფრიკის გარეთ, ევროპასა და აზიაში, ხოლო მოგვიანებით – დედამიწის სხვა ადგილებში. აფრიკის შემდეგ პირველყოფილი ადამიანის ყველაზე ძველი კვალი ნაპოვნია საქართველოში, დმანისის ტერიტორიაზე.

დმანისში აღმოჩენილი ჰომინინები. რეკონსტრუქცია





დმანისში აღმოჩენილი ჰომინინები. რეკონსტრუქცია

ადამიანები პატარა ჯგუფებად ცხოვრობდნენ გამოქვაბულებსა და თავშესაფრებში, რომლებსაც ხის ტოტებისა და ცხოველის ტყავებისგან აგებდნენ. გადარჩენისთვის აუცილებელი იყო ერთად შრომა, ნადირობა და ბავშვებზე ზრუნვა. ადამიანმა ამ დროს ისწავლა ქვის დამუშავება და ის ნაჯახად, დანად და შუბის პირად აქცია. ქვის იარაღის გამო ეწოდა ამ ხანას ქვის ხანა. განვითარების შემდეგ ეტაპზე ჰომინინები იქცნენ ჰომო საპიენსად (Homo sapiens), ანუ გონიერ ადამიანად, სწორედ ისინი ითვლებიან თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპრებად.

კლიმატური ცვლილებები დედამიწაზე, მეზოლითის ეპოქა

საუკუნეთა განმავლობაში ბუნება არაერთხელ შეიცვალა. პლანეტაზე რამდენჯერმე მომხდარმა გლობალურმა გამყინვარებამ და დათბობამ სრულიად გადაასხვაფერა დედამიწის ფლორა და ფაუნა. შესაბამისად, შეიცვალა ადამიანების ყოველდღიური ყოფაც. კლიმატური ცვლილებები იწვევდა მიგრაციის დიდ ტალღასაც. ადამიანები ტოვებდნენ იმ რეგიონებს, სადაც ცხოვრება შეუძლებელი იყო და ხელსაყრელ ადგილებს აფარებდნენ თავს.

ძვ. წ. XIII-XII ათასწლეულში დასრულდა გამყინვარების პერიოდი და დაიწყო თანდათანობითი დათბობა. მაშინდელი კლიმატი სრულებით არ ჰგავდა დღევანდელს, მაგალითად, საჰარის უდაბნო, საკმარისი ნალექების წყალობით, საცხოვრებლად ვარგისი გახლდათ. დღეს კი საჰარის უდიდეს ნაწილში მაღალი ტემპერატურის გამო ცხოვრება შეუძლებელია. XX საუკუნეში, როცა უდაბნოში გზა გაჰყავდათ, უამრავ უძველეს ნამოსახლარს წააწყდნენ.

დაახლოებით, ძვ. წ. 12 000 წელს, მაშინ, როცა ბოლო გამყინვარება დასრულდა, კაცობრიობის ისტორიაში გარდამავალი პერიოდი – მეზოლითი, იგივე შუა ქვის ხანა – დაიწყო. ადამიანებს ახალი მიწების გამოყენებისა და დასახლების საშუალება მიეცათ.



ლექსიკონი

ჰომინინი – პრიმატების ჯგუფი, რომელიც აერთიანებს თანამედროვე ადამიანს (Homo sapiens) და მის უშუალო, გადაშენებულ წინაპრებს.

ევოლუცია – თანდათანობითი განვითარება, რომელიც იწვევს ნიშან-თვისებების ეტაპობრივ ცვლილებებს.

მიგრაცია – მოსახლეობის გადაადგილება საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზნით.

კითხვა

1. წარმოიდგინეთ, რომ აღმოაჩინეთ პრეისტორიული ადამიანის სადგომი. დაასახელეთ სამი ნივთიერი მტკიცებულება, რომლებიც დაგარწმუნებდათ, რომ აქ ადამიანები ცხოვრობდნენ და განმარტეთ, რას გვიამბობს თითოეული მათგანი.
2. რა იყო მომთაბარე ცხოვრების ყველაზე დიდი სირთულე და რა – ყველაზე დიდი უპირატესობა? რატომ იყო აუცილებელი მომთაბარე ადამიანისთვის მუდმივი გადაადგილება?
3. რატომ უწოდებენ მეცნიერები ამ პერიოდს „პრეისტორიულს“ და არა უბრალოდ „ისტორიას“?
4. რა მნიშვნელობა აქვს დმანისის აღმოჩენას კაცობრიობის ისტორიისთვის?



საფრანგეთი, ლასკოს მღვიმე, ძვ. წ. XVII ათასწლეული. მხატვარმა მღვიმის კედლები და ჭერი ცხოველების გამოსახულებით მოხატა. ერთ-ერთი ცხენი მოძრაობაშია ნაჩვენები

ეს საინტერესოა


ალტამირასა (ესპანეთი) და ლასკოს (საფრანგეთი) გამოქვაბულების მხატვრობა დაახლოებით 15 000-20 000 წლის წინ შეიქმნა. ადამიანები გამოქვაბულის კედლებზე ხატავდნენ ცხოველებს: ბიზონებს, ცხენებსა და ირმებს. ფერებს ისინი ბუნებრივი მასალებისგან ამზადებდნენ. წითელ და ყვითელ ფერებს იღებდნენ მიწის პიგმენტებისგან, შავს კი – ნახშირისგან. საღებავს კედლებზე ხელით, ცხოველის ბეწვისგან დამზადებული მარტივი ფუნჯებით ან სხვა ბუნებრივი საშუალებებით ხატავდნენ. ნახატებს ზოგჯერ გამოქვაბულის კედლის ბუნებრივ ფორმებსაც უხამებდნენ, რის გამოც ცხოველები მოცულობითი ჩანს. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს ნახატები ნადირობის წარმატებასთან დაკავშირებულ რიტუალებს ემსახურებოდა, სხვების აზრით კი, ისინი ადამიანთა რწმენას, ტრადიციებს ან მნიშვნელოვან ამბებს ასახავდა. მათი ზუსტი დანიშნულება დღემდე უცნობია, ამიტომ ეს უძველესი ნახატები ჯერ კიდევ მრავალ საიდუმლოს ინახავს.

პრეისტორიული ხელოვნება

პალეოლითის ეპოქაში ჩნდება პირველი ნახატები. პირველყოფილი ადამიანი გამოსახავდა ცხოველებს, ნადირობის სცენებსა და რიტუალებს. მსოფლიოში პრეისტორიული ხელოვნების რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლია შემონახული. მათ შორის გამოირჩევა ალტამირასა (ესპანეთი) და ლასკოს (საფრანგეთი) გამოქვაბულები. ზოგიერთ კედელზე მხატვარმა უკვე შეძლო სივრცისა და მოძრაობის გადმოცემა.

„ნეოლითური რევოლუცია“

დაახლოებით, ძვ. წ. IX-VIII ათასწლეულში კაცობრიობის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. ადამიანმა შეამჩნია, რომ მარცვლის დათესვა და ცხოველების მოშინაურება



რუკა 1. ნაყოფიერი ნახევარმთვარე

ლექსიკონი

ნეოლითი (ძვ. ბერძ.: „ნეო“ – ახალი, „ლითოს“ – ქვა). შესაბამისად, ნეოლითი ნიშნავს ახალი ქვის ხანას.



ნეოლითური ხანის დასახლება. რეკონსტრუქცია

გაცილებით მეტ საკვებს იძლეოდა, ვიდრე ნადირობა და შემგროვებლობა. თანდათან მან მიატოვა მომთაბარეობა და დაიწყო ერთ ადგილას ცხოვრება – მიწის დამუშავება და მუდმივი საცხოვრებლების შენება.

ამ დიდ ცვლილებას მეცნიერები „ხორბლის რევოლუციასაც“ უწოდებენ. ყველაფერი კი „ნაყოფიერ ნახევარმთვარეში“ დაიწყო, სადაც ადამიანმა პირველად დათესა ველური მარცვლეული. აქ იყო ყველაფერი, რაც მიწათმოქმედს სჭირდებოდა: დიდი მდინარეები – ტიგროსი, ევფრატი და ნილოსის დელტა; ნაყოფიერი მიწა – მდინარეებს მოჰქონდათ შლამი, რომელიც მიწას ანოყიერებდა; „ველური“ საკვები – ბუნებრივად იზრდებოდა ველური ხორბალი და ქერი.

ადამიანი დააკვირდა ბუნებას. თუკი ნეოლითურ ხანამდე იგი მხოლოდ იმას იღებდა, რასაც ბუნება აძლევდა, ახლა უკვე თავად აწარმოებდა საკვებს: თესავდა მარცვლეულს, უვლიდა და ამრავლებდა ცხოველებს. ამ ცვლილებამ მთლიანად გარდაქმნა ადამიანის ყოფა – მან მცენარეებისა და ცხოველების მოვლა-მოშენება დაიწყო. ძაღლი მას მომთაბარეობისას დაუახლოვდა, შემდეგ კი სხვა ცხოველებიც მოიშინაურა: თხა, ცხვარი, ღორი, ხარი და ძროხა. ასე დაუგროვდა მას რძე, მატყლი და ხორცი. ამრიგად, შემგროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლამ ადამიანს უარი ათქმევინა მომთაბარეობაზე და საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალ, ცივილიზებული ცხოვრების წესს.

კითხვა

5. იმსჯელეთ, რა უპირატესობას ანიჭებდა „ნაყოფიერი ნახევარმთვარე“ იქ მცხოვრებ პირველ მიწათმოქმედებს?

6. როგორი იქნებოდა დღეს ადამიანთა ცხოვრება, ნეოლითური რევოლუცია რომ არ მომხდარიყო?

ლექსიკონი

ნაყოფიერი ნახევარმთვარე – რეგიონი ახლო აღმოსავლეთში, სადაც საფუძველი ჩაეყარა მიწათმოქმედებას, პირველ დასახლებებსა და ცივილიზაციებს. ის მოიცავდა ტერიტორიას სპარსეთის ყურიდან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირომდე ნილოსის დელტის ჩათვლით. სწორედ აქ დაიწყო „ნეოლითური რევოლუცია“ – ადამიანები მომთაბარეობიდან გადავიდნენ ბინადარ ცხოვრებაზე.

ეს საინტერესოა

ისტორიკოსების ნაწილი ვარაუდობს, რომ მიწათმოქმედების აღმოჩენაში სწორედ ქალებმა შეასრულეს წამყვანი როლი. სანამ კაცები ნადირობდნენ, ქალები აგროვებდნენ მცენარეებს და მათ შენიშნეს კავშირი დათესილ მარცვალსა და ახალ თავთავს შორის. ეს იყო დაკვირვება და ცოდნა, რომელმაც ქალს ნეოლითურ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლი მიანიჭა.

პირველი სოფლების გაჩენა და პირველი ცივილიზაციები

როდესაც ადამიანმა მიწის დამუშავება და ცხოველების მოვლა დაიწყო, მას აღარ შეეძლო თავისი ყანები და ფარა მიეტოვებინა. ასე გაჩნდა პირველი მუდმივი დასახლებები – სოფლები. ერთ ადგილას დამკვიდრებამ ადამიანს მეტი თავისუფალი დრო მისცა. თუ ადრე მთელ დღეს ნადირობაში ატარებდნენ, ნელ-ნელა გაჩნდნენ ისინი, ვინც დახელოვნდნენ კონკრეტულ საქმეში – ვიღაც ჭურჭელს ამზადებდა თიხისგან (მეთუნეობა), ვიღაც ცხვრის მატყლისა და სელისგან ქსოვილებს ქსოვდა (ფეიქრობა), ვიღაც კი ქვისა და ხის იარაღებს თლიდა. ასე გაჩნდა და განვითარდა ხელოსნობის სხვადასხვა დარგი.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნეოლითური დასახლება იყო იერიქონი (მდებარეობდა თანამედროვე პალესტინის ტერიტორიაზე). იერიქონელებმა ააშენეს ქვის ოთხმეტრიანი კედელი და მაღალი კოშკი. მათ დააგროვეს საკვების მარაგი (ხორბალი), რაც სხვა ტომებისთვის მიმზიდველ ნადავლად იქცა, ამიტომ კედელი მათთვის მტრებისგან თავდასაცავ ზღუდეს წარმოადგენდა.

თურქეთის ტერიტორიაზე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს კიდევ ერთი უძველესი დასახლება – ჩათალჰოიუქი. აქ ერთმანეთთან მიდგმული ბრტყელსახურავიანი სახლები უზარმაზარ სივრცეს ქმნიდა, ქუჩები კი საერთოდ არ არსებობდა. ადამიანები სახურავებზე დადიოდნენ და სახლში ჭერიდან კიბით ჩადიოდნენ. ქალაქი „ფუტკრის სკას“ ჰგავდა – ასეთი წყობა უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფდა და სითბოსაც ინარჩუნებდა.

კითხვა

7. რატომ ვერ ვითარდებოდა მეთუნეობა მომთაბარე ცხოვრების დროს? დაასახელეთ ხელოსნობის დარგები, რომელთა განვითარებაც ბინადარ ცხოვრებას უკავშირდება და ახსენით რატომ?

ლექსიკონი

სელი – ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარე, რომელსაც კაცობრიობა ათასწლეულების განმავლობაში იყენებს როგორც ბოჭკოს (ქსოვილის ძაფისთვის), ისე ზეთისა და საკვები თესლის მისაღებად.

მეთუნეობა – გამომწვარი თიხისგან ჭურჭლის დამზადება.



იერიქონი.
რეკონსტრუქცია

ცივილიზაცია და მისი მთავარი ნიშნები

ცივილიზაცია აღმოცენდა მაშინ, როცა ადამიანებმა ერთმანეთის დასაცავად საერთო წესების შემოღება და რესურსების სამართლიანად განაწილება დაიწყეს.

სიტყვა „ცივილიზაცია“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან „ცივილის“ (civilis), რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „საზოგადოებრივი“, ე.ი. ცივილიზაცია – ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების წესი. ადამიანები აღარ ცხოვრობდნენ პატარა ჯგუფებად, არამედ იკრიბებოდნენ ქალაქებში, ქმნიდნენ საერთო წესებს, ვაჭრობდნენ და ერთობლივად აღწევდნენ იმას, რასაც ადამიანი ცალკე ვერ შეძლებდა.

ამრიგად, ცივილიზაცია არის საზოგადოების განვითარების ისეთი ეტაპი, როდესაც ადამიანები ქმნიან ქალაქებს, აყალიბებენ მმართველობის სისტემას, ავითარებენ ეკონომიკას, კულტურასა და დამწერლობას.

ცივილიზაციის ხუთი მთავარი ნიშანია: 1. ქალაქი – ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრი; 2. ორგანიზებული მმართველობა – მეფეები, კანონები და სახელმწიფო; 3. განვითარებული ეკონომიკა – ჭარბი საკვებისა და ვაჭრობის შესაძლებლობა; 4. კულტურა და რელიგია – საერთო რწმენა, ტაძრები და ხელოვნება; 5. დამწერლობა – ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის საშუალება.

ეს საინტერესოა

ძველ მსოფლიოში ცნობილი ოთხი დიდი უძველესი ცივილიზაცია მდინარეების პირას აღმოცენდა: მესოპოტამიაში (შუამდინარეთში) – მდინარე ტიგროსსა და მდინარე ევფრატს შორის; ეგვიპტეში – მდინარე ნილოსის ნაპირებზე; ინდოეთში – მდინარე ინდის ნაპირებზე და ჩინეთში – მდინარე ხუანხესა და იანძის ხეობებში. ამიტომაც მათ „სამდინარო ცივილიზაციებსაც“ უწოდებენ. (სახელმძღვანელოს ბოლოს იხილეთ დანართი: რუკა – სამდინარო ცივილიზაციები).

მდინარის აუზი მიწათმოქმედებისთვის საუკეთესო გარემოს ქმნიდა, თანაც, ნავებითა და ტივებით ტვირთის გადატანა ადვილი იყო. იქ კვებისთვის აუცილებელი პროდუქტებიც მოიპოვებოდა.

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ არქეოლოგებმა აღმოაჩინეს დიდი დასახლება, სადაც არის ლამაზი ნაგებობები და ხელოვნების ნიმუშები, მაგრამ ჯერ ვერ იპოვეს დამწერლობის კვალი. შეიძლება თუ არა ამ საზოგადოების ცივილიზაციად მიჩნევა? პასუხი დაასაბუთეთ: გამოიყენეთ ცივილიზაციის ნიშნები; იმსჯელეთ, აუცილებელია თუ არა ყველა ნიშნის არსებობა?
2. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.


ჩათალჰოიუქი.
რეკონსტრუქცია



ძველი ცივილიზაციები

4. შუმერი

ამ პარაგრაფის გაცნობით თქვენ შეაფასებთ შუმერული გამოგონებების – ბორბლის, გუთნისა და ლურსმული დამწერლობის – გავლენას კაცობრიობის ისტორიაზე; ახსნით შუმერული ქალაქ-სახელმწიფოების მოწყობის პრინციპსა და ზიქურათის, როგორც რელიგიური და ადმინისტრაციული ცენტრის, მნიშვნელობას; აღმოაჩენთ კავშირს შუმერულ მათემატიკურ სისტემასა და თანამედროვე დროის აღრიცხვას შორის.



ქალაქ ურის დიდი ზიქურათი (ერაყი)



შუმერები

შუმერების უძველესი ცივილიზაცია წარმოიშვა დიდი მდინარეების – ტიგროსისა და ევფრატის – ნაპირებზე, ანუ შუამდინარეთში. ძველი ბერძნები ამ რეგიონს მესოპოტამიას უწოდებდნენ. შუმერები პირველები იყვნენ მსოფლიოში, რომლებმაც ქალაქური ცხოვრების წესი დაამკვიდრეს. ძვ. წ. IV ათასწლეულში ისინი რამდენიმე ქალაქ-სახელმწიფოში ცხოვრობდნენ. მათ შორის ყველაზე ძლიერი იყო ურუქი, ური და ლაგაში.

შუმერებმა განავითარეს ტექნიკის, მედიცინის, სამართლისა და მეტალურგიის მრავალი დარგი. მესოპოტამიაში არ მოიპოვებოდა არც ხე-ტყე და არც ლითონი, სამაგიეროდ, უხვად იყო თიხა, წყალი, ლერწამი და სელი. სწორედ ამ მასალებმა შეუწყო ხელი პირველი ცივილიზაციის ჩამოყალიბებას:

- შუმერებმა გამომშრალი თიხისგან დაამზადეს აგურები და ააშენეს უზარმაზარი ტაძრები – ზიქურათები;
- თიხა შუმერებისთვის უნივერსალური მასალა იყო, გარდა უზარმაზარი ტაძრებისა (ზიქურათები), ისინი ამზადებდნენ თხელ საწერ ფირფიტებს, რომლებზეც პირველი ლურსმული დამწერლობა შექმნეს;
- სელს შუმერები არა მხოლოდ საკვებად (ზეთისთვის) იყენებდნენ, არამედ მისგან საუკეთესო ხარისხის ძაფს ამზადებდნენ. სელის ქსოვილისგან კერავდნენ სამოსსაც;



ეს საინტერესოა

შუმერებამდე ადამიანები ტვირთს ან თავად ეზიდებოდნენ, ან ცხოველთა საშუალებით გადაჰქონდათ. დიდი ტვირთის გადაზიდვა უამრავ პრობლემასთან იყო დაკავშირებული, რომელთა გადაჭრაში გადამწყვეტი როლი მეთუნეებმა შეასრულეს. მათ შრომის გასაადვილებლად სრულიად ახალი მექანიზმი მოიფიქრეს. შუმერი მეთუნეები ბორბლის მოყვანილობის ჩარხებს იყენებდნენ, რათა თიხისგან იდეალურად მრგვალი ჭურჭელი გამოეძერწათ. ერთ დღესაც მეთუნეებმა ისინი ვერტიკალურად დააყენეს, ორი წყვილი ღერძით დაუკავშირეს ერთმანეთს და მასზე ურმის ხის კონსტრუქცია დაამაგრეს. ასე გაჩნდა პირველი ურემი, რომლითაც ვაჭრებს შორ მანძილზე გადაჰქონდათ საქონელი. მოგვიანებით შუმერებმა ბორბლები საბრძოლო ეტლებსაც მიამაგრეს, რამაც ომის ხელოვნება სრულიად შეცვალა.



რუკა 2. შუმერული ქალაქ-სახელმწიფოები

- შუმერებმა პირველებმა გამოიგონეს ბორბალი და იალქნიანი ნავი, რამაც სავაჭრო ტვირთების გადაზიდვა გააადვილა;
- შექმნეს სარწყავი სისტემები, რამაც განავითარა მიწათმოქმედება.

კითხვა

1. რატომ იყო თიხის (აგურის) გამოწვა (გამყარება) მნიშვნელოვანი? რა დაემართებოდა უბრალო, მზეზე გამომშრალი თიხისგან აშენებულ ზიქურათს ძლიერი წვიმის დროს?
2. შუმერების რომელი მიღწევა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად? ახსენით, რა გავლენა მოახდინა მან კაცობრიობის განვითარებაზე.

ლექსიკონი

ზიქურათი – ტაძარი, რომელიც რელიგიისა და ძალაუფლების სიმბოლო იყო. აქ ინახებოდა მოსავლის მარაგი, რაც იმას ნიშნავდა, რომ, ვინც ტაძარს აკონტროლებდა, ის უზრუნველყოფდა ქალაქის კეთილდღეობას.

ურუქი – მსოფლიოს პირველი ქალაქი

კაცობრიობის ისტორიაში პირველ ნამდვილ ქალაქად ითვლება შუამდინარეთის ქალაქი ურუქი, რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულში დაარსდა. ლეგენდის თანახმად, ურუქს გარს ერტყა ცხრაკილომეტრიანი სქელი კედელი, რომელიც მეფე გილგამეშმა ააგო. ურუქის ცენტრში მდებარეობდა დიდებული ტაძარი – ზიქურათი, რომელიც სიყვარულისა და ომის ქალღმერთ ინანას ეძღვნებოდა. შუმერებს სწამდათ, რომ, სანამ ქალ-ღვთაება მათ ქალაქში „ცხოვრობდა“, ურუქი ძლიერი იქნებოდა. ლუგალი (ასე ეძახდნენ, ზოგადად, მეფეს) ითვლებოდა ქალაქის მფარველი ღვთაების წარმომადგენლად დედამიწაზე. შუმერული გაგებით, მეფის ძალაუფლება, პირველ რიგში, ქვეყანაში სამართლიანობის დამყარებასა და კანონის უზენაესობას გულისხმობდა. მეფე ვალდებული იყო, დაეცვა ქვრივი და ობოლი ძლიერების ჩაგვრისგან.

შუმერული საზოგადოება სხვადასხვა სოციალურ ფენად იყოფოდა: უმაღლესი ფენა იყო მეფე და ქურუმები. ისინი ღვთაებებთან შუამავლებად ითვლებოდნენ; შემდეგ მოდიოდნენ მოხელეები და მწერლები, რომლებიც მართავდნენ ქალაქს და აღრიცხავდნენ მოსავალს; ხელოსნები და ვაჭრები კი ქმნიდნენ ნივთებს და სხვადასხვა ქვეყანაში გაჰ-



ქალაქი ურუქი.
რეკონსტრუქცია

ეს საინტერესოა

როგორ ამზადებდნენ შუმერები აგურებს? ისინი მდინარის ნაპირებიდან იღებდნენ სველ თიხას, ურევდნენ წყალს და უმატებდნენ დაქუცმაცებულ ჩალას ან ლერწამს. ასე თიხა გაშრობისას აღარ სკდებოდა. მიღებულ მასას ტკეპნიდნენ სპეციალურ ხის ოთხკუთხა ჩარჩოებში (ყალიბებში), რაც საშუალებას აძლევდათ, მიეღოთ თანაბარი ზომის აგურები, რომლებიც სწრაფი მშენებლობისთვის აუცილებელი იყო. შემდეგ ყალიბიდან ამოღებულ სველ აგურებს გარკვეული დროით ტოვებდნენ მზეზე და საბოლოოდ იღებდნენ სტანდარტულ სამშენებლო აგურს (ალიზს). ზოგჯერ მზეზე გამშრალ აგურებს სპეციალურ თიხის ქურებში აწყობდნენ და დიდი ხნით წვავდნენ, სანამ ისინი წითელ ან მოყვითალო ფერს არ მიიღებდა და ქვასავით მტკიცე არ გახდებოდა.

კითხვა

3. შეადარეთ შუმერული და თანამედროვე საზოგადოების სოციალური მოწყობა. იმსჯელეთ, რა მსგავსებები და განსხვავებები არსებობს სოციალური ფენების, მმართველობისა და ადამიანების საქმიანობის მიხედვით?

4. რა კავშირი არსებობდა შუმერულ საზოგადოებაში ადამიანების საქმიანობასა და სოციალური ფენების ჩამოყალიბებას შორის? იმსჯელეთ ტექსტზე დაყრდნობით.

ქონდათ; შემდეგი ფენა იყვნენ მიწათმოქმედები, რომელიც საზოგადოების ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენდა და რომელიც ყველას კვებავდა; ყველაზე დაბალი სოციალური ფენა კი მსახურებისა და მონებისგან შედგებოდა.

ურუქის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა საკმარისზე მეტ პროდუქტს აწარმოებდა. შესაბამისად, გაჩნდა ცნებები: „საკუთრება“ და „ჭარბი საკვები“. წარმოიშვა სიმდიდრეც. საჭირო გახდა იმის გადაწყვეტა, როგორ გაენაწილებინათ დოვლათი. სწორედ მოსახლეობის მრავალფეროვნებამ და რესურსების მართვის აუცილებლობამ განაპირობა სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ეს საინტერესოა

შუმერებს იმდენად უყვარდათ თავიანთი გამოგონება – ლუდი, რომ მათ ამ სასმლის ქალღმერთიც კი ჰყავდათ, სახელად ნინკასი. ლუდი მათთვის მხოლოდ სასმელი კი არა, საკვების ნაწილიც იყო, რადგან ის ნოყიერი მარცვლეულისგან მზადდებოდა.

დამწერლობის შექმნა

დამწერლობის შექმნა იმ დროს უკავშირდება, როცა ადამიანმა ბევრი ინფორმაცია დააგროვა და საქონლის აღრიცხვა დასჭირდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ თავდაპირველად მონადირეები გამოქვაბულის კედლებზე გამოსახავდნენ, თუ რამდენი და რომელი ცხოველი მოინადირეს. მაგრამ ინფორმაციის გადაცემის ამ ადრეულ ფორმას ისინი დამწერლობად არ მიიჩნევენ. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს პატარა თიხის ფორმები – ბურთულები, კონუსები და პირამიდები. ეს იყო ძველი მსოფლიოს „საზომი ერთეულები“: მაგალითად, ერთი ფიგურა ნიშნავდა ერთ ცხვარს. იმისთვის, რომ არავის მოეტყუებინა, ამ ფიგურებს თიხისავე მრგვალ ბურთულაში (კონვერტში) დებდნენ და ზემოდან ბეჭდით ლუქავდნენ. ეს იყო ძველებური „ქვითარი“ – თუ ვინმე იდავებდა, ბურთულას გატეხდნენ და ფიგურებს გადათვლიდნენ.

მეურნეობის განვითარებასთან ერთად მოსახლეობას ბევრი პროდუქტი დაუგროვდა: ხორბალი, ცხვარი, ზეთი და სხვა. ზეპირად დამახსოვრება, ვის რამდენი მართებდა ან რამდენი ჰქონდა საწყობში, უკვე შეუძლებელი გახდა. სწორედ მაშინ მიხვდნენ შუმერები, რომ საჭირო იყო რაღაც, რაც ამ ინფორმაციას „შეინახავდა“ და დროსა თუ მანძილზე გადასცემდა.

დამწერლობის ერთ-ერთი პირველი ფორმა ძველ მესოპოტამიაში შუმერებმა შექმნეს (დაახლ., ძვ. წ. 3400 წ.). მწერლები სველ თიხაზე ლერწმის ან ხის წვეტიანი ჯოხით ხატავდნენ ნიშნებს. თიხაში დატოვებული ჯოხის კვალი სამკუთხედს, ანუ ლურსმანს ჰგავდა, ამიტომაც ამ დამწერლობას ლურსმული ეწოდა. თავიდან თითოეული ნიშანი ნივთს აღნიშნავდა (მაგ., თავის ნახატი აღნიშნავდა ადამიანს). მოგვიანებით ნიშნები ჯერ მარცვლებმა, შემდეგ კი ბგერებმა შეცვალა.



შუმერი მწერლები და მათი წერის ტექნიკა

ეს საინტერესოა

ყველა შუმერმა წერა-კითხვა არ იცოდა. არსებობდა სკოლა, რომელსაც ედუბა ერქვა, სადაც მკაცრი დისციპლინა იყო – ბავშვები ასობით ლურსმულ ნიშანს სწავლობდნენ. დაგვიანების ან შეცდომისთვის ზედამხედველი მოსწავლეებს ჯოხით სჯიდა. სკოლის დამთავრების შემდგომ მოსწავლეები ხდებოდნენ მწერლები (გადამწერები), რომლებიც საზოგადოების პატივსაცემით სარგებლობდნენ, ვინაიდან სამეფო ბრძანებებს, კანონებსა და სავაჭრო ხელშეკრულებებს ადგენდნენ.



უძველესი შუმერული თიხის ფირფიტა



წყარო

შუამდინარეთში გათხრების დროს აღმოჩენილ თიხის ფირფიტებზე მოთხრობილი იყო შუმერული სკოლის მოსწავლის ერთ დღის ამბავი:


– მოსწავლევ, ამდენ ხანს სად იყავი?

– სკოლაში ვიყავი.

– რა გააკეთე სკოლაში?

– ფირფიტა წავიკითხე, საუზმე შევჭამე, ფირფიტა მოვზილე, დავასრულე და შემდეგ საშინაო დავალება მომცეს. შუადღეს ჩემი წილი დავალება შევასრულე. როდესაც სკოლა დასრულდა, სახლში მივედი – მამაჩემი სახლში იყო. მას ჩემი ფირფიტა წავუკითხე და გავახარე. (შემდგომ) ვთქვი: მწყურია, წყალი დამალევინეთ! მშია, პური მაჭამეთ, ფეხები დამბანეთ, საწოლი გამიშალეთ, მეძინება. დილით გამაღვიძეთ, არ მინდა დავიგვიანო, თორემ მასწავლებელი გამიბრაზდება. როდესაც დილით ავდექი, დედაჩემს ვუთხარი: გამატანე საუზმე, სკოლაში უნდა წავიდე. მას შემდეგ, რაც დედაჩემმა ორი პური მომცა, სკოლისკენ გავეშურე. ჩემი დღის განრიგი, როდესაც სკოლაში ვარ, ასეთია: დასვენების დღეები – თვეში 3 დღეა, დღესასწაულები – თვეში 3 დღეა, თვეში სულ 24 დღეა, რომელსაც სკოლაში ვატარებ. დღეს (სკოლაში ყოფნისთვის) ბევრი დრო აღარ დამრჩა.

ტექსტი შუმერულიდან გაშიფრა სემიუელ კრამერმა



ლურსმული დამწერლობის განვითარების ეტაპები

კითხვა

5. რა იყო დამწერლობის შექმნის მთავარი მიზეზი – ადმიანების სურვილი, შეენახათ ცოდნა თუ პრაქტიკული საჭიროება?

6. წარმოიდგინეთ სამყარო, სადაც დამწერლობა საერთოდ არ არსებობს. როგორ გაიგებდნენ ადამიანები, რა მოხდა 100 წლის წინ? როგორ ისწავლიდით სკოლაში, თუ წიგნები არ იარსებებდა?

7. რა მსგავსება და განსხვავებაა თანამედროვე და შუმერი მოსწავლის დღის განრიგებს შორის?



შუმერული მათემატიკური ტექსტი

შუმერული მათემატიკის საიდუმლო

რატომ ვთვლით ყველაფერს ათობით (10, 20, 100...), ხოლო დროის გასაზომად და გეომეტრიაში უცებ 60-ზე გადავდივართ? რატომ არის საათში 60 წუთი, წრეში კი 360 გრადუსი? ამას შუმერებს უნდა ვუმადლოდეთ. მათ შექმნეს სამოცობითი სისტემა და დღესაც მათ მსგავსად ვანგარიშობთ.

რიცხვი 10 უნაშთოდ იყოფა მხოლოდ 4 რიცხვზე: 1, 2, 5 და 10-ზე. რიცხვი 60 კი უნაშთოდ იყოფა 12 რიცხვზე: 1, 2, 3, 4, 5, 6, 10, 12, 15, 20, 30 და 60-ზე! სწორედ ამ თვისების გამო შეეძლოთ შუმერ ვაჭრებს ხორბლის ტომარა ან მიწის ნაკვეთი წამებში დაეყოთ ნებისმიერ თანაბარ ნაწილებად.

? კითხვა

8. რატომ აირჩიეს შუმერებმა სწორედ 60 თავიანთი რიცხვითი სისტემის საფუძვლად? დაფიქრდით: რამდენ ნაწილად იყოფა 60 ნაშთის გარეშე და რამდენად – 10? რა უპირატესობას აძლევდა ეს მათ ვაჭრობაში?

შუმერული შტანდარტი (ძვირფასი ლურჯი ქვითა და ნიჟარებით შემკული ხის ყუთი) ქალაქ ურიდან. მეცნიერებმა მას „ომი და მშვიდობა“ უწოდეს. ბრიტანეთის მუზეუმი





წყარო

„გილგამეშიანი“ პირველი სათავგადასავლო ნაწარმოებია მსოფლიოში: ურუქის მეფე გილგამეში ნახევრად ღვთაება და ნახევრად ადამიანი იყო. ერთ დღეს იგი დაფიქრდა – რატომ უნდა მოვკვდე? ამის შემდეგ ცდილობდა, ეპოვა უკვდავების წამალი, თუმცა ბოლოს მიხვდა, რომ ადამიანს მხოლოდ თავისი კეთილი საქმეებითა და აშენებული ქალაქებით შეუძლია უკვდავების მოპოვება. მსოფლიოში უძველესი ლიტერატურული ნაწარმოები „გილგამეშიანი“ 1924 წელს პირველად თარგმნა ქართველმა ასირიოლოგმა მიხეილ (მიხაკო) წერეთელმა. სრული თარგმანი ეკუთვნის ზურაბ კიკნაძეს.



გილგამეში, ურუქის მეფე



მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1878-1965 წწ.)

შუმერების რწმენა-წარმოდგენები

შუმერებისთვის სამყარო იყო ადგილი, სადაც ადამიანები და ღვთაებები გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ. მათ სჯეროდათ, რომ ადამიანი მხოლოდ ერთი მიზნით გაჩნდა – ემუშავა მიწაზე და ემსახურა ღვთაებებისთვის, რათა ამ უკანასკნელთ დაესვენათ.

შუმერებს ასობით ღვთაება ჰყავდათ, მაგრამ სამყაროს „დიდი სამეული“ მართავდა, კერძოდ: **ანუ** – ცის ღვთაება და ყველა ღვთაების მამა. ის ყველაზე მაღლა, მიუწვდომელ ცაში ცხოვრობდა; **ენლილი** – ჰაერისა და ქარის მბრძანებელი. ის იყო ყველაზე ძლიერი და ხშირად მკაცრი ღვთაება, რომელიც კაცობრიობის ბედს წყვეტდა; **ენქი** – სიბრძნისა და წყლის ღვთაება. სწორედ მან შექმნა ადამიანები და ყოველთვის ცდილობდა მათ დაცვას.



მლოცველი შუმერი წარჩინებული – ებიჰ-ილი. შუმერების რწმენით, ადამიანს მუდმივად უნდა ელოცა. თუ ამას ვერ ახერხებდა, პატარა ფიგურებს ტოვებდა სამლოცველოში.

კითხვა

9. როგორ აისახებოდა შუმერულ მითებში რეალური საზოგადოებრივი ცხოვრება; როგორ ამართლებდა შუმერების რწმენები ადამიანის შრომასა და ვალდებულებებს?

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ხართ ძველი შუმერული ქალაქის (მაგალითად, ურუქის) მწერალი ან სკოლის მოსწავლე. დაწერეთ მოკლე წერილი ან დღიურის ჩანაწერი, სადაც აღწერთ ერთ ჩვეულებრივ დღეს. ნამუშევარში ნათლად უნდა ჩანდეს: ა) რაზე და რით წერთ (რა საწერ მასალას იყენებთ სკოლაში ან სამსახურში); ბ) როგორ იყენებთ შუმერულ 60-ობით მათემატიკურ სისტემას ყოველდღიურობაში (მაგალითად, დროის გაზომვისას ან ბაზარში ვაჭრობისას); გ) სამყაროს რომელი ღმერთის (ანუ, ენლილი, ენქი) გეშინიათ ან ვის სთხოვთ დახმარებას დღის განმავლობაში.

2. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.

5. აქადი და ბაბილონი

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ ახსნათ, რა არის იმპერია და რით განსხვავდება ის ქალაქ-სახელმწიფოსგან; შეისწავლით სარგონ დიდის რეფორმებს და ახსნით, რატომ გახდა აქადი დიდი იმპერია; თქვენ ნახავთ ბაბილონს – მის არქიტექტურას, რელიგიასა და სოციალურ ფენებს; იმსჯელებთ ხამურაბის კოდექსზე და შეაფასებთ, რამდენად სამართლიანი იყო ის საზოგადოების სხვადასხვა ფენისთვის.



იშთარის კარიბჭე (გერმანია)



აქადელები

აქადელები შუმერების მეზობლად, მესოპოტამიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ხალხი იყო. ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისში მათ ჩამოაყალიბეს ქალაქ-სახელმწიფო აქადი, რომლის ზუსტი ადგილმდებარეობა არქეოლოგებმა ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს.

აქადელებმა ბევრი რამ შეითვისეს შუმერული ცივილიზაციისგან – მიწათმოქმედება, მშენებლობის ტექნიკა და დამწერლობაც კი. მათ შუმერული ლურსმული ნიშნები საკუთარ ენას მოარგეს. თუმცა, მათ შორის ერთი პრინციპული განსხვავება მაინც შეინიშნება: თუ შუმერებისთვის მთავარი საკუთარი ქალაქის დამოუკიდებლობა იყო, აქადელებმა მიზნად დაისახეს არა ცალკეული ქალაქების, არამედ მთელი რეგიონის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანება.


აქადის ყველაზე ცნობილი მეფე სარგონ დიდია (დაახლოებით, ძვ. წ. 2334-2279 წწ.). მან შეძლო ის, რაც მანამდე წარმოუდგენელი ჩანდა – დაამარცხა შუმერული ქალაქების მეფეები, გააერთიანა მთელი მესოპოტამია და შექმნა კაცობრიობის ისტორიაში პირველი იმპერია. თუმცა, დიდი ქვეყნის სამართავად მხოლოდ ხმალი არ კმაროდა – სარგონმა შემოიღო წესები და სისტემები, რომლებმაც სამყარო სამუდამოდ შეცვალა. მან სახელმწიფოს სამართავად შექმნა ცენტრალიზებული მმართველობის სისტემა. სხვადასხვა ქალაქში დანიშნა თავისი მოხელეები და მმართველები, განავითარა საგადასახადო და ადმინისტრაციული სისტემა, რამაც იმპერიის მართვა უფრო ეფექტური გახადა.

ლექსიკონი

ცენტრალიზებული ეწოდება სახელმწიფოს მართვის ისეთ სისტემას, სადაც მთელი ძალაუფლება ერთი მმართველის (მეფის) ხელშია და ყველა ქალაქი ერთ ცენტრს ემორჩილება.

ეს საინტერესოა

სარგონის სახელი – შარრუმ-ქენ – ძველ აქადურ ენაზე „ჭეშმარიტ მეფეს“ ნიშნავს.





სარგონ აქადელის ნიღაბი ნინევიიდან (თანამედროვე ერაყის ტერიტორია)





კითხვა

1. რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა მთელი მესოპოტამიის გაერთიანებას ერთი მმართველის ქვეშ სარგონის ეპოქაში?
2. რატომ ითვლება სარგონის მიერ შექმნილი სახელმწიფო პირველ იმპერიად და რა განასხვავებდა მას ჩვეულებრივი ქალაქ-სახელმწიფოსგან?



წყარო

სარგონის დაბადება: „მე ვარ სარგონი, აქადის ძლიერი მეფე. დედაჩემი იყო ღვთის მსახური, მამაჩემის შესახებ კი არაფერი მსმენია. მამაჩემის ძმა მაღალი მთების მკვიდრია. ჩემი ქალაქი ევფრატზე მდებარეობს. დედამ მალულად მშობა. ჩამსვა დაწნულ კალათში და ჩემი თავი გაატანა მდინარეს. მდინარის დინებამ მიმიყვანა აქისთან. მან შვილად ამიყვანა და მებაღეობა მასწავლა. მიუხედავად იმისა, რომ მებაღე ვიყავი, იშთარის სიყვარულით ვიზრდებოდი, გავმეფდი და ვიყავი მათი მბრძანებელი“.

თარგმანი ლეონარდ უ. კინგის გამოცემის მიხედვით



ეს საინტერესოა

სარგონის ამბავი ჰგავს ბიბლიური მოსეს ისტორიას. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ სარგონმა ან მისმა შთამომავლებმა თავად გაავრცელეს ლეგენდა იმისთვის, რომ დაბალი ფენიდან სარგონის მეფედ ქცევა მისი ღვთის რჩეულობით აეხსნათ.

რელიგია და ძალაუფლება

აქადელებმა ბევრი შუმერული ღვთაება შეითვისეს და ისინი საკუთარ რელიგიურ წარმოდგენებს დაუკავშირეს, როგორც, მაგალითად, შუმერული სიყვარულის ქალ-ღვთაება ინანა და აქადური იშთარი, რომელიც ერთდროულად სიყვარულისა და ომის ქალ-ღვთაებად ითვლებოდა.

შუმერული ქალაქების მოსახლეობის გულის მოსაგებად სარგონმა თავისი ქალიშვილი, ენხედუანა, ქალაქ ურის უმაღლეს ქურუმად დანიშნა. ამით მან აქადური სამეფო ოჯახი შუმერულ ტაძრებთან დააკავშირა. ენხედუანამ დაწერა ლოცვები, სადაც ადიდებდა შუმერულ და აქადურ ღვთაებებს.



აქადური წარწერა ცილინდრულ საბეჭდავზე



სარგონის ქალიშვილი ენხედუანა. იგი იყო პირველი ქალი-ავტორი, რომლის სახელიც ჩვენთვის ცნობილია. მანამდე ტექსტებს ანონიმურად წერდნენ, მან კი ჰიმნებს საკუთარი სახელი დააწერა.




კითხვა

3. რატომ არ ჩაანაცვლეს აქადელებმა შუმერული ღვთაებები საკუთარით? როგორ დაეხმარა ეს მათ იმპერიის მართვაში?

4. წარმოიდგინეთ, რომ ენხედუანა ხართ. მიმართეთ შუმერ ქურუმებს – რით დაარწმუნებდით მათ, რომ აქადურ ღმერთებსაც ისეთივე პატივი ეკუთვნით, როგორიც შუმერულს?



აქადის მეფის, ნარამსინის, გამარჯვების სტელა



მეფე ნარამსინის საბეჭდავი. ნარამსინი იყო სარგონ დიდის შვილიშვილი, რომელმაც დაასრულა თავისი პაპის საქმე – გააფართოვა იმპერიის საზღვრები.

იმპერიის მართვა

სარგონ დიდმა ხმლით დაიპყრო უზარმაზარი ტერიტორია, თუმცა ხვდებოდა, რომ მხოლოდ ძალის გამოყენებით დიდ სახელმწიფოს ვერ შეინარჩუნებდა. ამიტომ სარგონმა და მისმა შთამომავლებმა გაატარეს მრავალი რეფორმა:

- შემოიღეს **ერთიანი სახელმწიფო ენა** – ვინაიდან აქადის სამეფო მრავალეთნიკური იყო, უმთავრეს დაბრკოლებას ერთმანეთთან კომუნიკაცია წარმოადგენდა. ამის გამო სარგონ დიდმა სახელმწიფო ენად აქადური გამოაცხადა. ამგვარად, აქადურმა ენამ გააერთიანა სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანები და სახელმწიფო აპარატი უფრო მოქნილი და ეფექტური გახადა. ეს იყო ისტორიაში ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როდესაც ენა პოლიტიკური ერთიანობისა და სტაბილურობის მთავარ ინსტრუმენტად იქცა;
- დააწესეს **ერთიანი ზომა-წონის სისტემა** – ვაჭრობის განვითარებამ საჭირო გახადა ერთიანი სტანდარტების შემოღება. სარგონმა შემოიღო ერთიანი ზომისა და წონის ეტალონები. მესოპოტამია ერთიან ეკონომიკურ სივრცედ იქცა – საქონლის ღირებულება ყველგან ერთნაირად იზომებოდა;
- შექმნეს **მუდმივი ჯარი** – შუმერულ ქალაქებს ჯარი მხოლოდ ომის დროს ჰყავდათ – გლეხები ტოვებდნენ ყანებს, იღებდნენ იარაღს და მიდიოდნენ საბრძოლველად. სარგონმა შექმნა მუდმივი ჯარი (დაახლოებით, 5400 მეომარი), რომლებიც ხელფასს (საკვებსა და ტანსაცმელს) იღებდნენ;
- საფუძველი ჩაუყარეს **პირველ სამეფო საფოსტო სისტემას** – აქადური საკურიერო ქსელი მხოლოდ მეფესა და მის მმართველებს ემსახურებოდა. შიკრიკებს თიხის ფირფიტებზე დაწერილი სახელმწიფო ბრძანებები ერთი ქალაქიდან მეორეში გადაჰქონდათ. საიდუმლოების დასაცავად აქადელები იყენებდნენ თიხის ერთგვარ კონვერტს, რომელზეც მიმღების სახელი და მეფის ბეჭედი იყო დასმული. კონვერტის გატეხა მხოლოდ წერილის მიმღებს შეეძლო. მოგვიანებით ეს სისტემა საფუძვლად დაედო აქემენიანთა იმპე-



იხვის ფორმის საწონი ქვები. მესოპოტამია

ეს საინტერესოა

მეცნიერებაში ენას, რომელიც სხვადასხვა ხალხს შორის ურთიერთობისთვის გამოიყენება, ხშირად „ლინგვა ფრანკას“ უწოდებენ. ძველ ახლო აღმოსავლეთში აქადური ენა სწორედ ასეთ ფუნქციას ასრულებდა.

რიის ცნობილ საფოსტო ქსელს, სადაც კომუნიკაცია კიდევ უფრო სწრაფი და მასშტაბური გახდა.

კითხვა

5. როგორ ფიქრობთ, რატომ იყო მნიშვნელოვანი, რომ მეფის ბრძანებებს სწრაფად და ზუსტად მიეღწია იმპერიის სხვადასხვა მხარეში?

6. რომელი რეფორმა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვანად იმპერიის სიმტკიცისთვის და რატომ?



აქადელი მეომრები. რეკონსტრუქცია

ბაბილონი – კანონის ქალაქი

აქადის იმპერიის დაცემის შემდეგ (დაახლოებით, ძვ. წ. 2154 წ.) მესოპოტამიის სამხრეთში, მდინარე ევფრატის ნაპირზე, ახალი ძლიერი ცენტრი გაჩნდა – ბაბილონი. ეს ქალაქი აღმოცენდა იმ ადგილზე, სადაც ორი დიდი მდინარე, ევფრატი და ტიგროსი, ერთმანეთთან ყველაზე ახლოს მიედინებოდა და დასახლებისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა. ბაბილონი მოკლე ხანში ჩამოყალიბდა როგორც სავაჭრო ცენტრად, ასევე მთელი მაშინდელი მსოფლიოს კულტურულ დედაქალაქად.

ბაბილონის თავდაპირველი აღზევება მეფე ხამურაბის სახელს უკავშირდება (ძვ. წ. XVIII ს.). ის იყო ბრძენი მმართველი, რომელიც ხვდებოდა, რომ ქვეყნის სამართავად მხოლოდ ძალა არ კმაროდა. მან გაითვალისწინა წინამორბედი მმართველების მიერ დაგროვილი სამართლებრივი ცოდნა და 282 მუხლისგან შემდგარი საკუთარი კანონთა კრებული შექმნა. კანონები ხამურაბიმ 2.25 მეტრის შავი ქვის სვეტზე (სტელაზე) ამოატვიფრინა და ქალაქის ცენტრში დაადგმევინა. კანონები არეგულირებდა საკუთრებას, ვაჭრობას, ოჯახურ ურთიერთობებსა და სასამართლო პროცესებს. ხამ-





აქადელი მეომრის მუზარადი. რეკონსტრუქცია

ლექსიკონი

სიტყვა „კოდექსი“ ლათინურიდანაა და „წიგნს“ ნიშნავს, ხოლო დღეს მას უწოდებენ სისტემურ კანონთა კრებულს (მაგალითად, საოჯახო სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი და ა. შ.). ხამურაბის თავისი კანონები იმდენად სისტემურად ჰქონდა დაჯგუფებული, რომ მეცნიერები მას „ხამურაბის კოდექსსაც“ უწოდებენ.

ურაბის ეპოქაში ბაბილონი სამართლებრივი წესრიგის მქონე ქალაქად იქცა. ხამურაბის კანონები ჩვენამდე მოღწეული ყველაზე სრულყოფილი კრებულია.

ხამურაბის კოდექსში გამოიყო საზოგადოების რამდენიმე ფენა: დიდებულები, თავისუფალი მოქალაქეები, ხელოსნები და გლეხები, მსახურები და მონები. კანონი მათ თანაბრად არ იცავდა. „თვალი თვალის წილ“ პრინციპი მხოლოდ მაშინ მუშაობდა, თუ დამნაშავე და მსხვერპლი ერთი ფენის წარმომადგენლები იყვნენ: თუ დიდებული დიდებულს დასთხრიდა თვალს, მასაც თვალს სთხრიდნენ. მაგრამ, თუ დიდებული დაბალი ფენის ადამიანს დააზიანებდა, ის მხოლოდ ფულად ჯარიმას იხდიდა.

კანონებში, სხვა საკითხებთან ერთად (საკუთრება, მემკვიდრეობა, ეკონომიკა, ცრუმოწმეობა და სხვ.), ბევრი მუხლი ეხება ქალთა უფლებებსაც. ქალს შეეძლო მოეთხოვა კუთვნილი ქონება ან განქორწინება, თუ ქმარი ცუდად ეპყრობოდა. თუმცა, ქალი, ძირითადად, მამის ან ქმრის მფარველობის ქვეშ იყო. ზოგი დანაშაულის, განსაკუთრებით ოჯახური ღალატის შემთხვევაში, ქალები მამაკაცებზე უფრო მკაცრად ისჯებოდნენ.

კითხვა

7. რა დადებითი და უარყოფითი შედეგი მოჰყვებოდა პრინციპს „თვალი თვალის წილ“?
8. როგორ ფიქრობთ, რატომ იდგა სვეტზე ამოტვიფრული ხამურაბის კანონები მოედანზე? როგორ მოქმედებდა ეს მოქალაქეებზე?
9. შეაფასეთ ხამურაბის კანონები თანამედროვე სამართლიანობის პრინციპების მიხედვით. რომელი ნორმები შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად და რომელი – უსამართლოდ?



ბაბილონის
კედლის ფრაგმენტი.

ბაბილონის ახალი სამეფო

ხამურაბის სიკვდილის შემდეგ ბაბილონის სახელმწიფომ საუკუნე-ნახევარი იარსება. შემდეგ იგი მეზობელმა სახელმწიფოებმა დაიპყრეს – ჯერ ხეთებმა, შემდეგ ასურეთის სახელმწიფომ. ძვ. წ. VII საუკუნეში, ასურეთის სამეფოს დაცემის შემდეგ, ბაბილონმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საკუთარი მეფეც აკურთხა. ბაბილონის ახალმა სამეფომ თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის მეფობის პერიოდში. მან შეძლო არა მარტო შუამდინარეთის, არამედ იერუსალიმის აღება და იუდეველთა დამორჩილებაც. მან იუდეიდან (პალესტინის სამხრეთი ნაწილი, რომლის ისტორიული ცენტრი იყო ქალაქი იერუსალიმი) ბაბილონში გადაასახლა მოსახლეობის დიდი ნაწილი. ლეგენდის თანახმად, საქართველოში ებრაელები სწორედ ამ პერიოდში უნდა ჩამოსახლებულიყვნენ.

ნაბუქოდონოსორ II-ის სახელს უკავშირდება მასშტაბური მშენებლობები, მათ შორის ბაბილონის მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად გადაქცევა. ამ დროს აშენდა მისი მთავარი სიმბოლო – იშთარის კარიბჭე – ლურჯი, მოჭიქული



ბაბილონის იშთარის კარიბჭე. რეკონსტრუქცია

აგურისგან აგებული შესასვლელი. ლურჯი ფერი ძველ სამყაროში ძალიან ძვირადღირებული და იშვიათი იყო. ბაბილონელებმა ისწავლეს სპეციალური მინანქრის დამზადება, რომელიც აგურს მბზინავ ცისფერს აძლევდა. კარიბჭეზე გამოსახული ლომები, ხარები და გველეშაპები მხოლოდ სამკაული არ ყოფილა, ისინი ბაბილონის მთავარი ღვთაებების სიმბოლოებს განასახიერებდნენ.

! დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ხართ დროში მოგზაური, რომელმაც მოიარა ძველი მესოპოტამიის სამი სხვადასხვა ეპოქა: შუმერული ქალაქ-სახელმწიფო, სარგონ დიდის აქადის იმპერია და ხამურაბისდროინდელი ბაბილონი. შექმენით მცირე ჩანაწერი (დღიური) ან მოამზადეთ პრეზენტაცია, სადაც უპასუხებთ შემდეგ კითხვას: სად უფრო უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნობდით თავს – დამოუკიდებელ შუმერულ ქალაქში, აქადის იმპერიაში თუ კანონებით მოწესრიგებულ ბაბილონში? რატომ?

2. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.

მსოფლიოს შვიდ საოცრებას შორის ბაბილონის დაკიდებული ბაღები ყველაზე იდუმალია.

მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ ეს ბაღები მეუღლეს აუგო. დედოფალი, მიდიის მეფის ასული, თავის ქვეყანაში მიჩვეული იყო აყვავებულ მთებსა და ტყეებს. ცხელსა და უტყეო ბაბილონში მისთვის ცხოვრება რომ შეემსუბუქებინა, მეფის ბრძანებით, იშვიათი მცენარეები მრავალი ქვეყნიდან შემოუტანიათ და საოცარი ბაღი გაუშენებიათ.



სემირამიდას ბაღები. რეკონსტრუქცია

6. ასურეთი

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ, ახსნათ, როგორი იყო ასურული სავაჭრო ქარავნები და რა როლს თამაშობდა მათ ცხოვრებაში სავაჭრო დასახლება ქარუმი; გაეცნობით ასურულ ოჯახებსა და ქალის როლს; ახსნით, რატომაა მნიშვნელოვანი ნინევიის ბიბლიოთეკა კაცობრიობის ისტორიისთვის; ჩამოთვლით ასურული ჯარის ტექნოლოგიურ სიახლეებს (რკინის იარაღს, კავალერიას, საალყო ტექნიკას); გაიგებთ, რა გავლენა მოახდინა ასურეთსა და ურარტუს შორის ომებმა ქართველური ტომების ისტორიაზე.



ასირიული სასახლის
კედლის ფრაგმენტი (დიდი ბრიტანეთი)



ეს საინტერესოა

როდესაც სავაჭრო გარიგების დადებისას მხარეები ხელშეკრულებას აწერენ ხელს, ხშირად ერთმანეთს ხელსაც ართმევენ. მაგრამ, როგორ უნდა ენდო ადამიანს, რომელიც შენგან ძალიან შორს იმყოფება? ასურელებმა გამოიგონეს წერილობითი ხელშეკრულებები. ისინი წერდნენ პირობებს თიხის ფირფიტაზე, შემდეგ კი მას მეორე თიხის ფენას (კონვერტს) გადააკრავდნენ და ზედ თავიანთ ბეჭედს დაასვამდნენ. თუ ვინმე პირობას დაარღვევდა, „კონვერტს“ გატეხდნენ და სიმართლეს დაადგენდნენ.

ასურული სავაჭრო ქარავნები

ასურელები მესოპოტამიის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობდნენ (ბაბილონელების მეზობლად). მათი ქვეყანა მოიცავდა დღევანდელი ერაყის, სირიის, თურქეთისა და ირანის ტერიტორიების ნაწილს. სანამ ის დიდ სამხედრო იმპერიად იქცეოდა, ვაჭართა ქვეყანა იყო. მთავარი ქალაქი გახლდათ აშური.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ასურელები სიმდიდრის მოპოვებას არა მხოლოდ ომით, არამედ ვაჭრობითაც ახერხებდნენ. ვაჭრობის განსაკუთრებული საგანი იყო კალა. მაშინდელ მსოფლიოში კალა ოქროზე ძვირად ფასობდა, რადგან მის გარეშე ბრინჯაოს (საბრძოლო და შრომის იარაღების მასალას) ვერ ამზადებდნენ. შესაბამისად, ასურელები არ იყვნენ უბრალოდ ვაჭრები. მათ სურდათ ხელში ჩაეგდოთ ისეთი ნედლეული, რომლის გარეშეც სხვა ქვეყნები იარაღს ვერ გამოჭედდნენ. ეს მათ პოლიტიკურ გავლენას ზრდიდა.

ასურელებმა სხვა ქვეყნებში შექმნეს სპეციალური სავაჭრო დასახლებები – ქარუმები. ყველაზე ცნობილი ქარუმი მდებარეობდა ქალაქ ქანესში (დღევანდელი კაპადოკიის დედაქალაქი კაისერი). ასურული სავაჭრო ბიზნესი მთელი ოჯახის საქმე იყო. თითოეულ წევრს თავისი პასუხისმგებლობა ჰქონდა. აი, როგორ იყო განაწილებული ოჯახის წევრთა მოვალეობები: მამა ქარავნებს დაჰყვებოდა ან შორეულ



რუკა 3. ასურეთის იმპერია და ასურელების სავაჭრო გზები

ქარუმში ცხოვრობდა, ყიდულობდა კალას, აგვარებდა საბაჟო საკითხებს ადგილობრივ მეფეებთან და ყიდდა საქონელს; სანამ მამა შორს იყო, დედა სახლში, ქალაქ აშურში რჩებოდა და მართავდა საფეიქრო სახელოსნოს, სადაც ქსოვდნენ შალის ძვირფას ქსოვილებს (ასურეთის მთავარ საქონელს). ის ზედამხედველობდა ხარისხს, უხდიდა ხელფასს მუშებს და წერილებით ატყობინებდა ქმარს, რა ფასად გაიყიდა საქონელი; უფროსი ვაჟი სწავლობდა ქარავნის მართვას, ვირების მოვლასა და წერა-კითხვას. იგი ხშირად შუამავლის როლს ასრულებდა – ტვირთს აშურიდან ქანესამდე დაჰყვებოდა, მიჰქონდა დედის გაგზავნილი წერილები და ოქრო მამასთან, ხოლო ქალიშვილები დედას ეხმარებოდნენ საფეიქრო სახელოსნოს მართვაში.



ძველასურული წერილი და მისი თიხის კონვერტი

ეს საინტერესოა

ვაჭრობა სახიფათო საქმე იყო. გზებზე ქარავნებს ხშირად ყაჩაღები ესხმოდნენ თავს ან საქონელი გზაში ზიანდებოდა. რისკი რომ შეემცირებინათ, ასურელმა ვაჭრებმა შექმნეს „სავაჭრო სახლები“. ეს იყო დღევანდელი დიდი კომპანიების წინაპრები, სადაც ნათესავები და პარტნიორები ფულს აერთიანებდნენ. თუ ერთი ქარავანი დაიღუპებოდა, ვაჭარი სრულად არ კოტრდებოდა, რადგან ზარალი მის პარტნიორებზე ნაწილდებოდა. ასურელები მიხვდნენ, რომ მარტო მუშაობა სახიფათოა, ხოლო ერთად – მომგებიანი.



კითხვა

1. დააკვირდით რუკას: სად გადიოდა ასურეთის საზღვრები და რომელ ქალაქებს აკავშირებდა სავაჭრო გზები?
2. ერთ-ერთ წერილში ვაჭარი წერს: „სპილენძი ძალიან გაძვირდა, ამიტომ ჯერ არ გაყიდოთ, დაელოდეთ, სანამ ფასი კიდევ მოიმატებს“. რას გვასწავლის ეს წერილი? იცოდნენ თუ არა ძველმა ასურელებმა, რა არის ბაზარი და როგორ მოქმედებს მასზე ფასების ცვლილება? ჰგავს თუ არა ეს თანამედროვე ბიზნესს?

წყარო

ასურელი ქალის წერილი მეუღლეს: „შენი გამოგზავნილი ვერცხლით ახალი მატყლი ვიყიდე და საუკეთესო ქსოვილები მოგიმზადე, შვილს გამოვატან“. მეუღლის პასუხი: „აქ ქსოვილებზე ფასმა მოიმატა, სასწრაფოდ მეტი გამოგზავნე“.

ასურელი ქალის, თარამქუბის, წერილი მეუღლეს: „შენ სულ ფულზე ფიქრობ და სახლი თითქმის დაგვენგრა, სასწრაფოდ გამოგზავნე ვერცხლი სახლის შესაკეთებლად!“

ეს საინტერესოა

ტარანი – ხისგან შეკრული კონსტრუქცია, რომელსაც ორფერდა სახურავი ჰქონდა. ხშირად სახურავს ტყავით ფარავდნენ, შიგნით კი ჰორიზონტალურად იყო ჩამოკიდებული ხის მორი, რომელსაც გამოწეული თავი ჰქონდა, თან სიმტკიცისთვის რკინის სალტეებით იყო დაფარული. სახურავის ქვეშ იდგნენ მეომრები, რომლებიც მორს ჰორიზონტალურად ამოძრავებდნენ. ტარანს გალავანთან მიაგორებდნენ და მორის მეშვეობით ქალაქის კედელს ანგრევდნენ.



ასურელების მიერ ქალაქის აღება. რეკონსტრუქცია

ასურეთის იმპერია და მისი არმია

ასურეთის იმპერია მთიან და მკაცრ რეგიონში მდებარეობდა. ასეთმა გარემომ ასურელები მტკიცე და უშიშარ მებრძოლებად აქცია. მათ შექმნეს მსოფლიო იმპერია, რომლის ძლიერება დიდწილად სამხედრო ძალასა და დაპყრობებს ეფუძნებოდა. იმპერიამ სხვადასხვა ფორმით დიდხანს იარსება (ძვ. წ. XIX-VII სს.). განსაკუთრებულ სიძლიერეს ასურეთის სახელმწიფომ ძვ. წ. XIV-XI საუკუნეებში მიაღწია. ასურელებმა დაიპყრეს ახლო აღმოსავლეთის დიდი ნაწილი. ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I-მა (ძვ. წ. 1114-1076 წწ.) ასურეთის საზღვრები როგორც ჩრდილოეთით, ასევე სამხრეთით გააფართოვა. ჩრდილოეთით მან დალაშქრა მუშქების ტომი (მეცნიერები ფიქრობენ, რომ მუშქები, შესაძლებელია, ქართველური ტომი – მესხები – იყვნენ), სამხრეთით კი ქალაქი ბაბილონი დაიპყრო და ასურეთის სახელმწიფოს შეუერთა.

ასურელებს ჰყავდათ რკინის იარაღით აღჭურვილი ჯარი. სანამ მათი მეზობლები იბრძოდნენ ბრინჯაოს ხმლებით, რომლებიც რბილი იყო, ადვილად იღუნებოდა ან ტყდებოდა, ასურელები აღიჭურვნენ რკინის მჭრელი მახვილებითა და ისრისპირებით. რკინის დამუშავება მათ მეზობლებისგან აითვისეს, გააუმჯობესეს და თავიანთი ჯარის ძირითად ტექნოლოგიად აქციეს. ასურელებმა შექმნეს პირველი ცხენოსანი ლაშქარი – კავალერია, ცხენების გაწვრთნა და ბრძოლაში მათი მართვა კი ხელოვნებად აქციეს.

ადრე ქალაქის მაღალი გალავანი საუკეთესო დაცვა იყო, მაგრამ ასურელებმა ამასაც მოუძებნეს გამოსავალი. მათ გამოიგონეს ტარანი და მოძრავი კოშკი – ბორბლებზე შემდგარი ნაგებობა, საიდანაც მშვილდოსნები გალავანზე განლაგებულ მოწინააღმდეგეებს უსწორდებოდნენ.

ძვ. წ. 605 წლის ქარხემიშის ბრძოლაში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ დაამარცხა ეგვიპტისა და ასურეთის გაერთიანებული ჯარი. ამ გამარჯვების შემდეგ ისედაც დასუსტებული ასურეთი ბაბილონის გავლენის ქვეშ მოექცა.

ეს საინტერესოა

ასურეთის ჩრდილოელი მეზობელი და მისი ყველაზე მრისხანე მეტოქე ურარტუს სამეფო იყო. ამ ორ იმპერიას შორის გამართულმა სასტიკმა ომებმა უდიდესი გავლენა მოახდინა სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ უძველეს ქართველურ ტომებზე, განსაკუთრებით, დიაოხსა (დაიაენი, ტაოხი) და კოლხაზე. ეს ტომები ხშირად ხდებოდნენ დამპყრობლების ინტერესების შეჯახების მსხვერპლნი – ხან ურარტუ ცდილობდა მათ დამორჩილებას, ხანაც ასურეთის ლაშქარი ანადგურებდა მათ დასახლებებს.

კითხვა

3. რა გავლენა ჰქონდა ასურეთის მეზობლობას ქართველურ ტომთა გაერთიანებაზე?
4. ტექსტში ნათქვამია, რომ ასურეთი „ომსა და დაპყრობებზე აგებული იმპერია“ იყო. რა უპირატესობა და რა საფრთხე შეიძლება ჰქონოდა ასეთ სახელმწიფოს?

მსოფლიოს პირველი ბიბლიოთეკა

ნინევია თავისი დროის უდიდესი ქალაქი გახლდათ – უზარმაზარი გალავნით, მოკირწყლული ქუჩებითა და მდიდრული სასახლეებით. თუმცა, ნინევიის ყველაზე დიდი საგანძური არა ოქრო, არამედ თიხა იყო. ასურეთის მეფე ასურბანიფალი (ძვ. წ. VII ს.) სხვა მბრძანებლებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ კითხვა და წერა იცოდა. ის ამაყობდა, რომ საუბრობდა რამდენიმე ენაზე და შეეძლო რთული მათემატიკური ამოცანების ამოხსნა. სწორედ მან გადაწყვიტა, რომ ნინევიაში სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის ცოდნა, იმდროინდელი სამყაროს წერილობითი მემკვიდრეობა შეეკრიბა. მეფემ მთელ მესოპოტამიაში დაგზავნა მწერლები, რათა მათ ყველა მნიშვნელოვანი ტექსტი გადაეწერათ და ნინევიაში ჩაეტანათ. ასე შეიქმნა პირველი სახელმწიფო ბიბლიოთეკა, სადაც 30 000-ზე მეტი რელიგიური, მათემატიკური, ისტორიული, სამართლებრივი და ლიტერატურული შინაარსის თიხის ფირფიტა ინახებოდა.

როდესაც მტრებმა ნინევია დაანგრიეს და გადაწვეს, ბიბლიოთეკაც ცეცხლში გაეხვა. თუმცა, მოხდა საოცრება: თუ ფურცლის წიგნები ცეცხლში დაიწვებოდა, თიხა, პირიქით, გამოიწვა და უფრო მყარი გახდა. ასე შემოინახა მიწამ ეს უნიკალური საგანძური ჩვენს დრომდე.



ასურბანიფალის ბიბლიოთეკა. რეკონსტრუქცია

ეს საინტერესოა

ჯორჯ სმიტი ლონდონში სტამბის მხატვრად მუშაობდა, თუმცა მას ერთი დიდი გატაცება ჰქონდა – მთელ თავისუფალ დროს ბრიტანეთის მუზეუმში ატარებდა და მესოპოტამიიდან ჩამოტანილ თიხის ფირფიტების ნატეხებს სწავლობდა. 1872 წელს, ერთ-ერთი ფირფიტის გაშიფვრისას, სმიტმა ამოიკითხა ამბავი წარღვნაზე, რომელიც საოცრად ჰგავდა ბიბლიურ თქმულებას ნოეს კიდობნის შესახებ. ეს იყო „გილგამეშიანის“ ერთ-ერთი ფრაგმენტი. ვინაიდან ტექსტს მნიშვნელოვანი ნაწილი აკლდა, სმიტი გაემგზავრა ნინევიაში დაკარგული ნატეხების საპოვნელად და იპოვა კიდეც.

კითხვა

5. რატომ ხარჯავდა ასურბანიფალი დროსა და ფულს ძველი ტექსტების შეგროვებაზე? ეხმარებოდა თუ არა მას წარსულის ცოდნა ქვეყნის მართვაში?

6. რა არ იცით ასურბანიფალის ბიბლიოთეკის შესახებ ტექსტის წაკითხვის შემდეგაც? პასუხი ჩამოაყალიბეთ სამი კითხვის სახით.

დავალება

1. შეაფასეთ, რომელი სამხედრო სიახლე იქცა ასურეთის იმპერიის გაძლიერების მთავარ საფუძვლად. პასუხის გაცემისას აირჩიეთ ერთი ფაქტორი; დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი ტექსტზე დაყრდნობით; შეადარეთ ის დანარჩენ სამხედრო სიახლეებს; გამოიტანეთ დასკვნა, რატომ იყო ყველა ამ ფაქტორის ერთობლიობა აუცილებელი ძლიერი იმპერიის შესაქმნელად.

2. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.

7. ძველი ეგვიპტე

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ, გააანალიზოთ ბუნებრივი გარემოს როლი ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში; თქვენ შეაფასებთ უძველეს ტექნოლოგიურ მიღწევებს; დაინახავთ სახელმწიფოს განვითარების დინამიკას; გაერკვევით ძველი ეგვიპტის სოციალურ წყობაში; ნახავთ, როგორ აშენებდნენ ეგვიპტელები პირამიდებს, სარწყავ არხებს, გრანდიოზულ ტაძრებსა და სასახლეებს; თქვენ შეძლებთ, გაეცნოთ ძველი ეგვიპტელების რელიგიურ წარმოდგენებსა და პანთეონს; გაიგებთ, როგორ და რაზე წერდნენ ძველი ეგვიპტელები.



ხეფრენის პირამიდა და
დიდი სფინქსი (ეგვიპტე)





ზემო ეგვიპტის ფარაონის გვირგვინი



ქვემო ეგვიპტის ფარაონის გვირგვინი




გაერთიანებული ზემო და ქვემო სამეფოს ფარაონის გვირგვინი

ძველი ეგვიპტის ისტორიის სამი დიდი ეპოქა

ძველ ეგვიპტელთა მეურნეობა მდინარე ნილოსის ყოველწლიურ ადიდებაზე იყო დამოკიდებული. აფრიკის ტროპიკული წვიმები წყლის დონეს მდინარეში ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში არნახულად ზრდიდა. მდინარე ნაპირებიდან გადმოდიოდა და არემარეს ტბორავდა. როცა ნილოსი თავის ბუნებრივ კალაპოტს უბრუნდებოდა, ნაპირებზე ტოვებდა ნაყოფიერ შავ მიწას (ლამს). მოსახლეობა ამუშავებდა ლამიან მიწას, რომელიც საუკეთესო იყო სახნავ-სათესად. ასე მეორდებოდა ყოველ წელს. იმ ადგილებში კი, სადაც ადიდებული მდინარე ვერ აღწევდა, ეგვიპტელებს წყალი არხებით გაჰყავდათ. პირველი ადამიანის ნაკვალევი ნილოსის ნაპირებზე ჯერ კიდევ პალეოლითის ეპოქაში გაჩნდა. ძვ. წ. V ათასწლეულში კი ნილოსის ნაპირებზე პატარა დამოუკიდებელი დასახლებები არსებობდა.

ძვ. წ. IV ათასწლეულში ეგვიპტეში ორი სამეფო ჩამოყალიბდა. ნილოსის სათავეებისკენ, სამხრეთში, ზემო ეგვიპტე მდე-



რუკა 4. ძველი ეგვიპტე

კითხვა

1. რუკის მიხედვით, რა ბუნებრივი საზღვრები იცავდა ეგვიპტეს ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან? როგორ აისახებოდა ეს მდებარეობა ეგვიპტელების უსაფრთხოებაზე.

2. იპოვეთ რუკაზე მდინარე ნილოსი და მიჰყევით მის დინებას. სად იღებს ის სათავეს და რომელ ზღვას ერთვის. რატომ დასახლდნენ ადამიანები სწორედ ნილოსის ნაპირებზე?

ბარეობდა, ხოლო ჩრდილოეთით, ნილოსის დელტაში – ქვემო ეგვიპტე. ამ ორ სამეფოს ბევრი რამ ჰქონდა საერთო: ენა, რელიგია და კულტურა, ამიტომაც მათი გაერთიანება ბუნებრივი პროცესი იყო. დაახლოებით, ძვ. წ. XXXI საუკუნეში ზემო და ქვემო ეგვიპტე ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდა. ეს აისახა ფარაონების გვირგვინზეც, რომელიც ორივე სამეფოს სიმბოლოებს აერთიანებდა. ასე გაჩნდა ერთ-ერთი პირველი ძლიერი, ცენტრალიზებული სამეფო დედამიწაზე.

მეცნიერები ეგვიპტის ძლიერების ხანას სამ ძირითად პერიოდად ყოფენ:

ძველი სამეფო (ძვ. წ. XXVII-XXII სს.) – პირამიდების ეპოქა. ამ დროს საფუძველი ჩაეყარა ეგვიპტის ერთიანობას. დროთა განმავლობაში დიდებულები გაძლიერდნენ, ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ და ქვეყანა შინაომებმა მოიცვა. ამას დაერთო დიდი გვალვები. საბოლოოდ კი ერთიანი სამეფო დაიშალა და ძველი სამეფოს ეპოქაც დასრულდა.

შუა სამეფო (ძვ. წ. XXI-XVII სს.) – აღორძინებისა და აყვავების ეპოქა. დიდი მცდელობის შედეგად ფარაონებმა ქვეყანა კვლავ გააერთიანეს. განვითარდა კულტურა და საირიგაციო (სარწყავი) სისტემები, რამაც ქვეყანა უფრო მდიდარი და მოსავლიანი გახადა. მაგრამ ეგვიპტე შიდაპოლიტიკურმა არასტაბილურობამ კვლავ დაასუსტა. ამით ისარგებლეს აზიიდან მოსულმა მომთაბარე ტომებმა – ჰიქსოსებმა, რომლებმაც დაიპყრეს ეგვიპტის ნაწილი.

ახალი სამეფო (ძვ. წ. XVI-XI სს.) – იმპერიის ეპოქა. ეგვიპტელებმა შეძლეს ჰიქსოსების განდევნა და მათი სამხედრო ტექნოლოგიების (საბრძოლო ეტლები) ათვისება. ამის შემდეგ ეგვიპტე ძველი მსოფლიოს უძლიერეს იმპერიად იქცა.




ნეფერტიტი

კითხვა

3. აღწერეთ, რას გამოხატავდა ფარაონის ორმაგი გვირგვინი. რატომ იყო მასზე ორივე, ზემო და ქვემო ეგვიპტის, გვირგვინის ელემენტი გაერთიანებული?

4. იმსჯელეთ, რა ინფორმაციას აწვდიდა ორმაგი გვირგვინი ეგვიპტის მოსახლეობას ფარაონის ხელისუფლების შესახებ.

5. რა აძლიერებდა ეგვიპტის სახელმწიფოს აღმავლობის პერიოდებში და რა იწვევდა მის დასუსტებას? პასუხი ტექსტში მოყვანილი მაგალითებით დაასაბუთეთ.



აბუ სიმბელი. აგებულია ძვ. წ. XII საუკუნეში, ფარაონ რამსეს II-ის მიერ. იგი წარმოადგენს კლდეში გამოკვეთილ ტრადიციულ ეგვიპტურ ტაძარს.

დიდებული ფარაონები და ძალაუფლების საიდუმლო



ჰატშეფსუტი.
მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალი იყო, ხშირად გამოისახებოდა წვერით, ვინაიდან წვერი ფარაონების ძალაუფლების სიმბოლო იყო.

ეგვიპტელებისთვის ფარაონი მხოლოდ მმართველი არ იყო – მათ სწამდათ, რომ იგი გახლდათ ცოცხალი ღვთაება, რომელიც სამყაროში წესრიგს (ეგვიპტურად – „მაატს“) იცავდა. ფარაონი პასუხისმგებელი იყო ყველაფერზე: ნილოსის დროულ ადიდებაზე, ხალხის გამოკვებაზე, სამართლიანობასა და მშვიდობაზე.

ეგვიპტის საზოგადოება მკაცრად დაყოფილ ფენებად ცხოვრობდა: ფარაონი; ქურუმები (ღვთაებათა მსახურები) და დიდებულები (ფარაონის ნათესავები და მმართველები); მწერლები და მეომრები; ხელოსნები და ვაჭრები; გლეხები და ყველაზე ქვემოთ – მონები, რომლებიც, ძირითადად, სამხედრო ტყვეები იყვნენ. ამ პირამიდისებური წყობის გამო ეგვიპტური საზოგადოება ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული სტრუქტურა იყო ძველ მსოფლიოში.

ეგვიპტეს ასობით ფარაონი მართავდა, თუმცა, მათ შორის იყვნენ გამორჩეულები:

ჰატშეფსუტი (ახალი სამეფო) – უძლიერესი ქალი-ფარაონი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი დიპლომატიით. მან სახელი გაითქვა მასშტაბური მშენებლობებითა და ვაჭრობის განვითარებით.

თუტმოს III (ახალი სამეფო) – ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი. 20 წლის განმავლობაში მან 17 დიდი ლაშქრობა მოაწყო.

ეხნატონი (ამენჰოტეპ IV) და **ნეფერტიტი (ახალი სამეფო)** – ფარაონ ამენჰოტეპ IV-მ, რომელსაც გვერდით ედგა მეუღლე – ნეფერტიტი, აკრძალა ძველი ღვთაებების თაყვანისცემა,



ეგვიპტის საზოგადოების სოციალური პირამიდა

დახურა ტაძრები და ქურუმებს ქონება ჩამოართვა. მან შემოიღო ერთი ღმერთის – ატონის (მზის) კულტი, საკუთარ თავს კი ეხნატონი („ატონისთვის სასურველი“) უწოდა და ახალი დედაქალაქი – ახეტატონი ააშენა.

რამსეს II (დიდი) (ახალი სამეფო) – მან თითქმის 66 წელი იმეფა, რაც ეგვიპტის ისტორიაში „ოქროს ხანად“ არის ცნობილი. რამსეს II-მ მრავალი ტაძარი და ქანდაკება აღმართა, იგი დაუპირისპირდა ხეთებს კადეშის ბრძოლაში.



თუტმოს III

კითხვა

6. რატომ მიაჩნდათ ეგვიპტელებს ფარაონს „ცოცხალ ღმერთად“? როგორ ეხმარებოდა ეს რწმენა ფარაონს ქვეყნის მართვაში?

7. რატომ ეკავათ მწიგნობრებს მაღალი ადგილი ეგვიპტურ საზოგადოებაში?

8. რა განსაზღვრავდა ადამიანის ადგილს ეგვიპტის საზოგადოებაში? დღეს რა განსაზღვრავს? შეადარეთ.



ეხნატონი

ეს საინტერესოა



ეგვიპტის ძლევამოსილი ფარაონებიდან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია ტუტანხამონი. 1922 წელს არქეოლოგებმა მისი თითქმის ხელუხლებელი სამარხი იპოვეს. იქ აღმოჩენილმა ათასობით ოქროს ნივთმა, ეტლებმა და ტუტანხამონის განთქმულმა ოქროს ნიღაბმა ეგვიპტის საოცარი სიმდიდრე მსოფლიოს გააცნო.





ფარაონი რამსეს II



გიზის პირამიდები

პირამიდა – კიბე ცისკენ

ძველ ეგვიპტელებს სწამდათ, რომ სიკვდილის შემდეგ ფარაონის სული ზეცაში, ღვთაებებთან უნდა ასულიყო. პირამიდის ფორმა განასახიერებდა სწორედ იმ კიბეს ან მზის სხივებს, რომლითაც მმართველი ზეცაში ადიოდა.

ეგვიპტეში ასზე მეტი დიდი თუ პატარა პირამიდაა, მათ შორის ყველაზე გრანდიოზული ნაგებობა გიზის პლატოზე მდებარე ძველი სამეფოს ფარაონის, ხეოფსის (ხუფუს), პირამიდაა. ის დაახლოებით 20 წლის განმავლობაში შენდებოდა და მას ათასობით ადამიანი აგებდა.

მოგვიანებით ეგვიპტელებმა პირამიდების მშენებლობა შეწყვიტეს. ცაში აზიდული გიგანტური ნაგებობები შორიდანვე ჩანდა და მძარცველებს მიანიშნებდა, რომ იქ დიდი სიმდიდრე ინახებოდა. სამარხების დასაცავად ფარაონებმა საფლავების კლდეებში გამოკვეთა და საგულდაგულოდ დამალვა დაიწყეს. ასე გაჩნდა „მეფეთა ხეობა“ – უდაბნოს კლდეებში გამოკვეთილი საიდუმლო ქალაქი.

ეს საინტერესოა

პირამიდები ძველი მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ნაგებობაა. არსებობს გამოთქმა: „ადამიანებს ეშინიათ დროის, დროს კი – პირამიდების“.

ხეოფსის პირამიდის თავდაპირველი სიმაღლე იყო 147 მეტრი (ამჟამად მისი მწვერვალი მონგრეულია და ის 137 მეტრამდეა). ხეოფსის პირამიდის გვერდით აღმართულია მისი მემკვიდრის, ხეფრენის, პირამიდა, რომელიც ზომებით შედარებით პატარაა, მაგრამ თავისი მასშტაბებით მაინც აკვირვებს მნახველს.

კითხვა

9. რას განასახიერებდა პირამიდის ფორმა? რატომ ჰქვია გაკვეთილის ამ ნაწილს „კიბე ცისკენ“?

10. თქვენი აზრით, დღეს შენდება ისეთი ნაგებობები, რომლებიც მომავალში შეიძლება მსოფლიოს საოცრებად ჩაითვალოს? დაასახელეთ ერთ მაგალითი და დაასაბუთეთ?

11. თქვენი აზრით, რა ცოდნა და უნარები იყო საჭირო იმისთვის, რომ ასეთი ნაგებობა აეგოთ?

მეცნიერის თვალსაზრისი

დღემდე უცნობია, როგორ აჰქონდათ ეგვიპტელებს ორტონიანი ლოდები ასეთ სიმაღლეზე ტექნიკის გარეშე. სავარაუდოდ, ეგვიპტელები პირამიდის გარშემო აგებდნენ ქვიშისა და აგურის დახრილ გზებს, რომლებზეც ლოდებს ხის მარხილებით ათრევდნენ. ცნობილია, რომ სველი ქვიშა მძიმე ტვირთის გადაადგილებას საგრძნობლად აადვილებდა.

დიდი ხანი მიიჩნეოდა, რომ პირამიდებს მონები აშენებდნენ. თუმცა, ეს მოსაზრება მცდარი აღმოჩნდა. არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ მშენებლები თავისუფალი ადამიანები იყვნენ.



ეგვიპტური ღვთაებები და მუმიფიკაცია

ეგვიპტელთა რელიგია მრავალღმერთიანობას ეფუძნებოდა. ისინი ბუნების ყოველ მოვლენას უკავშირებდნენ კონკრეტულ ღმერთს, რომელთაც, როგორც წესი, ადამიანის სხეულითა და ცხოველის თავით გამოსახავდნენ. ძველი ეგვიპტელების მთავარი ღვთაებები იყვნენ:

რა (ამონ-რა) – მზის უზენაესი ღვთაება;

ოსირისი – საიქიო სამყაროსა და ბუნების აღორძინების მეუფე;

ისიდა – დედობის, ოჯახის მფარველი;

ჰორუსი – ფარაონების მფარველი და ცის ღვთაება;

ანუბისი – მუმიფიკაციისა და სამარხების მფარველი. გამოისახებოდა ტურის (ან შავი ძაღლის) თავით;

თოთი – სიბრძნის, დამწერლობისა და მეცნიერების ღვთაება;

ბასტეტი – კატისთავიანი ქალ-ღვთაება; ოჯახური მყუდროების, სიხარულისა და ქალების მფარველი.



რა ოსირისი



ისიდა ჰორუსი ანუბისი



თოთი ბასტეტი

ეს საინტერესოა



ეგვიპტელებს სწამდათ, ადამიანის სული იმ შემთხვევაში იცოცხლებდა საიქიოში, თუ მისი სხეული უვნებლად იქნებოდა შენახული. ამისთვის გამოიგონეს მუმიფიკაცია – სპეციალური მარილითა და ნივთიერებებით სხეულის დამუშავება და სელის სახვევებით შეფუთვა. საიქიოში მოხვედრამდე მიცვალებულს დიდი გამოცდა ელოდა. ანუბისს ის მიჰყავდა „სიმართლის სასწორთან“. სასწორის ერთ თეფშზე იდებოდა გარდაცვლილის გული, ხოლო მეორეზე – სამართლიანობის ქალ-ღვთაება **მაატის** ბუმბული. თუ გული ბუმბულზე მსუბუქი აღმოჩნდებოდა (ანუ ადამიანი კეთილი იყო), ის ნეტარებაში გადადიოდა; თუ გული ცოდვებისგან დამძიმებული იყო, მას ურჩხული შთანთქავდა.

მუმიის სარკოფაგი. ეგვიპტე, ძვ. წ. XI ს.
ინახება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში

კითხვა

12. რატომ იყო სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის რწმენა ასეთი მნიშვნელოვანი ეგვიპტური კულტურისთვის?

13. რას ნიშნავს „მრავალღმერთიანობა“? რას უკავშირებდნენ ეგვიპტელები თითოეულ ღმერთს?

14. როგორ ებმის ერთმანეთს ფარაონის ღვთაებრიობის რწმენა, პირამიდა და მუმიფიკაცია?

ეს საინტერესოა

შამპოლიონი ცნობილი იყო ენების ცოდნით – ბავშვობიდანვე სწავლობდა ლათინურს, ბერძნულს, ებრაულსა და არაბულს, ხოლო მოგვიანებით კოპტური ენაც აითვისა. ბიოგრაფების მონათხრობის მიხედვით, როცა მან პირველი იეროგლიფი ამოხსნა, ისე გაუხარდა, თითქმის გული წაუვიდა და ძმასთან მისულმა შესძახა: მე ეს შევძელი!



ჟან ფრანსუა შამპოლიონი (1790-1832 წწ.)

ამეტყველებული იეროგლიფები

ეგვიპტურ დამწერლობას იეროგლიფური ეწოდება, რაც „წმინდა ნიშნებად“ ითარგმნება. თითოეული ნიშანი შეიძლება ყოფილიყო ბგერა ან მთელი სიტყვა. სულ არსებობდა 700-ზე მეტი იეროგლიფი.

ეგვიპტელებმა გამოიგონეს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი საწერი მასალა – პაპირუსი, რომელიც არ იყო ნამდვილი ქაღალდი (ქაღალდი მოგვიანებით ჩინეთში დაამზადეს), მაგრამ ის თიხის ფირფიტებს ანაცვლებდა – ბევრად მსუბუქი, თხელი და მოსახერხებელი იყო წერისთვის. მას ამზადებდნენ ლერწმის ღეროებისგან, რომელიც უხვად იზრდებოდა ნილოსის ნაპირებზე.

საუკუნეების განმავლობაში იეროგლიფების კითხვა არავინ იცოდა, სანამ 200 წლის წინ ფრანგმა მეცნიერმა ჟან ფრანსუა შამპოლიონმა მნიშვნელოვანი აღმოჩენა არ გააკეთა. მან შეისწავლა „როზეტის ქვა“ და ე.წ. „ფილეს ობელისკი“ (მათზე წარწერები შესრულებული იყო ძველი ეგვიპტური იეროგლიფებითა და ბერძნული ანბანით). აღმოჩნდა, რომ „როზეტის ქვასა“ და „ფილეს ობელისკზე“ იეროგლიფების ერთი ჯგუფი მოთავსებული იყო ოვალურ ჩარჩოში, რომელსაც მოგვიანებით „კარტუში“ უწოდეს. აღმოჩნდა, რომ ეგვიპტის მმართველთა სახელებს ასეთ ჩარჩოში ათავსებდნენ. „როზეტის ქვის“ ბერძნულ ტექსტში მოიხსენიებოდა პტოლემე, ხოლო „ფილეს ობელისკზე“ – კლეოპატრა. შამპოლიონმა დააჯგუფა ეს ორი სახელი და აღმოაჩინა, რომ

კითხვა

15. როგორ დაეხმარა შამპოლიონს ერთი და იმავე ტექსტის სამ ენაზე არსებობა იეროგლიფების ამოხსნაში?



„როზეტის ქვა“ და „ფილეს ობელისკი“, რომლებზეც „კარტუშში“ ჩასმული ფარაონ პტოლემესა (პტოლემაიოსი) და დედოფალ კლეოპატრას სახელებია აღბეჭდილი. ძველეგვიპტურ დამწერლობაში ასო „ტ“ ორი განსხვავებული იეროგლიფით აღინიშნებოდა.

„კარტუშში“ ჩაწერილ სახელებში ცალკეული იეროგლიფები მეორდებოდა. მაგალითად, „პ“, „ტ“, „ო“, „ლ“. პტოლემეს სახელში არ არის „ა“, მაგრამ ადვილი დასადგენი იყო, რომ კლეოპატრას სახელში, შუაში და ბოლოში, არწივის გამოსახულება უნდა ყოფილიყო „ა“. ასე ამოიხსნა იეროგლიფების საიდუმლო და ეგვიპტის ისტორია ალაპარაკდა.



დიდი სფინქსი

ეს საინტერესოა

პირამიდების წინ დგას ერთიანი კლდისგან გამოკვეთილი უზარმაზარი ქანდაკება – დიდი სფინქსი. მას ლომის ტანი (ძალა) და ადამიანის თავი (სიბრძნე) აქვს. ის თითქოს დარაჯობს ფარაონების სიმშვიდეს და მზის ამოსვლას ხვდება.



წყარო

ვეზირ პტახოტეპის დარიგება თავის ვაჟს (ძვ. წ. 2400 წ., ძველი სამეფო)

„ნუ იამაყებ შენი ცოდნით; თანაბარი პატივით ესაუბრე როგორც ბრძენს, ისე უცოდინარს. ხელოვნებასა და ცოდნას საზღვრები არ აქვს და არ არსებობს ხელოვანი, რომელმაც სრულყოფილებას მიაღწია. ბრძნული სიტყვა ხომ ზურმუხტზე იშვიათია; თუ შეხვდები ადამიანს, რომელმაც შენზე მეტი იცის და ის არ დაგეთანხმება, ნუ განრისხდები. ნუ იტყვი მასზე აუგს და ნუ შეეწინააღმდეგები საუბრისას. შენი თავმდაბლობა დაამარცხებს მის მედიდურობას; თუ შეხვდები შენივე თანასწორს, რომელიც სიცრუესა და ბოროტებას ამბობს, ნუ დადუმდები. ასე აჩვენებ, რომ მასზე გონიერი ხარ; ხოლო, თუ შეხვდები შენზე ღარიბს, ნუ მოეპყრობი ქედმაღლურად მხოლოდ მისი დაბალი წარმოშობის გამო. იყავი მომთმენი და დაინახავ, ის თავადვე გაებმება თავისივე სიტყვებში“.

დავალება

1. შეადგინეთ „პირამიდის ბარათი“. 1-3 პუნქტიდან აირჩიეთ და შეასრულეთ თქვენთვის სასურველი დავალება: ჩაწერეთ (1) რატომ აშენდა პირამიდები, (2) როგორ აშენდა, (3) რატომ შეწყდა მათი მშენებლობა. ბოლოს მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რას გვეუბნება პირამიდები ძველი ეგვიპტელების შესახებ.

2. თქვენთვის სასურველი ფორმით (ესე, პრეზენტაცია, კომიქსი და სხვ.) წარმოადგინეთ ძველი ეგვიპტელების რელიგია: რა სწამდათ და როგორ აისახა ეს რწმენა მათ ცხოვრებასა და საქმიანობაში.

3. პარაგრაფის ტექსტზე დაყრდნობით დაწერეთ ესე – რატომ არის დამწერლობა მნიშვნელოვანი? გამოიყენეთ პარაგრაფის მაგალითები: იეროგლიფები, პაპირუსი და შამპოლიონის აღმოჩენა.

4. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.

8. ხეთების სამეფო

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ, გააცნობიეროთ ენისა და დამწერლობის მნიშვნელობა ისტორიაში; ახსნათ ხათუსას არქიტექტურული და საინჟინრო უნიკალურობა; აღწეროთ მსოფლიო ისტორიაში პირველი დოკუმენტირებული კონფლიქტი; შეაფასოთ მსოფლიოში პირველი საერთაშორისო სამშვიდობო ხელშეკრულების მნიშვნელობა; შეისწავლოთ ძველი დიპლომატიის წესები და ტერმინოლოგია.



ქალაქ ხათუსას კარიბჭე (თურქეთი)





ხეთი მეომარი


ხეთები

ძვ. წ. II ათასწლეულში ქალაქ ნესაში (იგივე ქანესში, ქიულთეფე, კაპადოკია, თანამედროვე თურქეთი) დასახლდნენ ხეთები, რომლებიც ქალაქის სახელწოდების გამო თავიანთ თავს ნესიტებს უწოდებდნენ. მალე მათ ამ რეგიონში მცხოვრებთა ქალაქი ხათუსა დაიპყრეს და თავიანთ დედაქალაქად გამოაცხადეს, რის გამოც შეერქვათ სახელი – ხეთები. მათ შეითვისეს და გადმოიღეს იქაურთა ცხოვრების წესი, კულტურა, რელიგია და შექმნეს იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იმპერია. ხეთების სამეფოში სამხედრო საქმე მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ხეთებმა ერთ-ერთმა პირველებმა გამოიყენეს საბრძოლო ეტლი საომარი მოქმედებების დროს.

ყველაზე ცნობილი ხეთი მეფეები იყვნენ:

სუფილულუმა I (ძვ. წ. XIV ს.) ხეთების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მმართველი და იმპერიის შემქმნელი გახლდათ. მან ისარგებლა ეგვიპტის დასუსტებით, დაამარცხა მითანის ძლიერი სამეფო და ხეთების კონტროლს დაუმორჩილა მთელი სირია და ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთის დიდი ნაწილი.

რუკა 5. ხეთების სამეფო



ხათუსილი III-ისა და მისი მემკვიდრეების დროს ხეთების სამეფომ ძლიერების მწვერვალს მიაღწია, თუმცა ეს დიდება ხანმოკლე აღმოჩნდა. ძვ. წ. 1200 წლისთვის ხეთების სამეფო დასუსტდა გამანადგურებელი ეპიდემიის, ხანგრძლივი გვალვებისა და შინაომების შედეგად. სახელმწიფო დაიშალა, მოსახლეობა გაიფანტა, თუმცა მათი კვალი კიდევ დიდხანს შემორჩა ისტორიას.



ჰუგო ვინკლერი
(1863-1913 წწ.)
გერმანელი არქეოლოგი

ხეთების საიდუმლოს ამოხსნა

საუკუნეების განმავლობაში ისტორიკოსები ხეთებს მხოლოდ ბიბლიიდან იცნობდნენ და ფიქრობდნენ, რომ ისინი მცირე აზიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ყველაფერი შეიცვალა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც არქეოლოგებმა თურქეთში, სოფელ ბოღაზქოისთან, უცნაურ ნანგრევებს მიაკვლიეს. 1906 წელს გერმანელი არქეოლოგი ჰუგო ვინკლერი ხათუსას გათხრას შეუდგა და აღმოჩნდა, რომ ეს გახლდათ სწორედ ერთ დროს დიდებული ქალაქი ხათუსა. აქ არქეოლოგმა ათასობით ლურსმული დამწერლობით შესრულებული თიხის ფირფიტა აღმოაჩინა. სწორედ ამ აღმოჩენამ დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ ხეთები, ეგვიპტისა და ასურეთის მსგავსად, უძლიერესი იმპერიის აღმშენებლები იყვნენ.



ბედრჟიხ ჰროზნი
(1879-1952 წწ.)
ჩეხი აღმოსავლეთმცოდნე,
ლინგვისტი

1915 წელს, ჩეხმა მეცნიერმა, ბედრჟიხ ჰროზნიმ, გაშიფრა ხეთური ენა. მან ამოიკითხა წინადადება: „ახლა თქვენ პურს შეჭამთ და წყალს დალევთ“. ზმნები „ჭამა“ და „დალევა“ ძალიან ჰგავდა ლათინურ სიტყვებს, რამაც ჰროზნის მისცა საშუალება დაემტკიცებინა ხეთური ენის ევროპულ ენებთან ნათესაობა. აღმოჩნდა, რომ ხეთური ენა ყველაზე ძველი იყო ევროპულ ენებს შორის.

ეს საინტერესოა



როდესაც არქეოლოგებმა ხათუსას გათხრა დაიწყეს, აღმოაჩინეს, რომ ქალაქი ერთ დროს სასტიკად გადაეწვათ. თუმცა, როგორც ნინევიის შემთხვევაში, აქაც ხანძარმა ისტორია გადაარჩინა – ცეცხლმა თიხის ფირფიტები გამოწვა და საუკუნეებს გაუძლო. დღეს ხათუსა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილია.

კითხვა

1. სად მდებარეობდა ხეთების სამეფო და რომელ თანამედროვე ქვეყანას შეესაბამება ეს ტერიტორია?
2. რა უპირატესობა და რა სირთულე შეიძლება ჰქონოდა ხეთებისათვის მთაგორიან ადგილებში ცხოვრებას?
3. როგორ ფიქრობთ, რატომ დაავიწყდა მსოფლიოს ასეთი ძლიერი სახელმწიფო?

ეს საინტერესოა



დიდი ხნის განმავლობაში ხეთებისთვის რკინა ოქროზე რვაჯერ ძვირი ღირდა. ვითარება შეიცვალა ქასქებთან კავშირის შემდეგ. ქასქები ცხოვრობდნენ ანატოლიის ჩრდილოეთ მთიანეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, ხეთების მეზობლად და ხშირად უპირისპირდებოდნენ მათ. ქართველი ისტორიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქასქები ქართველური ტომები იყვნენ, ამიტომაც მათ ხშირად „პროტოკოლხებსაც“ უწოდებენ. სწორედ კავკასიის რეგიონი, სადაც ქასქები ცხოვრობდნენ, იყო რკინის ტექნოლოგიის ერთ-ერთი ცნობილი ცენტრი ბრინჯაოს ხანის ბოლოს. ხეთები ქასქებთან კონტაქტის შედეგად გაეცნენ რკინის გამოდნობის უკეთეს მეთოდებს.

კითხვა

4. რა უპირატესობას აძლევდა ხეთებს რკინის იარაღი იმ ხალხებთან შედარებით, რომლებიც ჯერ კიდევ ბრინჯაოს იყენებდნენ?

ხათუსა – კლდეზე გაშენებული დედაქალაქი

ხეთების დედაქალაქი ხათუსა ნამდვილი საინჟინრო საოცრება იყო. კლდეებზე აღმართულ ქალაქს ექვსკილომეტრიანი გალავანი და რამდენიმე კარიბჭე იცავდა. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო ლომთა კარიბჭე.

ქალაქის მაღალ წერტილში აღმართული იყო მეფის დიდებული სასახლე. აქედან ხეთების მზე-მეფე (ასე ეძახდა ხეთი მეფე თავის თავს) მთელ თავის იმპერიას გადაჰყურებდა.



ხათუსას ნაქალაქარი. სიღრმეში ჩანს ხათუსას რეკონსტრუირებული გალავანი

ქალაქის ცენტრში მდგარი დიდი ტაძარი არა მხოლოდ სალოცავი, არამედ დიდი საწყობი იყო ხორბლის, ღვინისა და ზეთის შესანახად. ამ ტაძარშივე მდებარეობდა სპეციალური ოთახები – თიხის ფირფიტების ბიბლიოთეკა. აქვე არსებობდა გადამწერების სკოლა, სადაც ისინი სველ თიხაზე აღნუსხავდნენ მეფეთა საგმირო საქმეებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მეფის ბრძანებებს, კანონებს, რელიგიურ ლოცვებსა და უძველეს ლეგენდებს. ასე შემოგვინახეს გადამწერებმა ხეთების ცოდნა და ისტორია.



ხეთი ღვთაება

კითხვა

5. დააკვირდით ხათუსას ნანგრევების სურათს და იპოვეთ ტექსტში აღწერილი ნაგებობების კვალი?

6. ტექსტის მიხედვით, ხათუსას დიდი ტაძარი ერთდროულად სალოცავიც იყო, საწყობიც და ბიბლიოთეკაც. რას გვეუბნება ეს ხეთების სახელმწიფოში ტაძრის როლზე?

კადეშის ბრძოლა

იმპერიები ხშირად ეომებოდნენ ერთმანეთს იმ მიწებისა და რესურსების გამო, რომლებიც მათ ძალაუფლებას კიდევ უფრო აძლიერებდა. მეზობელ სახელმწიფოებს შორის დაძაბულობა მაშინ იფეთქებდა ხოლმე, როცა ორივე მხარე ერთსა და იმავე სტრატეგიულ ტერიტორიაზე აცხადებდა პრეტენზიას. ამას თან ერთვოდა ბრძოლა სავაჭრო გზების



ხეთების საბრძოლო ეტლი. რეკონსტრუქცია

ეს საინტერესოა

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში ხეთებმა ბრძოლის ველზე ორთვალა საბრძოლო ეტლები გამოიყვანეს. მათ შეცვალეს საბრძოლო ეტლის სტანდარტი – ის სამი მეომრისთვის გადააკეთეს: მეეტლე მართავდა ცხენებს; მშვილდოსანი ესროდა მტერს; ამ ორს იცავდა მეომარი, რომელსაც ფარი ეჭირა.

ეს ეტლები საკმაოდ მსუბუქი იყო. ორცხენიან ეტლს 30-40კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეეძლო. ხეთების მიერ სამხედრო ხელოვნებაში შეტანილ სიახლეს, ბუნებრივია, ქართველი ტომებიც ეზიარებოდნენ, რაზეც მეტყველებს კახეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.



ხეთები ბრძოლის ველზე. რეკონსტრუქცია

კითხვა

7. ხეთურ ეტლზე სამი მებრძოლი იდგა და თითოეულს თავისი ფუნქცია ჰქონდა. რა უპირატესობას აძლევდა ეს სამხედრო ხერხი ხეთებს მოწინააღმდეგეებთან შედარებით?

8. რატომ იყო კადეში ასე მნიშვნელოვანი დაპირისპირებული მხარეებისთვის?

9. რატომ არჩიეს ეგვიპტემ და ხეთებმა ომის გაგრძელებას სამშვიდობო შეთანხმება? რას მოუტანდა მშვიდობა თითოეულ მხარეს?

10. კადეშის ხელშეკრულების ასლი დღეს გაეროს შტაბბინაშია გამოფენილი. რატომ აირჩია გაერომ სწორედ ეს დოკუმენტი? რა აკავშირებს 3000 წლის წინანდელ შეთანხმებას გაეროს საქმიანობასთან?

გასაკონტროლებლად. ამ ინტერესების შეჯახების გამო ძვ.წ. 1274 წელს ეგვიპტის ფარაონი რამსეს II და ხეთების მეფე მუვათალი II ერთმანეთს ქალაქ კადეშთან (თანამედროვე სირიის ტერიტორია) დაუპირისპირდნენ. კადეში მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა, ამიტომ ვინც კადეშს ფლობდა, ის აკონტროლებდა მთელ რეგიონს.

ხეთებმა ეგვიპტელებთან ერთად ფარაონი ალყაში მოაქციეს. თუმცა რამსესმა უკან არ დაიხია და თავგანწირვით იბრძოლა. ბრძოლაში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. რამდენიმე წლის შემდეგ ეგვიპტელებმა და ხეთებმა კადეშის ზავი გააფორმეს.

ხელშეკრულება თავდაპირველად ვერცხლის ფირფიტაზე ამოტვიფრეს (თუმცა, იგი დღემდე აღმოჩენილი არ არის. შემორჩა მხოლოდ თიხის ფირფიტაზე შესრულებული ლურსმული ტექსტი). მისი მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ამ დოკუმენტის ასლი კიდია გაეროს შტაბბინაში, ნიუ-იორკში. ის სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის უძველეს სიმბოლოდ ითვლება.

ეს საინტერესოა

ხეთების ძლიერება მხოლოდ რკინის იარაღს არ ეფუძნებოდა, არამედ მათ წარმატებებს მიაღწიეს დიპლომატიაშიც. იმ ეპოქაში დიპლომატიური ურთიერთობების ენა აქადური (ბაბილონური) იყო. ხეთებმა შემოიღეს სპეციალური წესები და ეტიკეტი სხვა ქვეყნის მმართველებთან ურთიერთობისთვის. „ჩემი ძმა“ – ასე მიმართავდა ხეთების მეფე სხვა ქვეყნის ძლიერ მბრძანებელს. ეს ხაზს უსვამდა მათ თანასწორუფლებიანობასა და ურთიერთპატივისცემას; „ჩემი შვილი“ – ასე უწოდებდნენ შედარებით სუსტი ქვეყნის მეფეს, რაც მიანიშნებდა, რომ ხეთების მეფე მას მფარველობდა.

წყარო

ხეთის დედოფალ ფუდუხეფას წერილი ეგვიპტის ფარაონ რამსეს II-ს:

„ასე ამბობს ფუდუხეფა, ხეთის ქვეყნის დიდი დედოფალი: რეამასესას (რამსესს), დიდ მეფეს, ეგვიპტის ქვეყნის მბრძანებელს, ჩემს ძმას უთხარი: ...შენი ძმის მეუღლე (ფუდუხეფა, ხათუსილის მეუღლე) ბედნიერად ცხოვრობს. დაე, ჩემი ძმაც ბედნიერად ცხოვრობდეს! გიგზავნი ჩემს სალამს და ძვირფასეულობას. ჩემთან ყველაფერი კარგადაა. დაე, ჩემს ძმასთანაც ასევე იყოს! რაც შეეხება იმას, რაც შენმა დამ მოგწერა: ჩემს ქალიშვილს მოგცემ (ცოლად)“.

ეს საინტერესოა

ხეთების სამეფოს ხშირად უწოდებდნენ „ათასი ღვთაების ქვეყანას“. როდესაც ხეთები ახალ ტერიტორიებს იპყრობდნენ, დამორჩილებული ხალხების ღვთაებებს საკუთარ პანთეონში აერთიანებდნენ. ამ გზით მათ იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის გული მოიგეს და რელიგიური მშვიდობა შეინარჩუნეს.

ხეთების რელიგიის სათავეში ორი ღვთაება იდგა. ერთი იყო თარხუნთა (თეშუბი) – ამინდისა და ჭექა-ქუხილის ღვთაება. ის ითვლებოდა პანთეონის მმართველად. მას გამოსახავდნენ ცალ ხელში საბრძოლო ცულით, ხოლო მეორეში – ელვით. ვინაიდან ხეთების ცხოვრება მთლიანად სოფლის მეურნეობასა და წვიმაზე იყო დამოკიდებული, ამინდის ღმერთი მათთვის უძლეველი ძალა გახლდათ; მეორე ღვთაება იყო თარხუნთას მეუღლე ქალაქ არინას მზის ქალ-ღვთაება – დედამიწისა და სახელმწიფოებრივი წესრიგის უზენაესი მფარველი. ხეთების მეფეები ყოველი ომის წინ სწორედ მზის ქალ-ღვთაებას მიმართავდნენ დასახმარებლად.



ხეთი ღვთაებები. იაზილიქაია. თურქეთი

კითხვა

11. წყაროს გამოყენებით, ხეთები ხშირად, ომის ნაცვლად, მოლაპარაკებას ირჩევდნენ. რატომ შეიძლება იყოს დიპლომატია ისეთივე ძლიერი „იარაღი“, როგორიც ნამდვილი საომარი იარაღი?

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ხათუსაში ჩასული მოგზაური ხართ. დაწერეთ მოკლე წერილი მეგობრისთვის, რომელშიც აღწერთ, რა ნახეთ ქალაქში და რა შთაბეჭდილება მოახდინა ხეთი ხელოსნების ოსტატობამ თქვენზე.
2. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.

9. ხური და ურარტუ

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ, ახსნათ, ვინ იყვნენ ხურიტები, რას წარმოადგენდა მითანის სამეფო და რატომ ითვლებოდნენ ხურიტები ცხენოსნობის ოსტატებად; ახსნათ ქიქულის ნაშრომის მნიშვნელობა და ხურიტების კავშირი ხეთებთან; თქვენ დაახასიათებთ ურარტუს სამეფოს; გაიცნობთ მის მეფეებს (სარდურ I-ს, მენუას, არგიშთ I-ს); იმოგზაურებთ დედაქალაქ ტუშფაში და ნახავთ მეგალითურ არქიტექტურას; გაიაზრებთ ურარტული წარწერების მნიშვნელობას.



მეფე სარდურ II-ის
ბრინჯაოს მუზარადი (სომხეთი)





ხურიტული ეტლი.
ლუვრის მუზეუმი



ხურიტული თიხის სარიტუალო ჭურჭელი

ხურიტები

ძველი მსოფლიოს ისტორიაში განსაკუთრებული როლი აქვს ხურის სამეფოს (ძვ. წ. დაახლ. 1500-1300 წლები), რომლის ძირითად მოსახლეობას ხურიტები შეადგენდნენ. ამ ქვეყანას სხვაგვარად მითანსაც უწოდებდნენ. ხურიტები ენობრივად ენათესავებოდნენ ურარტუელებს. ხურიტების სახელმწიფო გადაჭიმული იყო ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და სირიის მაღლობებზე.

ხურის სამეფოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მისი ბედი. სახელმწიფო მოქცეული იყო ძველი სამყაროს ორი უძლიერესი იმპერიის – ხეთების სამეფოსა და ეგვიპტეს – შორის. სწორედ ამ „ცეცხლოვან რკალში“ ყოფნის გამო ხურის სამეფო ხშირად ხდებოდა ორი სახელმწიფოს დაპირისპირების ეპიცენტრი. მათ მუდმივად უწევდათ ხან ეგვიპტის მოკავშირეობა ხეთების წინააღმდეგ (რასაც ხშირად დიპლომატიური ქორწინებებით ამყარებდნენ), ხან კი აშკარა ბრძოლა, სანამ ხეთებისა და ასურეთის შემოსევების შედეგად საბოლოოდ არ შეწყვიტა არსებობა.

ხურის სამეფოს წარმატების საიდუმლო საბრძოლო ცხენების წვრთნა იყო. ძვ. წ. XV საუკუნეში სწორედ აქ შეიქმნა კაცობრიობის ისტორიაში ცხენის გაწვრთნის ჩვენამდე მოღწეული პირველი სახელმძღვანელო – „ქიქულის ინსტრუქციები“, რომელიც თიხის ფირფიტებზეა დაწერილი. მასში მოთხრობილია, თუ როგორ უნდა გამოეკვებათ და გაეწვრთნათ ცხენები, რათა ბრძოლის ველზე სწრაფები და გამძლეები ყოფილიყვნენ, და როგორ განესაზღვრათ ცხენებისთვის ვარჯიშისა და დასვენების განრიგი.



წყარო

ქიქულის ტექსტი (ძვ. წ. XIII ს.): „ასე ამბობს ქიქული, მითანელი: როდესაც იგი შემოდგომით ცხენებს საბალახოდ გაუშვებს, შეკაზმავს მათ და ჩორთით ატარებს, შემდეგ წინ და უკან აქროლებს, შემდეგ განკაზმავს, აჭმევს, ასმევს (და) თავლაში შეიყვანს. შემდეგ (ერთად) შერეულ 1 ხელ ქატოს, 2 ხელ ქერს და 1 ხელ თივას მისცემს (და) ისინიც შეჭამენ. როგორც კი დაასრულებენ ჭამას, მიაბამს სარზე. რომ მოსაღამოვდება, გამოიყვანს თავლიდან (და) შეკაზმავს“.

? **კითხვა**

1. თქვენი აზრით, რატომ სჭირდებოდა ცხენს სპეციალური წვრთნა ბრძოლისა და შეჯიბრების წინ? რა უპირატესობას ანიჭებდა ეს ხურიტებს ბრძოლაში?

ეს საინტერესოა

სირიის ქალაქ უგარიტში აღმოაჩინეს თიხის ფირფიტა, რომელზეც 3400 წლის წინანდელი საგალობელია ჩაწერილი. ესაა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მუსიკალური ნოტები. ასე რომ, ხურიტებმა არა მხოლოდ ცხენების წვრთნის წესები შეიმუშავეს, არამედ მუსიკის ნოტებით ჩაწერის ტრადიციასაც ჩაუყარეს საფუძველი.



წყარო

ხურის სამეფოს ქალაქის მმართველის მოვალეობანი:

„ამგვარად უბრძანებს მეფე ქალაქის მმართველს: „ყოველი ქალაქის მმართველი ვალდებულია იცავდეს თავის ქალაქს და მის მიმდებარე ტერიტორიას. უკეთუ, ქალაქის (მიმდებარე) ტერიტორიაზე დგას მიტოვებული კოშკი, ქალაქის მმართველმა იგი უნდა დაიცვას. დაე, მისი ქალაქის ტერიტორიაზე ნუ მოხდება მძარცველობა. დაე, ნუ იქნებიან იქ მტრები, რომლებიც კლავენ და (ნაძარცვი) მიაქვთ. უკეთუ ქალაქის ტერიტორიაზე მოხდება ძარცვა ან გამოჩნდებიან მტრები, რომლებიც (ქალაქის მცხოვრებთ) დახოცავენ, ან გაძარცვავენ, ქალაქის მმართველი პასუხს აგებს“.

უძველესი ხურიტული ტექსტი თარგმნა ერეკლე ასტახიშვილმა



ქალაქ ურქეშის ლომი (ხურის სამეფო).
ლუვრის მუზეუმი, საფრანგეთი

კითხვა

2. რატომ გადაწყვიტეს ხურიტებმა მუსიკის ჩაწერა?

3. ხურიტული ენა კავკასიის უძველეს ხალხებს უკავშირდება. რატომ არის ეს კავშირი მნიშვნელოვანი ჩვენი ისტორიისთვის? რის გაგებაში გვეხმარება ხურიტული ჩანაწერები?

4. წყაროს მიხედვით, თუ ქალაქის ტერიტორიაზე ძარცვა ან მკვლელობა მოხდებოდა, პასუხს მმართველი აგებდა. რატომ დააწესა მეფემ ასეთი მკაცრი წესი?



ხალდი – ურარტუელების მთავარი ღვთაება

ურარტუ – სამი ტბის ქვეყანა


ხურიტების მემკვიდრეებმა ძვ. წ. IX საუკუნეში შექმნეს ძლიერი სახელმწიფო – ურარტუ. ქვეყანა გაშლილი იყო დღევანდელი თურქეთის, ირანისა და სომხეთის ტერიტორიების ნაწილზე, სამი ტბის – ვანის, ურმიისა და სევანის – გარშემო.

ურარტუს სამეფოს ძლიერებას საფუძველი ჩაუყარა სარდურ I-მა (ძვ. წ. IX საუკუნე). სწორედ მან ააგო ვანის ტბის პირას ქალაქი ტუშფა გიგანტური გალავნით და პირველმა მიიღო ტიტული „მეფეთა მეფე“. ქვეყნის აღმშენებლობა მეფე მენუამ განაგრძო. მან უნაყოფო მიწები სარწყავი არხების ქსელით დაფარა, ხოლო არგიშთ I-მა სამეფოს საზღვრები შორს, ჩრდილოეთისკენ გადასწია და ააგო ციხესიმაგრე ერებუნი (დღევანდელი ერევანი). ურარტუს მეფეები თავს მიიჩნევდნენ ღვთაება ხალდის მსახურებად, რომელიც ყოველთვის ლომზე ამხედრებული გამოისახებოდა. ეს ცხოველი მეფისა და ღვთაებრივი ძალაუფლების სიმბოლო იყო.

ურარტუც დიდხანს წარმატებით უმკლავდებოდა იმ დროის მრისხანე ძალას – ასურეთს, თუმცა, საბოლოოდ, მას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილმა სკვითებმა და კიმერიელებმა. ძვ. წ. VI საუკუნეში ურარტუ მიდიის სამეფომ დაიპყრო.

კითხვა

5. რატომ უწოდებენ ურარტუს „სამი ტბის ქვეყანას“? იპოვეთ რუკაზე სამივე ტბა.
6. რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ურარტუს გაძლიერებას და რამ გამოიწვია მისი დაცემა?
7. სარდურ I-მა მიიღო „მეფეთა მეფის“ ტიტული. რას გვიჩვენებს ის სახელმწიფოს მოწყობასა და მისი მმართველის ძალაუფლების შესახებ?



რუკა 6. ურარტუს სამეფო

ურარტული არქიტექტურა – კლდეში გამოკვეთილი მეგალითები

ურარტულები მშენებლობის ნამდვილი ოსტატები იყვნენ. მათი არქიტექტურის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მეგალითური (ბერძნულიდან „მეგას“ – დიდი, „ლითოს“ – ქვა) სტილია. ისინი იყენებდნენ უზარმაზარ, მრავალტონიან ქვებს, რომლებიც ისე ზუსტად იყო ერთმანეთზე მორგებული, რომ მათ შორის ნემსის გატარებაც კი შეუძლებელი იყო.

ურარტული ციხესიმაგრეების გალავნები შენდებოდა ე.წ. „მშრალი წყობით“ – ქვებს შორის დუღაბს (სამშენებლო ხსნარს) არ იყენებდნენ. სიმყარე მიიღწეოდა ლოდების გიგანტური წონითა და მათი ზედაპირის იდეალური დამუშავებით.



წყარო

საქართველოში, ეროვნული მუზეუმის ქვის განყოფილებაში, ინახება საკმაოდ ბევრი ურარტული ქვის წარწერა. ერთ-ერთი წარწერა მეფე მენუას ეკუთვნის: „...მენუამ, იშფუინის ძემ, ცხენი (სახელად) არწიბი [ან: არწივივით] გადაახტუნა... დიდ მანძილზე“ (შეადარეთ სიტყვა არწიბი ქართულ არწივს).



მეცნიერის თვალსაზრისი

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეგვიპტელები ლოდებს სველ ქვიშაზე სრიალით გადააადგილებდნენ, რაც ხახუნის ძალას მნიშვნელოვნად ამცირებდა. ურარტულები კი, სავარაუდოდ, იყენებდნენ ბერკეტებს – ხის გრძელ ჯოხებს, რომელთა გამოყენებითა და შედარებით ნაკლები ძალდატანებით, გიგანტური ლოდის გადაადგილება შეიძლებოდა.



ვანის ციხესიმაგრე. თურქეთი



ეს საინტერესოა

ურარტული ნაგებობის ზოგიერთი ლოდი რამდენიმე ტონას იწონის. დღესაც მსჯელობენ, თუ როგორ ახერხებდნენ ურარტული ოსტატები ამ სიმძიმეების ატანას მაღალ კლდეებზე და მათ ზუსტ დამუშავებას მხოლოდ ბრინჯაოსა და რკინის იარაღებით.

კითხვა

8. გაიხსენეთ ან მოიძიეთ ინფორმაცია, სად გვხვდება მეგალითური ნაგებობები საქართველოში და რა მსგავსებაა ურარტულ არქიტექტურასთან?

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ ურარტუს მეფე ხართ და გსურთ კლდეზე დატოვოთ წარწერა ერთი დიდი საქმის შესახებ (მაგ., ციხის აშენება ან ქალაქის დაარსება). დაწერეთ მოკლე წარწერა ისე, როგორც ურარტუს მეფე დაწერდა.
2. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.

10. ფინიკიელები და ებრაელები

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ, ახსნათ, რატომ გახდნენ ფინიკიელები საუკეთესო მეზღვაურები და რა იყო „კილი“; თქვენ განიხილავთ ფინიკიური ანბანის წარმოშობის ისტორიას და მის გავლენას მსოფლიო კულტურის განვითარებაზე; აღწერთ ისრაელის ისტორიის ძირითად მოვლენებს (აბრაამიდან ბაბილონის ტყვეობამდე); შეაფასებთ ბიბლიის, როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობას; განიხილავთ ქართველებსა და ებრაელებს შორის ურთიერთობების ისტორიას.



სოლომონის ტაძარი (ისრაელი). რეკონსტრუქცია





წყარო

ჰეროდოტე, „ისტორია“:

„ფინიკიელებმა, რომლებიც კადმოსთან ერთად მოვიდნენ... თან მოიტანეს საბერძნეთში მრავალი ცოდნა და, რაც მთავარია, დამწერლობა (ანბანი), რომელიც ბერძნებს მანამდე არ ჰქონდათ... დროთა განმავლობაში ენასთან ერთად ასოების მოხაზულობაც შეიცვალა... ბერძნები ამ ნიშნებს „ფინიკიურს“ უწოდებდნენ, რაც სრული სიმართლე იყო, რადგან ისინი საბერძნეთში სწორედ ფინიკიელებმა შემოიტანეს“.

კედარის ხომალდები და შორეული ნაოსნობა

ფინიკიელები ცხოვრობდნენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (დღევანდელი ლიბანის ტერიტორიაზე). მათი ქვეყანა მთებსა და ზღვას შორის მოქცეულ ვიწრო ზოლს წარმოადგენდა, ამიტომ ფინიკიელებმა საზღვაო საქმეს მიჰყვეს ხელი და მსოფლიოს საუკეთესო მეზღვაურები გახდნენ. ფინიკიელებს დიდი სამხედრო იმპერია არ შეუქმნიათ, მაგრამ ძვ. წ. XIII საუკუნისთვის შეძლეს მთელი ხმელთაშუა ზღვა ერთიან ეკონომიკურ სივრცედ ექციათ. ბერძენი ისტორიკოსის, ჰეროდოტეს, ცნობით კი, ძვ. წ. VII საუკუნეში ფინიკიელებმა უნიკალური მოგზაურობა დაიწყეს. მათ ეგვიპტიდან აფრიკის კონტინენტს აღმოსავლეთიდან შემოუარეს და ხმელთაშუა ზღვაში გიბრალტარის სრუტით დაბრუნდნენ.

ფინიკიელთა წარმატება ზღვაოსნობაში იმანაც განაპირობა, რომ ისინი საკმაოდ გამძლე გემებს აგებდნენ. ლიბანის მთებზე იზრდებოდა საუკეთესო კედარის ხე. მისი მაგარი მერქანი წყალგამძლე იყო. ფინიკიელებმა გააუმჯობესეს გემის ხერხემალი – „კილი“ (გრძელი ხის ძელი, რომელიც გემის ფსკერის გასწვრივ გადის). სწორედ ფინიკიური კილების ფორმა იქცა მოგვიანებით ხმელთაშუა ზღვის გემთმშენებლობის ნიმუშად.

კითხვა

1. ფინიკიელების ქვეყანა მთებსა და ზღვას შორის მოქცეული ვიწრო ზოლი იყო. როგორ აქცია სწორედ ამ ვიწრო ზღვისპირა მდებარეობამ ისინი მსოფლიოს საუკეთესო მეზღვაურებად?
2. თქვენი აზრით, რა სარგებელი მოჰქონდა ფინიკიელებისთვის სხვადასხვა ხალხთან ვაჭრობას?



რუკა 7. ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები და კოლონიზაცია



ფინიკიური გემი

ეს საინტერესოა

ძველი ბერძენი მეზღვაურები მცირე დათვის თანავარსკვლავედს ხშირად „ფინიკიურ თანავარსკვლავედს“ უწოდებდნენ. ბერძნებმა სწორედ მათგან ისწავლეს ღამის ცაზე ორიენტირება. მცირე დათვის თანავარსკვლავედი ცის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს და მასში შემავალი პოლარული ვარსკვლავის მიხედვით ჩრდილოეთის მიმართულების ზუსტად დადგენა შეიძლება.

ანბანის დაბადება – 22 ასო, რომლებმაც შეცვალა სამყარო

ფინიკიელები პრაქტიკული ხალხი იყო. როგორც წარმატებულ ვაჭრებს, მათ სჭირდებოდათ მარტივი და სწრაფი სისტემა საქონლის აღსარიცხად. მანამდე არსებული სისტემები – მესოპოტამიური ლურსმული დამწერლობა და ეგვიპტური იეროგლიფები – მოიცავდა ასეულობით რთულ ნიშანს, რომელთა შესწავლას წლები სჭირდებოდა.

ფინიკიელებმა შექმნეს საოცარი სისტემა – მათ ნიშნები მიანიჭეს არა მთლიან სიტყვებს ან ცნებებს, არამედ ცალკეულ ბგერებს. მათ შექმნეს 22 ასო-ნიშანი, რომლებიც მხოლოდ თანხმოვნები იყო. ეს სისტემა გადაიღეს ბერძნებმა და ხმოვნებიც დაუმატეს. ასე შეიქმნა პირველი სრული ანბანი. ის იმდენად მარტივი აღმოჩნდა, რომ ნებისმიერ ადამიანს წერა-კითხვის სწავლა ძალიან მოკლე პერიოდში შეეძლო. ამის შემდეგ კი ცოდნის გადაცემა უფრო გამარტივდა და წერა-კითხვაც ბევრმა ადამიანმა ისწავლა.

კითხვა

3. თქვენი აზრით, რა საჭიროებამ უბიძგა ფინიკიელებს შეექმნათ ოცდაორასოიანი მარტივი დამწერლობის სისტემა?

4. ლურსმული და იეროგლიფური დამწერლობების შესწავლას წლები სჭირდებოდა, ფინიკიური ანბანის სწავლას კი – მცირე ხანი. თქვენი აზრით, რა გავლენას ახდენდა ეს ფაქტი მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებაზე?

5. რატომ გავრცელდა ანბანური დამწერლობა შედარებით სწრაფად სხვა ხალხებში?



დავით მეფსალმუნე,
ქართული ხელნაწერი, XV ს.

ძველი ისრაელი – აღთქმული მიწა

ებრაელების სამშობლო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. ისინი აღიარებდნენ სამყაროს შემოქმედ მხოლოდ ერთ ღმერთს. ბიბლიის ტრადიციით, ებრაელი ხალხის ისტორია მამამთავარ აბრაამიდან იწყება. იგი შუამდინარეთში ცხოვრობდა, სადაც მას ღმერთი გამოეცხადა, რომელმაც აღუთქვა, რომ დააბრუნებდა თავის ისტორიულ სამშობლოში. აბრაამმა ირწმუნა ღმერთის და, მისი მითითებით, ოჯახთან და თანამოაზრეებთან ერთად შუამდინარეთიდან ისრაელში, აღთქმულ მიწაზე, ქანაანში გადასახლდა.

ბიბლიის მიხედვით, აბრაამის ორი ვაჟის – ისააკისა და ისმაელისგან – წარმოიშვნენ ებრაელები და არაბები. ისლამური ტრადიციით, აბრაამი (იბრაჰიმი) არაბთა წინაპრად მიიჩნევა. ქრისტიანობაც მას ყველა ქრისტიანის სულიერ მამად თვლის. ამიტომაც იუდაიზმს, ქრისტიანობასა და ისლამს აბრაამისტულ რელიგიებად მოიხსენიებენ. აბრაამის გარდაცვალების შემდეგ ქანაანში გაუსაძლისი შიმშილობა დაიწყო და ებრაელები ეგვიპტეში გადასახლდნენ. ბიბლიის თანახმად, თითქმის ოთხ საუკუნეზე მეტი ხანი ისინი ეგვიპტეში ცხოვრობდნენ და აუტანელ ჩაგვრას განიცდიდნენ ფარაონებისგან. ეგვიპტური

ეს საინტერესოა

ძველი ისრაელის ისტორიის კვლევა შეუძლებელია ბიბლიის (ძველი აღთქმის) წყაროების გარეშე. იგი არ არის მხოლოდ რელიგიური წიგნი, ის შეიცავს უამრავ ისტორიულ, გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ინფორმაციას ძველი ისრაელისა და მისი მეზობელი ხალხების შესახებ. ამიტომ, ისტორიკოსები ბიბლიას, სხვა წერილობითი წყაროების მსგავსად, იყენებენ, როგორც ისტორიულ წყაროს. თუმცა, საჭიროა მისი კრიტიკული შესწავლა, სხვადასხვაგვარ წყაროსთან შედარება და ანალიზი.



რუკა 8.
პალესტინა და ებრაული
სამეფოები

მონობიდან გამოსვლას და ქანაანში დაბრუნებას სათავეში ჩაუდგა მოსე, რომელმაც სინას მთაზე მიიღო ათი მცნება – მორალური კანონების კრებული. მოსეს შემდეგ, ვიდრე სამეფო ხელისუფლება ჩამოყალიბდებოდა, ისრაელს მართავდნენ მსაჯულები – სამხედრო და რელიგიური ლიდერები.

ძვ. წ. XI საუკუნეში ჩამოყალიბდა ერთიანი ისრაელის სამეფო, რომლის გამორჩეული მეფეები იყვნენ დავით წინასწარმეტყველი და სოლომონ ბრძენი. დავითმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აქცია. მისმა ვაჟმა, სოლომონმა, კი იერუსალიმში ააგო პირველი დიდი ტაძარი. სოლომონის შემდეგ ერთიანი ისრაელის სამეფო ორად გაიყო: ისრაელად და იუდეად. ძვ. წ. VI საუკუნეში ბაბილონის მეფემ, ნაბუქოდონოსორ II-მ, იერუსალიმის ტაძარი დაანგრია, ხოლო იუდეველთა დიდი ნაწილი ბაბილონში გადაასახლა. მოგვიანებით, ირანის მეფე კიროს II-მ კი ბაბილონის აღების შემდეგ, იუდეველები გაათავისუფლა და მათ სამშობლოში დაბრუნებისა და ტაძრის აღდგენის უფლება მისცა.



მოსე.
ავტორი: მიქელანჯელო ბუონაროტი

„წიგნის ხალხი“ – რწმენა, ბიბლია და ყოველდღიურობა

ებრაელებს სჯეროდათ, რომ სამყაროს შემოქმედი უხილავია და მისი გამოსახვა კერპის სახით უდიდესი ცოდვა იყო. ებრაელთა წინასწარმეტყველებს სწამდათ, რომ ღმერთთან ნამდვილი კავშირი, პირველ რიგში, სამართლიანი ცხოვრებით, სიკეთის კეთებით, სუსტების მფარველობითა და მორალური კანონების მკაცრი დაცვით მყარდებოდა.

ტაძრის ყველაზე წმინდა ადგილას იდგა აღთქმის კიდობანი – მოოქროვილი სკივრი, რომელშიც ათი მცნების ქვებს ინახავდნენ. ეს მცნებები იყო ძირითადი წესები (მაგალითად: „არა კაც ჰკლა“, „არა იპარო“, „არა ცილი სწამო“, „პატივი ეცი მშობლებს“...), რომლებიც ადამიანებს შორის სამართლიანობას ამყარებდა. ებრაელებს „წიგნის ხალხს“ უწოდებენ.

კითხვა

6. უძველესი ებრაული ხელნაწერი, ლაილაშის ბიბლია, საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ინახება. რას გვეუბნება ეს ფაქტი საქართველოში მცხოვრები ხალხების ურთიერთობაზე?

დავალება

1. შეადგინეთ ფინიკიელების „წარმატების ფორმულა“: ახსენით, (1) როგორ აქცია ბუნებამ ფინიკიელები მეზღვაურებად, (2) რა გამოიგონეს ვაჭრობის გასაადვილებლად და (3) რა გავლენა მოახდინა მათმა ანბანმა მსოფლიოზე? რა აერთიანებს ფინიკიელების მათ მიღწევებს?

2. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.

ეს საინტერესოა

საქართველოში, კერძოდ, ლეჩხუმის სოფელ ლაილაშში, საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა X საუკუნის უნიკალური ებრაული ხელნაწერი, რომელსაც „ლაილაშის ბიბლიას“ უწოდებენ. ის მსოფლიოში არსებულ ბიბლიათა შორის ერთ-ერთი უძველესია.

ადგილობრივი ქართველები და ებრაელები „ლაილაშის ბიბლიას“ ერთნაირად სცემდნენ თაყვანს, რადგან მათთვის ძველი აღთქმა წმინდა წიგნია.

დღეს ეს საგანძური თბილისის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.




ლაილაშის ბიბლია

11. აქემენიანთა ირანი

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ, ახსნათ ჰენრი როუ-ლინსონისა და გეორგ გროტეფენდის როლი ლურსმული დამწერლობის გაშიფვრაში; თქვენ აღწერთ კიროს დიდის იმპერიას; გაეცნობით დარიოს I-ის რეფორმებს; გაიგებთ ქართულ სამყაროსთან (კოლხეთი და იბერია) აქემენიანთა იმპერიის კავშირის შესახებ; გაიაზრებთ ზოროასტრიზმის ძირითად პრინციპებს და მის გავლენას ქართულ კულტურაზე; შეიტყობთ, როგორ დასრულდა აქემენიანთა იმპერია ალექსანდრე დიდის ლაშქრობების შედეგად.



გამოსახულება პერსეპოლისის სასახლის კედელზე (ირანი)





კიროს დიდის აკლდამა



აქემენიანი დიდებული.
პერსეპოლისი


კიროს დიდის იმპერია

თანამედროვე ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს უძველეს დროს მიდია ეწოდებოდა. ძლიერი მიდიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა ირანული ტომებით დასახლებული პროვინციები, რომელთაგან ერთ-ერთს (ფარსს) აქემენიანების საგვარეულო განაგებდა. ძვ. წ. VI საუკუნეში ამ საგვარეულოს წარმომადგენელმა, კიროსმა, მიდიის სამეფო დაიპყრო და ახალი სახელმწიფო, აქემენიანთა იმპერია, ჩამოაყალიბა (ძვ. წ. 550-330). ძველი ბერძნები მას პროვინცია ფარსის მიხედვით „სპარსეთს“ უწოდებდნენ.

კიროს დიდმა შეძლო შუამდინარეთის, მცირე და ცენტრალური აზიის ნაწილის დაპყრობა. აქემენიანთა იმპერია თავისი დროის ყველაზე დიდ სახელმწიფოდ იქცა. ძვ. წ. 530 წელს, კიროს დიდის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ავიდა მისი ვაჟი კამბისე II, რომელმაც ეგვიპტე დაიმორჩილა.

დარიოს დიდი და იმპერიის მმართველობის სისტემა

კამბისეს ხანმოკლე მმართველობის შემდეგ აქემენიანთა იმპერიის ტახტზე დარიოს I (ძვ. წ. 522-486) ავიდა. მან ქვეყანა ოლქებად – სატრაპიებად დაყო. თითოეულს მართავდა სატრაპი. „მეფეთმეფეს“ ჰყავდა სპეციალური მოხელეები, რომლებიც მოულოდნელად სტუმრობდნენ სატრაპიებს, რათა შეემოწმებინათ, სამართლიანად მართავდნენ თუ არა სატრაპები ხალხს. საქართველო, კერძოდ კი, მისი სამხრეთი და დასავლეთი მხარეები, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძველ ირანთან. მაგალითად, ჰეროდოტეს მიხედვით, კოლ-



რუკა 9.
აქემენიანთა იმპერია

ხეთის სამხრეთი ნაწილი, მეზობელ ხალხებთან ერთად, მე-19 სატრაპიის შემადგენლობაში შედიოდა.

დარიოსის იმპერია არა მხოლოდ სამხედრო ძალით, არამედ სიმდიდრითა და ორგანიზებულობით გამოირჩეოდა. აქემენიანებმა შექმნეს სავაჭრო გზების ქსელი, რომელმაც ინდოეთიდან ევროპამდე ვაჭრობა გაამარტივა. მათ შემოიღეს ერთიანი საგადასახო და საბაჟო წესები. დარიოსმა მოჭრა ოქროს მონეტა – დარიკი და ვერცხლის მონეტა – სიგლოსი.

დარიოსმა დააწესა ერთიანი ოფიციალური ენა – არამეული, რომელიც ასრულებდა დიპლომატიური და საქმისწარმოების ენის როლს. ამ გზით მან მოახერხა, რომ სამეფო ბრძანებულებები და დოკუმენტები ინდოეთიდან ეგვიპტემდე ყველასთვის გასაგები გახდა.

დარიოსის ბრძანებით, მთელ ქვეყანაში გაიყვანეს „სამეფო გზა“. გზის ყოველ 20 კილომეტრში იდგა სადგური, სადაც ცხენის შეცვლა იყო შესაძლებელი. შიკრიკი სწრაფად მიქროდა, სადგურზე ცხენს ცვლიდა და გზას აგრძელებდა. ასე ვრცელდებოდა ინფორმაცია ელვის სისწრაფით მთელ იმპერიაში: „არც თოვლს, არც წვიმას, არც სიცხეს და არც ღამეს არ შეუძლია შეაჩეროს შიკრიკი“, – ეს სიტყვები სწორედ აქემენიანთა იმპერიაში დაიბადა.



სასახლის სვეტები. პერსეპოლისი

ეს საინტერესოა

კიროსი გამოირჩეოდა შემწყნარებლური პოლიტიკით, რაც რელიგიური წარმოდგენების ხელშეუხებლობასა და მათდამი პატივისცემაში გამოიხატებოდა. როდესაც მან ბაბილონი აიღო (ძვ. წ. 539), იქ დატყვევებული ხალხი (მათ შორის, ებრაელები) გაათავისუფლა და საკუთარ სამშობლოში დააბრუნა.



აქემენიანთა იმპერიის ოქროს დარიკი (ძვ. წ. VI-IV სს.)

ალექსანდრე მაკედონელი და აქემენიანები

აქემენიანთა იმპერიას მუდმივად უწევდა საკუთარი საზღვრების დაცვა. საბოლოო დარტყმა კი აქემენიანებმა დასავლეთიდან მიიღეს – მაკედონელმა მხედართმთავარმა, ალექსანდრე დიდმა, დაამარცხა „მეფეთმეფე“ დარიოს III 331 წლის გავგამელის ბრძოლაში. ძვ. წ. 330 წელს დასრულდა აქემენიანთა იმპერიის არსებობა. ალექსანდრემ დაიპყრო ტერიტორიები ეგვიპტიდან ინდოეთამდე, რამაც საფუძველი ჩაუყარა სრულიად ახალ ელინისტურ ეპოქას.

აქემენიანთა იმპერია გამორჩეული იყო თავისი ზომით, მოქნილი ადმინისტრაციული ორგანიზებითა და კულტურული მრავალფეროვნებით. აქემენიანთა კულტურამ და სახელმწიფოებრივმა იდეებმა ალექსანდრეს მიერ შექმნილ სამყაროშიც განაგრძო სიცოცხლე, ისევე, როგორც არამეულმა ენამ, რომელიც იმპერიის დაცემის შემდეგაც მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა.



სასახლის რელიეფი. პერსეპოლისი

ამეტყველებული სპარსული წარწერები

საუკუნეების განმავლობაში მესოპოტამიისა და ირანის დიდებული ქალაქები ქვიშის ქვეშ იყო დამარხული, ხოლო კლდეებზე ამოკვეთილ უცნაურ ნიშნებს – ლურსმულ დამწერლობას – ვერავინ კითხულობდა. ყველაფერი შეიცვალა, როდესაც მეცნიერებმა მათი გაშიფვრის საიდუმლოს მიაგნეს.

ლურსმული დამწერლობის წაკითხვაში დიდია ინგლისელი ოფიცრისა და მეცნიერის, ჰენრი როულინსონის წვლილი. მან სიცოცხლის ფასად, მაღალ კლდეზე ჩამოკიდებულმა, გადმოიწერა ბეჰისტუნის კლდის წარწერა (მთა მდებარეობს ირანში). ეს გახლდათ სამენოვანი ტექსტი – ძველსპარსულ, ელამურ და ბაბილონურ ენებზე. სამივე ტექსტი ერთი და იმავე შინაარსისა იყო, რამაც მეცნიერებს ლურსმული დამწერლობის ამოხსნის გასაღები მისცა. უკვე შესაძლებელი გახდა ლურსმული წარწერების სრულად წაკითხვა. ამ აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა ახალ მეცნიერებას – ასირიოლოგიას.



ბეჰისტუნის წარწერა მეფე დარიოს I-ის ბრძანებით შექმნილი მრავალენოვანი წარწერაა, რომელიც ამოკვეთილია კლდეზე, ბეჰისტუნის მთასთან.

ეს საინტერესოა

ძველსპარსულ ლურსმულ დამწერლობას საუკუნეების განმავლობაში ვერ შიფრავდნენ, სანამ გერმანელმა ფილოლოგმა, გეორგ გროტეფენდმა, მეგობრებთან დადებული ნიძლავის წყალობით, 1802 წელს არ ამოიკითხა რამდენიმე სიტყვა. იგი განათლებით არ ყოფილა აღმოსავლეთმცოდნე, მაგრამ, საოცარი ლოგიკის წყალობით, ივარაუდა, რომ წარწერებში ხშირად უნდა გამეორებულიყო სიტყვები: „მეფე“ და „მეფეთა მეფე“. ამ ლოგიკითა და აქემენიანი მეფეების სახელთა ცოდნით, მან პირველი ნაბიჯი გადადგა ლურსმულის ამოხსნისკენ, თუმცა, ლურსმული დამწერლობის სრული გაშიფრა ჰენრი როულინსონის სახელს უკავშირდება. ასე რომ, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა ნიძლავით დაიწყო!



გეორგ გროტეფენდი


კითხვა

1. რა მნიშვნელობა ჰქონდა ბეჰისტუნის სამენოვან წარწერას ლურსმული დამწერლობის ამოსახსნელად?
2. რა საერთო ჰქონდა სპარსული ლურსმული დამწერლობისა და ეგვიპტური იეროგლიფების ამოხსნის ისტორიებს?

სინათლის რელიგია და „სამოთხის“ ბაღები

ძველ ირანელებს სჯეროდათ, რომ სამყაროში მუდმივი ბრძოლა იყო სიკეთესა და ბოროტებას შორის. მათი რელიგიის, ზოროასტრიზმის, დამაარსებელი იყო წინასწარმეტყველი ზარატუსტრა, რომლის ცხოვრების ზუსტი თარიღი უცნობია. მეცნიერები ფიქრობენ, რომ იგი ცხოვრობდა ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში. ზარატუსტრა თავის მიმდევრებს მოუწოდებდა, ყოფილიყვნენ სინათლის მხარეს. ადამიანი საკუთარი ფიქრით, სიტყვითა და საქმით ყოველდღიურად უნდა იბრძოდეს ბოროტების წინააღმდეგ. ამისთვის კი სულ სამი რამაა საჭირო: კეთილი ფიქრი, კეთილი სიტყვა, კეთილი საქმე. სპარსელებისთვის ცეცხლი სიწმინდისა და სინათლის სიმბოლო იყო, ამიტომ მათ ტაძრებში ცეცხლი მუდმივად ენთო.

სპარსელებმა შექმნეს საირიგაციო სისტემები და უდაბნოში აყვავებული ბაღები გააშენეს. ასეთ ბაღებს სპარსულად ფარადაიზა ერქვა, რაც ნიშნავს „გარშემო კედლით შემოვლებულ ადგილს“. სპარსეთში მოგზაურობის შემდეგ ბერძნებმა, ეს სიტყვა თავიანთ ენაში „პარადეისოსად“ შემოიტანეს. ბერძნულიდან ის ლათინურში გადავიდა, შემდეგ კი სამოთხის მნიშვნელობით დამკვიდრდა თანამედროვე ენებში.



ფარავაჰარი – ზოროასტრიზმის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) და ძველი ირანის (სპარსეთის) უმნიშვნელოვანესი სიმბოლო

! დავალება

1. ახსენით, რის გამოხატულებად ითვლება ცეცხლი ზოროასტრიზმში?
2. იმსჯელეთ აქემენიანთა იმპერიის მართვის სამ საფუძველზე: (ა) დაპყრობილ ხალხთა მიმართ შემწყნარებლურ პოლიტიკაზე, (ბ) იმპერიის სატრაპიებად დაყოფაზე და (გ) ერთიან ფულსა და სავაჭრო გზებზე.
3. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.



ზოროასტრული რიტუალი. პერსეპოლისი

ეს საინტერესოა

საქართველოში, ყვარელთან (ნაქულბაქევი) და ყანჩაეთში, ნაპოვნია აქემენიანური სტილის სასახლეები და სვეტისთავები, რაც ამტკიცებს, რომ აქაური დიდებულები სპარსულ მოდასა და ცხოვრების წესს იზიარებდნენ. ასევე აღმოჩენილია უნიკალური ოქროს სამკაულები – სამაჯურები, რომელთაც ბოლოებზე ფანტასტიკური არსებების თავები აქვთ გამოსახული. ეს ნივთები იმდენად ჰგავს სპარსულს, რომ მეცნიერები მას „აქემენიანურ-კოლხურ“ ხელოვნების ნიმუშებსაც კი უწოდებენ. საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემლობაც იყო გავრცელებული. ამის დასტურია ძველ თბილისში დღემდე შემორჩენილი ცეცხლის ტაძრის ნანგრევები.

12. ძველი ინდოეთი

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ ახსნათ, როგორი იყო ინდის ხეობის ცივილიზაცია (მოჰენჯო-დარო, ჰარაფა) და რა საინჟინრო მიღწევებით გამოირჩეოდა; ვინ იყვნენ არიელები, რა მოიტანეს მათ ინდოეთში; იმსჯელებთ კასტური სისტემის სოციალურ-მორალურ შედეგებზე; თქვენ გაეცნობით ბუდას სწავლების ძირითად პრინციპებს და მის კავშირს ქართულ კულტურასთან („სიბრძნე ბალავარისა“); განიხილავთ აშოკას მმართველობასა და ძველი ინდოეთის ცივილიზაციის წვლილს მსოფლიოს ისტორიაში.



აშოკას სვეტი (ინდოეთი)





მოჰენჯო-დარო

ეს საინტერესოა

ინდოეთში წყალი წმინდად ითვლებოდა. მოჰენჯო-დაროში აღმოჩენილია „დიდი აბანო“. ის ისე საიმედოდ იყო აგებული და ბუნებრივი ფისით (ბიტუმით) დამუშავებული, რომ დღესაც კი არქეოლოგები აღფრთოვანებული რჩებიან მისი წყალგაუმტარი ფენის ხარისხით. მეცნიერები ფიქრობენ, რომ იქ ადამიანები არა მხოლოდ დასაბანად, არამედ რელიგიური რიტუალების ჩასატარებლადაც მიდიოდნენ.

კითხვა

1. რა თავისებურებებით გამოირჩეოდა მოჰენჯო-დაროს დაგეგმარება?
2. დააკვირდით რუკაზე აშოკას სახელმწიფოს საზღვრებს და დაასახელეთ, რომელი სამეფოები და ტერიტორიები გაერთიანდა მის შემადგენლობაში.
3. იპოვეთ რუკაზე და დაასახელეთ, რომელი მდინარეების სანაპიროებზე მდებარეობდა ჰარაპის ცივილიზაცია და მაგადჰას სახელმწიფო.

მოჰენჯო-დარო – ქალაქი, რომელსაც აბანოები ჰქონდა

ინდოეთის უძველესი ცივილიზაცია წარმოიქმნა და განვითარდა ძვ. წ. IV ათასწლეულში მდინარე ინდის გასწვრივ, ხოლო მომდევნო ათასწლეულებში – მდინარე განგის აუზში. ისინი ჰიმალაის მთებიდან იღებენ სათავეს. სწორედ ეს ორი მდინარე განსაზღვრავდა მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფას, სავაჭრო გზებსა და მთელი ცივილიზაციის სიძლიერეს, რის გამოც ინდოელები მათ ღვთაებრივ ძალას მიაწერდნენ.

მდინარე ინდის ხეობაში არსებული ქალაქები ნამდვილ საინჟინრო სასწაულს წარმოადგენდა. ქალაქები მოჰენჯო-დარო და ჰარაფა საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული. აქ სახლებს ბრტყელი გამომწვარი აგურით აგებდნენ. ქუჩებში დიდი ჭები იყო ამოჭრილი, საიდანაც მოსახლეობას წყლის ამოღება შეეძლო. თითქმის ყველა სახლს ჰქონდა საკუთარი აბაზანა. წყალი კედელში დატანებული მილებით ქუჩისკენ გაედინებოდა სპეციალურ არხში, რომელიც დაფარული იყო ქვის ფილებით. ეს იყო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი საკანალიზაციო სისტემა, რომლის მსგავსი ათასობით წლის შემდეგაც კი ბევრ ქალაქს არ ჰქონდა.



რუკა 10. ძველი ინდოეთი

არიელთა მოსვლა – ვედები და კასტები

დროთა განმავლობაში კლიმატის ცვლილებისა და მდინარეების დაშრობის გამო ინდის ხეობის ძველი ქალაქები დაცარიელდა. დაახლოებით ძვ. წ. 1500 წელს ცენტრალური აზიიდან ინდოეთში არიელები გამოჩნდნენ. ესენი იყვნენ მეომარი ტომები, რომლებიც მეცხოველეობას მისდევდნენ. ისინი საუბრობდნენ თავიანთ ენაზე, რომლის საფუძველზეც ინდოეთის მიწაზე ჩამოყალიბდა უძველესი წმინდა ენა – სანსკრიტი და შეიქმნა მათი რელიგიური ტექსტები – ვედები.

არიელებმა ინდოეთში დაამკვიდრეს კასტებად (ვარნებად) დაყოფის სისტემა. კასტური წესი ხელს უწყობდა საზოგადოების ორგანიზებას, აწესრიგებდა ურთიერთობებს, მაგრამ მკაცრად ზღუდავდა ადამიანების შესაძლებლობას. სხვადასხვა კასტის წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ ერთმანეთთან კავშირი, ქორწინება, რიტუალებში ერთობლივად მონაწილეობა.

ინდოელებს ჰქონდათ ლეგენდა პირველქმნილ არსებაზე – პურუშაზე, რომლის სხეულის ნაწილებისგანაც ოთხი მთავარი კასტა შეიქმნა: ბრაჰმანები (ქურუმები) – გაჩნდნენ პურუშას პირიდან. ისინი იყვნენ მასწავლებლები და მეცნიერები. კშატრიები (მეომრები) – წარმოიშვნენ პურუშას მკლავებისგან. მათი საქმე ქვეყნის დაცვა და მართვა იყო. ვაიშიები (მიწათმოქმედნი და ვაჭრები) – შეიქმნენ პურუშას ბარძაყებისგან. ისინი ქმნიდნენ ქვეყნის დოვლათს. შუდრები (მსახურები) – დაიბადნენ პურუშას ტერფებისგან. მათი მოვალეობა სხვების დახმარება და ფიზიკური შრომა იყო.

დღეს ინდოეთში კანონით აღარ არსებობს კასტებად დაყოფა, მაგრამ ტრადიციის გავლენა საზოგადოებაში დღემდე შეინიშნება.



ბჰაგავატ-გიტას ხელნაწერი სანსკრიტზე. ძვ. წ. II-I სს.

ეს საინტერესოა

ინდოელებისთვის დღემდე განსაკუთრებულია ორი სიტყვა:

დჰარმა – ეს არის მოვალეობა. მაგალითად, თუ დაიბადე შუდრად, შენი დჰარმა კარგი მსახურებაა.

კარმა – ინდოელებს სჯეროდათ რეინკარნაციის (სულის ხელახლა დაბადების).

არსებობდა ხალხის ჯგუფი, რომელიც არცერთ კასტაში არ შედიოდა. ისინი ასრულებდნენ ყველაზე მძიმე და არაჰიგიენურ სამუშაოს. სხვა კასტებისთვის მათთან შეხებაც კი უწმინდურებად ითვლებოდა და აკრძალული იყო.

კითხვა

4. ვედები საუკუნეების განმავლობაში ზეპირად, თაობიდან თაობას გადაეცემოდა. რა საფრთხეებს შეიცავს ცოდნის მხოლოდ ზეპირი გზით გადაცემა წერილობით დაფიქსირებულ ცოდნასთან შედარებით?

5. კასტური კუთვნილება დაბადებით განისაზღვრებოდა და მთელი ცხოვრების განმავლობაში უცვლელი რჩებოდა. როგორ აისახებოდა ეს წესი ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში?

6. შეადარეთ ინდური კასტური სისტემა და ეგვიპტური საზოგადოების იერარქიული მოწყობა. რა იყო მათ შორის საერთო და განმასხვავებელი?

ეს საინტერესოა

ბუდას ცხოვრების ამბავმა საქართველომდეც მოაღწია. ძველად ქართველმა მწიგნობრებმა არაბულიდან თარგმნეს და გადააკეთეს წიგნი „სიბრძნე ბალავარისი“. ქართული ვერსია იმდენად პოპულარული გახდა, რომ ექვთიმე ათონელმა ის ქართულიდან ბერძნულად თარგმნა, საიდანაც წიგნი გავრცელდა ლათინურ და სხვა ენებზეც. სწორედ ქართული ვერსიის გავლენით გაეცნო ევროპა ბუდას ცხოვრებას.



ბუდას ქანდაკება

ბუდა – „გაღვიძებული“ უფლისწული

ბუდისტური გადმოცემით, ძვ. წ. VI საუკუნეში ინდოეთში ცხოვრობდა უფლისწული სიდჰართა გაუტამა. მას ყველაფერი ჰქონდა, რაზეც კი ადამიანმა შეიძლება იოცნებოს: მდიდრული სასახლეები, ოქრო, ძალაუფლება და მზრუნველი ოჯახი. თუმცა, ერთ დღეს უფლისწულმა სასახლე დატოვა და დაინახა ის, რასაც მანამდე უმალავდნენ: მოხუცი, სნეული და გარდაცვლილი. ამან სიდჰართა ძალიან დააღონა. მან მიატოვა სასახლე, უარი თქვა სიმდიდრეზე, რათა ეპოვა პასუხი კითხვაზე: რატომ იტანჯებიან ადამიანები? ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ იგი „გასხივოსნდა“, შეიმეცნა სიმართლე და ამიტომ მას „ბუდა“ ეწოდა, რაც სანსკრიტულ ენაზე სწორედ „გასხივოსნებულს“ ნიშნავს.

ბუდა ასწავლიდა, რომ ბედნიერება არა სიმდიდრეში, არამედ სიკეთეში, შინაგან სიმშვიდესა და სხვების დახმარებაშია. ბუდამ უარყო კასტების სისტემა. მან თქვა, რომ ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად იმისა, ქურუმის ოჯახში დაიბადებოდა თუ მსახურის სახლში, შეეძლო მიეღწია სულიერი სიმშვიდისთვის (ნირვანისთვის).

ბუდიზმი გასცდა ინდოეთის ფარგლებს და დღეისათვის ის ერთ-ერთ უდიდეს მსოფლიო რელიგიად ჩამოყალიბდა.

კითხვა

7. ბუდამ უარყო კასტური სისტემა და ადამიანთა თანასწორობა იქადაგა. რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ იდეას კასტებად დაყოფილ საზოგადოებაში?

8. რატომ დაინტერესდნენ ძველი ქართველი მწიგნობრები ინდოელი უფლისწულის (ბუდას) ისტორიით?



ბუდისტური ტაძარი

მშვიდობისმყოფელი იმპერატორი აშოკა

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში ინდოეთში 16 პატარა თუ დიდი სამეფო არსებობდა. ძვ. წ. IV საუკუნის მიწურულს ინდოეთი გაერთიანდა მაურიების დინასტიის მოთავეობით. ახალ სახელმწიფოს – მაურიების იმპერიას – ძვ. წ. III საუკუნეში მართავდა მეფე აშოკა. მან მთელი ცხოვრება ბრძოლაში გაატარა. ომის საშინელებათა ხილვის შემდეგ მან გააცნობიერა, რომ ნამდვილი გამარჯვება არა იარაღით, არამედ ადამიანთა გულების მოგებით მიიღწევა. აშოკამ უარი თქვა ომზე, ხალხზე ზრუნვა და კანონებით ქვეყნის მართვა გადაწყვიტა.

იმპერატორმა მთელ იმპერიაში აღმართა ქვის მაღალი სვეტები და კლდეებზე ამოაკვეთინა კანონები, რომლებსაც დღეს „აშოკას ბრძანებებს“ უწოდებენ. მათზე ეწერა:

- არ ავნოთ ცოცხალ არსებებსა და ცხოველებს;
- პატივი ეცით მშობლებს, მასწავლებლებსა და უფროსებს;
- იყავით სამართლიანები და მოწყალენი ყველას მიმართ.



იმპერატორი აშოკა. რეკონსტრუქცია

ეს საინტერესოა

ძველმა ინდოეთმა მსოფლიოს არაერთი საგანძური აჩუქა:

- სწორედ ინდოეთში გამოიგონეს ციფრი „ნული“. მის გარეშე თანამედროვე მათემატიკა, კომპიუტერები და ტელეფონები უბრალოდ ვერ იარსებებდა.
- მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ძალიან პოპულარული სამაგიდო თამაში – ჭადრაკი – ძველ ინდოეთში გამოიგონეს. მისი წინამორბედი იყო ჩატურანგა.
- ინდოელები იყვნენ პირველები, რომლებმაც ბამბისგან ნაზი და გრილი ქსოვილების დამზადება ისწავლეს.

კითხვა

9. აშოკას რწმენით, ჭეშმარიტი გამარჯვება იარაღით კი არა, ადამიანთა ნდობის მოპოვებით მიიღწევა. ეთანხმებით თუ არა აშოკას ამ მოსაზრებას? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

10. აშოკამ თავისი კანონები ქვის სვეტებსა და კლდეებზე ამოაკვეთინა, ისევე, როგორც ურარტუს მეფეებმა. რა მიზნით აღბეჭდავდნენ მმართველები საკუთარ საქმეებსა და კანონებს ქვაზე?

დავალება


1. წარმოადგინეთ ძველი ინდოეთის ისტორიის ოთხი ეტაპი: (ა) მდინარისპირა ცივილიზაცია და ქალაქები, (ბ) არიელთა მოსვლა და კასტური სისტემა, (გ) ბუდას სწავლება, (დ) აშოკას მმართველობა. ბოლოს კი ახსენით, რატომ ეწოდა ინდოეთს „ბრძენთა ქვეყანა“?

2. განსხვავებული ცხოვრების წესის მიუხედავად, ბუდა და აშოკა მთავარ ადამიანურ ღირებულებად ძალადობაზე უარის თქმასა და თანაგრძნობას თვლიდნენ. იმსჯელეთ, რა აერთიანებდა ამ ორ პიროვნებას და რა გავლენა მოახდინეს ინდოელთა ცხოვრებასა და მსოფლიო ისტორიაზე.

3. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.

13. ძველი ჩინეთი

ამ პარაგრაფის გაცნობით შეძლებთ, ახსნათ ცინ შიხუანდის რეფორმების მნიშვნელობა და მათი როლი ჩინეთის გაერთიანებაში; თქვენ გაიგებთ ჩინეთის დიდი კედლის აგების მიზანსა და ფუნქციას; ჩასწვდებით კონფუცის ფილოსოფიის ძირითად პრინციპებს, „ცის მანდატს“ და მათ ზემოქმედებას ჩინეთის საზოგადოებაზე; შეაფასებთ ჩინური ცივილიზაციის გამოგონებებს (აბრეშუმი, ქაღალდი, კომპასი, დენთი, ბეჭდვა) და მათ მნიშვნელობას მსოფლიოსთვის; ახსნით აბრეშუმის გზის როლს და კავშირს ჩინეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობების განვითარებაში.



დიდი კედელი (ჩინეთი)





ცინ შიხუანდი

იმპერატორი ცინ შიხუანდი – კაცი, რომელმაც ჩინეთი გააერთიანა

ისევე, როგორც სხვა უძველესი ცივილიზაციები, ძველი ჩინური კულტურაც დიდი მდინარეების ხეობებში დაიბადა, დაახლოებით, ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში. ქვეყნის მთავარ სასიცოცხლო ძარღვებს ორი დიდი მდინარე – ხუანხე (ყვითელი მდინარე) და იანძი (ცისფერი მდინარე) – წარმოადგენდა. ეგვიპტისა და მესოპოტამიის მსგავსად, აქაც დიდი მდინარეები იძლეოდა საფუძველს მიწათმოქმედებისა და პირველი ქალაქების ასაშენებლად. ჩინური ცივილიზაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და უწყვეტი ცივილიზაციაა.


დიდი ხნის განმავლობაში ჩინეთი დაყოფილი იყო პატარა, მოქიშპე სამეფოებად. ძვ. წ. IV-III საუკუნეებში მათ შორის გამალებული ბრძოლა მიმდინარეობდა პირველობისთვის. ამ პერიოდს ჩინეთის ისტორიაში „ჟანგოს“, ანუ „მებრძოლი სამეფოების“ პერიოდს უწოდებენ. საბოლოოდ ამ დაპირისპირებაში პირველობა ცინის დინასტიამ მოიპოვა და საფუძველი ჩაუყარა ცინის იმპერიას. მისი პირველი იმპერატორი იყო ცინ შიხუანდი, რომელმაც ძვ. წ. 221



რუკა 11. ძველი ჩინეთი

ეს საინტერესოა

ცინ შიხუანდიმ უდიდესი წვლილი შეიტანა ჩინეთის განათლებაში. მან შემოიღო ერთიანი დამწერლობა (იეროგლიფები), რამაც სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს, რომელთაც ერთმანეთის ენა არ ესმოდათ, წერილობითი ურთიერთობა გაუმარტივა.




ჩინური იეროგლიფები

წელს ჩინეთი გააერთიანა. იმპერატორმა ბრძანა, გაენადგურებინათ ისტორიული და ფილოსოფიური წიგნები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მის შეხედულებებს. ის მიხვდა, რომ ქვეყნის გასაერთიანებლად მხოლოდ იარაღი არ კმაროდა. იმპერატორმა მთელ იმპერიაში შემოიღო ერთიანი ფული, ერთიანი წონა და ზომა, ერთიანი დამწერლობა. იმპერატორს ძალიან ეშინოდა სიკვდილის და სურდა, იმ ქვეყნადაც ისეთივე ძლიერი ყოფილიყო, როგორც დედამიწაზე. ამიტომ თავის სამარხში 8000-ზე მეტი ნამდვილი ზომის თიხის ჯარისკაცი „ჩაიყოლა“, რომლთა შორის არიან ცხენოსნები, მშვილდოსნები და ოფიცრები. ამ საოცრებას ტერაკოტის ჯარს უწოდებენ. თითოეულ ჯარისკაცს თავისი ინდივიდუალური სახე აქვს.





იმპერატორის ტერაკოტის ჯარი



კითხვა

1. გაერთიანებამდე ჩინეთი მცირე, მოქიშპე სამეფოებად იყო დაყოფილი. რა უპირატესობას ანიჭებდა ქვეყანას პოლიტიკური ერთიანობა მუდმივი ომების ნაცვლად?

2. როგორ უწყობდა ხელს ერთიანი დამწერლობა, საზომი ერთეულები და ფული ვრცელი იმპერიის მართვას?

3. შეადარეთ ცინ შიხუანდისა და აშოკას მიერ სახელმწიფოს გაერთიანებისა და მართვის მეთოდები, თქვენი აზრით, რა უპირატესობა და ნაკლი ჰქონდა თითოეული მმართველის მეთოდს?

ჩინეთის დიდი კედელი

ჩინეთს ჩრდილოეთიდან მუდამ თავს ესხმოდნენ მომთაბარე ტომები. მათგან დასაცავად იმპერატორმა ცინ შიხუანდიმ ბრძანა, გაეერთიანებინათ მანამდე არსებული პატარა კედლები და აეგოთ ერთი უზარმაზარი ზღუდე. ეს არის მსოფლიოში ყველაზე გრძელი ნაგებობა, რომელიც ათასობით კილომეტრზეა გადაჭიმული. თავიდან კედელი მიწაყრილისგან, ტალახისა და ქვებისგან შენდებოდა. საუკუნეების შემდეგ კედელი აგურითა და ქვის ფილებით მოაპირკეთეს, გახადეს უფრო მაღალი (საშუალოდ 7-8 მეტრი) და განიერი – იმდენად, რომ მის ზედაპირზე ერთდროულად ხუთ ცხენოსანს შეეძლო გვერდიგვერდ გაჭენება.

კედელი არა მხოლოდ ფიზიკური ბარიერი, არამედ იმ დროისთვის წარმოუდგენლად სწრაფი საკომუნიკაციო სისტემაც იყო. კედელში ჩააშენეს ათასობით სათვალთვალო კოშკი. თუ მცველი მტერს შენიშნავდა, კოშკის თავზე ცეცხლს ანთებდა. მეზობელი კოშკების მცველები კვამლს ხედავდნენ და ისინიც ნიშანს აძლევდნენ.

ჩინეთის კედლის სიგრძე, ყველა განშტოების ჩათვლით, 21,000 კილომეტრზე მეტია. კედლის მშენებლობაზე ასობით ათასი ადამიანი მუშაობდა.

კითხვა

4. რა დანიშნულება ჰქონდა ჩინეთის დიდ კედელს ქვეყნის უსაფრთხოებისათვის? რა სირთულეებს უკავშირდებოდა მისი აგება?

5. კედელი მხოლოდ თავდაცვითი ზღუდე არ იყო. მასში ჩაშენებული სასიგნალო კოშკები ცეცხლითა და კვამლით გადასცემდნენ ცნობას მტრის შესახებ. რა უპირატესობას ანიჭებდა იმპერიას ინფორმაციის სწრაფი გავრცელება?

6. კედლის მშენებლობას მილიონობით ადამიანის შრომა და მრავალი მსხვერპლი დასჭირდა. შეაფასეთ: გაამართლა თუ არა მისმა თავდაცვითმა ფუნქციამ ასეთი დანახარჯი?

ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობა. რეკონსტრუქცია



კონფუცი და მისი ფილოსოფია

ჩინეთში სჯეროდათ, რომ, თუ ყველა თავის მოვალეობას შეასრულებდა და საზოგადოება ერთი დიდი ოჯახივით იცხოვრებდა, ქვეყანაში ომი და შიმშილი არასოდეს იქნებოდა. ამ იდეის ავტორი დიდი მასწავლებელი კონფუცი (ჩინურად კუნ ფუ-ძი) იყო. იგი ცხოვრობდა ცინ შიხუანდიმდე, დაახლოებით, 300 წლით ადრე, მაშინ, როცა ჩინეთი ჯერ კიდევ მცირე სამეფოებად იყო დაყოფილი. იგი გახლდათ მოკრძალებული მასწავლებელი, რომელიც ბევრს მოგზაურობდა და მმართველებს რჩევებს აძლევდა. მისი მთავარი წესი, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოშია ცნობილი, ასეთი იყო: ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა, რომ შენ გაგიკეთონ. კონფუცი ბავშვებს ასწავლიდა, რომ პატივი ეცათ მშობლებისთვის, მშობლებს – მოხუცებისთვის, ხოლო ყველას ერთად – იმპერატორისთვის.



კონფუცი

აბრეშუმის გზა და ჩინური საოცრებები

ჩინელებმა აღმოაჩინეს, რომ პატარა მატლის (აბრეშუმხვევიას) პარკისგან შეიძლებოდა საოცარი ქსოვილის – აბრეშუმის – დამზადება. ეს მათთვის სახელმწიფო საგანძურად იქცა და აბრეშუმის დამზადების საიდუმლოს გაცემაზე სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული. ჩინური საქონელი ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ბაზარზე სახმელეთო-სავაჭრო გზების მეშვეობით გადაჰქონდათ. გზის ერთი მონაკვეთი საქართველოზეც გადიოდა. ჩინეთიდან ევროპისკენ მიმავალ მაგისტრალს „აბრეშუმის გზა“ შეერქვა.

ჩინელებმა მსოფლიოს აჩუქეს ისეთი ნივთები, რომელთა გარეშე დღევანდელი ცხოვრება წარმოუდგენელია: ქაღალდი – პირველად ჩინეთში დაამზადეს ხის ქერქისა და ძველი ნაჭრებისგან. მანამდე ადამიანები პაპირუსზე, პერგამენტზე ან თიხის ფირფიტებზე წერდნენ; კომპასი – თავიდან მას არა ნავიგაციისთვის, არამედ მომავლის საწინასწარმეტყველოდ იყენებდნენ; დენთი – ჩინელებმა ის შემთხვევით გამოიგონეს და თავიდან მას მხოლოდ შუშხუნებისა და ფეიერვერკებისთვის იყენებდნენ, მოგვიანებით ის სამხედრო საქმეშიც დანერგეს; ბეჭდვა – ჩინელები ხის დაფებზე კვეთდნენ იეროგლიფებს, საღებავს უსვამდნენ და ქაღალდზე გადაჰქონდათ. მათ დაბეჭდეს პირველი ქაღალდის ფული და საფუძველი ჩაუყარეს წიგნების ბეჭდვას, რამაც შესაძლებელი გახადა ცოდნის სწრაფი გავრცელება.

ეს საინტერესოა

კონფუცისეულ ტრადიციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ცის მანდატის“ იდეას, ანუ ხელმწიფეს ძალაუფლებას ანიჭებს ზეციური ძალა. ამიტომაც ჩინეთის იმპერატორები „ცის შვილებად“ ითვლებოდნენ. მმართველთა საქმიანობას ხალხთან ერთად „ზეცაც აკვირდებოდა და აფასებდა“.

კითხვა

7. შეადარეთ კონფუცის და ბუდას სწავლებები ერთმანეთს. რა იყო მათ შორის საერთო და განსხვავებული?

8. რა მნიშვნელობა ჰქონდა აბრეშუმის გზას და საერთაშორისო ვაჭრობას ცივილიზაციების დაახლოებისთვის?

დავალება

1. წარმოიდგინეთ, რომ აბრეშუმის გზით ქარავანს ჩინეთიდან ევროპისკენ მიჰყვებით. დანართის რუკის მიხედვით აღწერეთ, რომელი საქონელი (მაგ., აბრეშუმი, ქაღალდი) შეიძლება მოხვედრილიყო ამ გზით ევროპაში.

2. დანართის რუკის მიხედვით, რა გზით შეიძლება მოხვედრილიყვნენ მოგზაურები ჩინეთიდან ევროპაში? რომელი ქვეყნების გავლა მოუწევდათ?

3. პარაგრაფის შესაბამისი დავალებები შეასრულეთ მოსწავლის რვეულში.


ბოლოსიტყვა


ჩვენი მოგზაურობა დასრულდა, თუმცა ის საგანძური, რომელიც ძველმა ცივილიზაციებმა დაგვიტოვა, ყოველდღე ჩვენ გვერდითაა. მოდით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ, რა არის თითოეული მათგანის მთავარი საჩუქარი კაცობრიობისთვის:

- შუმერებმა გვაჩუქეს პირველი დამწერლობა, ბორბალი და დროის დაყოფა – სწორედ მათი მიგნებაა, რომ საათში 60 წუთია;
- აქადელებმა შექმნეს პირველი იმპერია და საფუძველი ჩაუყარეს სახელმწიფოს ცენტრალიზებულ მართვას;
- ბაბილონელებისგან მივიღეთ პირველი წერილობითი კანონები და განვითარებული ასტრონომია;
- ასურელებმა შექმნეს მსოფლიოში პირველი დიდი ბიბლიოთეკა და სრულყოფილი სამხედრო ტექნოლოგიები;
- ძველი ეგვიპტელებისგან ვისწავლეთ ქვის დიდებული არქიტექტურა, მედიცინის საიდუმლოებები და კალენდარი, რომლითაც დღემდე ვითვლით წელიწადის დღეებს;
- ხეთებმა მსოფლიოს აჩუქეს რკინის იარაღის დამუშავების ხელოვნება და პირველი საერთაშორისო საზავო ხელშეკრულება;
- ხურიტებისგან მოგვდევს უძველესი მუსიკალური ნოტები და მითოლოგიური კავშირები, რომლებმაც ბევრი სხვა კულტურა ასაზრდოა;
- ურარტუელებმა გვასწავლეს კლდეში გამოკვეთილი საირიგაციო არხების მშენებლობა და მეღვინეობის მაღალი კულტურა;
- ფინიკიელებმა შექმნეს პირველი ანბანი, რომელმაც წერა-კითხვა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადა;
- ებრაელებმა კაცობრიობას მისცეს ათი მცნება – მორალური კანონები, რომლებიც დღემდე ბევრი ქვეყნის სამართლის საფუძველია;
- აქემენიანებმა შექმნეს პირველი სწრაფი ფოსტა, სახელმწიფო მართვის ეფექტური სისტემა და გვასწავლეს „სამოთხის“ (ბაღების) მოწყობის ხელოვნება;
- ძველმა ინდოელებმა გვაჩუქეს ციფრი „ნული“, ჭადრაკი და სიმშვიდის ფილოსოფია;
- ძველი ჩინელებისგან მივიღეთ ქაღალდი, კომპასი, ბეჭდვის ხელოვნება და აბრეშუმი;

ამ ხალხებს ერთმანეთისგან ათასობით კილომეტრი და საუკუნეები აშორებდა, მაგრამ ერთი რამ აერთიანებდათ – სურვილი, შეექმნათ ახალი და უკეთესი. როდესაც დღეს ამ წიგნს კითხულობთ, გახსოვდეთ, რომ ყველაფერში თავისი წილი შრომა ათასობით წლის წინ მცხოვრებმა ადამიანებმა ჩადეს.

ლურსმული წარწერა (დიდი ბრიტანეთი)





დანართი

წიგნში ნახსენები ძირითადი ცივილიზაციების არსებობის პერიოდის, მმართველებისა და მთავარი მოვლენების შემაჯამებელი ცხრილი:

ცივილიზაცია	პერიოდი	გამორჩეული მმართველები	მთავარი მოვლენები და მიღწევები
შუმერები	ძვ. წ. IV-III ათასწლეულები (ურუქი დაარსდა დაახლ. 5000 წლის წინ)	გილგამეში	ბორბლის, იალქნიანი ნავისა და დამწერლობის (ლურსმული) გამოგონება; სამოცობითი მათემატიკური სისტემა; ზიქურათების მშენებლობა
აქადელები	ძვ. წ. XXIV-XXII სს.	სარგონ დიდი	ცენტრალიზებული იმპერიის შექმნა; ერთიანი სახელმწიფო ენის (აქადური) და ზომა-წონის ერთეულების შემოღება; მუდმივი ჯარის ჩამოყალიბება
ბაბილონელები	ძვ. წ. XVIII ს. (ხამურაბი); ძვ. წ. VII ს. (აღორძინება)	ხამურაბი, ნაბუქოდონოსორ II	ხამურაბის კანონების კრებული; ბაბილონის დაკიდებული ბაღები; იშთარის კარიბჭე
ასურელები	ძვ. წ. XXI-VII სს.	ასურბანიფალი, ტიგლათფილესერ III	მსოფლიოში პირველი სახელმწიფო ბიბლიოთეკა ნინევიაში; რკინის იარაღის ათვისება და ძლიერი კავალერია; სავაჭრო კოლონიების (ქარუმების) ქსელი
ძველი ეგვიპტელები	ძვ. წ. XXXI ს-დან (გაერთიანება)	ხეოფსი, თუტმოს III, ეხნატონი, რამსეს II, ტუტანხამონი, ჰატშეფსუტი	პირამიდების მშენებლობა; იეროგლიფური დამწერლობა; პაპირუსის გამოგონება; მუმიფიკაცია; კადეშის ბრძოლა
ხეთები	იმპერიის დაცემა დაახლ., ძვ. წ. 1200 წელს	ხათუსილი I, მურსილი I, მუვათალი II, ხათუსილი III	რკინის დამუშავება (ქასქებთან კავშირით); კადეშის ბრძოლა და პირველი საერთაშორისო საზავო ხელშეკრულება; სამკაციანი საბრძოლო ეტლები

ხურიტები (მითანელები)	ძვ. წ. დაახლ., 1500-1300 წწ.	ქიქული (მეეტლე-ცხენების გამწვრთნელი)	ცხენების წვრთნის უძველესი სახელმძღვანელო; უძველესი მუსიკალური ნოტების შექმნა უგარიტში
ურარტუელები	ძვ. წ. IX-VI სს.	სარდურ I, მენუა, არგიშთი I	მეგალითური არქიტექტურა („მშრალი წყობა“); სარწყავი არხების სისტემა; კლდეში გამოკვეთილი წარწერები;
ფინიკიელები	ძირითადად ძვ. წ. II-I ათასწლეულები		22-ასოიანი ანბანის შექმნა; შორეული ნაოსნობა (პოლარული ვარსკვლავით ორიენტაცია);
ებრაელები	ძვ. წ. XI ს. (ერთიანი სამეფო)	დავითი, სოლომონი	მონოთეიზმის (ერთღმერთიანობის) დამკვიდრება; გამოსვლა ეგვიპტიდან (მოსე); ათი მცნება; იერუსალიმის ტაძრის მშენებლობა
აქემენიანები	ძვ. წ. VI-IV სს.	კიროს II დიდი, დარიოს I	იმპერიის შექმნა და სატრაპიებად დაყოფა; „სამეფო გზა“ და საფოსტო სისტემა; ოქროს მონეტა „დარიკი“; ზოროასტრიზმი
ძველი ინდოელები	ძვ. წ. III ათასწლეულიდან (ინდის ცივილიზაცია); ძვ. წ. III ს. (აშოკა)	სიდჰართა გაუტამა (ბუდა), აშოკა	მოჰენჯო-დაროს წყლის სისტემა; ვედები და კასტური სისტემა; ბუდიზმის გავრცელება; ციფრი „ნულის“ და ჭადრაკის გამოგონება
ძველი ჩინელები	დაახლ. ძვ. წ. 2000 წ-დან; ძვ. წ. 221 წ. (გაერთიანება)	ცინ შიხუანდი	ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობა; ტერაკოტის ჯარი; აბრეშუმის გზა; ქაღალდის, კომპასის, დენთისა და ბეჭდვის გამოგონება; კონფუცის ფილოსოფია

კაცობრიობის უდიდესი გამოგონებები და აღმოჩენები

ცივილიზაცია	ტექნოლოგიური და კულტურული მიღწევა
შუმერები	ბორბალი, იალქნიანი ნავი, სამოცობითი მათემატიკური სისტემა
აქადელები	პირველი ცენტრალიზებული იმპერია, საფოსტო სისტემა
ბაბილონელები	კანონების კრებული (ხამურაბის კოდექსი), კვირის 7 დღედ დაყოფა
ძველი ეგვიპტელები	პაპირუსი, მზის კალენდარი (365 დღე), სარწყავი სისტემა (შადუფი)
ხეთები	რკინის დამუშავება, სამკაციანი საბრძოლო ეტლი
ფინიკიელები	ანბანი (22 ასო), ორიენტაცია პოლარული ვარსკვლავით
აქემენიანები	ერთიანი ოქროს მონეტა (დარიკი), „სამეფო გზა“
ძველი ინდოელები	ციფრი „ნული“, ჭადრაკი (ჩატურანგა), ბამბის ქსოვილი, არხები
ძველი ჩინელები	ქაღალდი, კომპასი, დენთი, აბრეშუმის წარმოება

საქართველო მსოფლიო ისტორიის კონტექსტში

ეპოქა/ცივილიზაცია	კავშირი საქართველოსთან
პრეისტორია	დმანისი – პირველი ადამიანის კვალი ევრაზიაში
ხეთები	ქვემო ქართლისა და შავი ზღვისპირეთის ტომები (ქასქები), რომლებიც ამარაგებდნენ ხეთებს რკინით
ასურეთი და ურარტუ	დიაოხისა და კოლხას ბრძოლები ამ იმპერიების წინააღმდეგ
ებრაელები	ლაილაშის ბიბლია (ლეჩხუმი)
აქემენიანები	კოლხური და აქემენური სამკაულების მსგავსება; სავაჭრო კავშირები
ძველი ინდოეთი	ბუდას ცხოვრების ამსახველი წიგნის „სიბრძნე ბალავარისა“ ქართული ვერსია
ძველი ჩინეთი	აბრეშუმის გზის მონაკვეთი, რომელიც საქართველოზე გადიოდა

დამწერლობის განვითარების ევოლუცია

დამწერლობის ტიპი	ცივილიზაცია	მასალა	მახასიათებელი
ლურსმული	შუმერი, აქადი, ბაბილონი, ასურეთი, ხეთი, ხურიტები, ურარტუ, აქემენიანთა ირანი	თიხის ფირფიტა, კლდე, ოქრო, ბრინჯაო, ვერცხლი, ხე	სველი თიხის კვალი, რომელიც ლურსმანს ჰგავს
იეროგლიფური	ეგვიპტე	პაპირუსი, კლდე	„წმინდა ნიშნები“, თითოეული ნიშანი ბგერა ან სიტყვაა
ანბანური	ფინიკია	პაპირუსი, ტყავი	22 თანხმოვანი, მარტივად სასწავლი სისტემა
ჩინური იეროგლიფები	ჩინეთი	ქაღალდი, აბრეშუმი, ხე	სიტყვის ან ცნების გამომხატველი სიმბოლოები

ძველი სამყაროს რელიგიები და ფილოსოფიური მოძღვრებები

მოძღვრება / რელიგია	ფუძემდებელი / ცენტრი	მთავარი იდეა
პოლითეიზმი	შუმერი, ეგვიპტე, ინდოეთი	მრავალღმერთიანობა, ბუნების ძალების გაღმერთება
მონოთეიზმი	ძველი ისრაელი (აბრაამი, მოსე)	ერთი, უხილავი ღმერთის აღიარება
ზოროასტრიზმი	ზარატუსტრა	ბრძოლა სინათლესა (სიკეთესა) და სიბნელეს (ბოროტებას) შორის
ბუდიზმი	სიდჰართა გაუტამა (ბუდა)	შინაგანი სიმშვიდე, ტანჯვისგან გათავისუფლება, კასტების უარყოფა
კონფუცის სწავლება	კონფუცი	უფროსების პატივისცემა; საზოგადოება, როგორც ერთი დიდი ოჯახი


ვოლგა
ბალხაშის ტბა
დუნაი
შავი ზღვა
არალის ტბა
სირდარია
ამუდარია
კასპიის ზღვა
მცირე აზიის ნკ.
ხმელთაშუა ზღვა
ტიგროსი
ევფრატი
სპარსეთის ყურე
ჰიმალაის მ
ინდი
განგი
ეგვიპტე
წითელი ზღვა
არაბეთის ნკ.
ნილოსი
არაბეთის ზღვა
ინდოსტანის ნკ.
ინდოეთის



ძველი მსოფლიოს სამდინარო ცივილიზაციები
ბაიკალის ტბა
ჩ
ჩდ
ჩა
დ
ა
სდ
სა
ს
ყვითელი ზღვა
კორეის ნკ.
აღმოსავლეთის (იაპონიის) ზღვა
ჩ ი ნ ე თ ი
აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვა
სამხრეთ ჩინეთის ზღვა
ინდოჩინეთის ნკ.
ო კ ე ა ნ ე
პირობითი აღნიშვნები
ძველეგვიპტური ცივილიზაცია
შუამდინარული ცივილიზაცია
ძველინდური ცივილიზაცია
ძველი ჩინური ცივილიზაცია
სახმელეთო სავაჭრო გზა
საზღვაო სავაჭრო გზა

რუკების საძიებელი

1. „ნაყოფიერი ნახევარმთვარე“ 28
2. შუმერული ქალაქ-სახელმწიფოები 34
3. ასურეთის იმპერია და ასურელების სავაჭრო გზები 50
4. ძველი ეგვიპტე 56
5. ხეთების სამეფო 66
6. ურარტუს სამეფო 76
7. ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოები და კოლონიზაცია 80
8. პალესტინა და ებრაული სამეფოები 82
9. აქემენიანთა იმპერია 86
10. ძველი ინდოეთი 92
11. ძველი ჩინეთი 98
დანართი. რუკა – ძველი მსოფლიოს სამდინარო ცივილიზაციები 108-109

საქართველო უძველესი დროიდან ჩართული იყო დიდ მსოფლიო ცივილიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობებში. ამის ნათელი მაგალითია საქართველოში აღმოჩენილი არაერთი არტეფაქტი. გოხებში (თეთრიწყაროს რაიონი) ნაპოვნი საბრძოლო ეტლი მიანიშნებს, რომ ხეთების, ეგვიპტელებისა და ასურელების საბრძოლო ხელოვნებას ქართულ სამყაროშიც კარგად იცნობდნენ. ეს აღმოჩენა პირდაპირი დასტურია იმისა, რომ უძველესი დროიდან საქართველოში სამხედრო საქმეში აქტიურად იყენებდნენ ცხენშებმულ მსუბუქ ეტლებს.

ქართულ სამყაროს ასევე სხვა ცივილიზაციებიც იცნობდნენ. უკვე ძველ პერიოდში კარგად გამოიკვეთა საქართველოს მნიშვნელობა როგორც სავაჭრო-ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იყო აღმოსავლური და დასავლური კულტურების შეხვედრის ადგილი.



9 789941 889301

26.11.7.1.1